
უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის
ევროპული ქსელის ცენტრის მიმოხილვა:
განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

მარკ ფრედერიკსი, იანა მოჰრენი, მელიცა კოვაჩევიჩი, გოჰარ ოვანისიანი
2019 წლის 15 აპრილი

შინაარსი

შეჯამება.....	4
შესავალი	6
კონტექსტი და შეფასების პროცესის სქემა	6
ზოგადი ინფორმაცია შეფასების შესახებ.....	6
მიმოხილვის პროცესი.....	6
უმაღლესი განათლება და ცენტრის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა.....	8
უმაღლესი განათლების სისტემა.....	8
ხარისხის უზრუნველყოფა.....	11
განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი	Error! Bookmark not defined.
განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ორგანიზაცია/სტრუქტურა.....	12
განათლების განვითარების ეროვნული ცენტრის ფუნქციები, საქმიანობა, პროცედურები.....	14
განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დაფინანსება.....	16
მიგნებები: განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის შესაბამისობა ევროპის უმაღლესის განათლების სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებთან და ინსტრუქციებთან.....	18
ESG ნაწილი 3: ხარისხის უზრუნველყოფის ცენტრიები.....	1818
ESG სტანდარტი 3.1 ხარისხის უზრუნველყოფის საქმიანობა, პოლიტიკა და პროცესები.....	1818
ESG სტანდარტი 3.2 ოფიციალური სტატუსი.....	22
ESG სტანდარტი 3.3 დამოუკიდებლობა	23
ESG სტანდარტი 3.4 თემატური ანალიზი.....	26
ESG სტანდარტი 3.5 რესურსები.....	27
ESG სტანდარტი 3.6 შიდა ხარისხის უზრუნველყოფა და პროფესიული ქცევა.....	29
ESG სტანდარტი 3.7 ცენტრიების პერიოდული გარე მიმოხილვა.....	32
ESG ნაწილი 2: ხარისხის გარე უზრუნველყოფა.....	33
ESG სტანდარტი 2.1 შიდა ხარისხის უზრუნველყოფის გათვალისწინება.....	33
ESG სტანდარტი 2.2 დაგეგმვის მეთოდოლოგიის მიზანთან შესაბამისობა.....	38
ESG სტანდარტი 2.3 პროცესების განხორციელება.....	40
ESG სტანდარტი 2.4 შეფასების ექსპერტები.....	43
ESG სტანდარტი 2.5 შედეგების კრიტერიუმები.....	46
ESG სტანდარტი 2.6 ანგარიშგება.....	48
ESG სტანდარტი 2.7 საჩივრები და აპელაცია.....	50
დასკვნა.....	52

<i>ძლიერი მხარეების შეჯამება.....</i>	52
<i>მსჯელობისა და რეკომენდაციების მიმოხილვა.....</i>	52
<i>წინადადებები შემდგომი განვითარებისთვის.....</i>	54
დანართები.....	57
<i>დანართი 1: ადგილზე ვიზიტის პროგრამა.....</i>	57
<i>დანართი 2: მიმოხილვის წყაროების შენიშვნები.....</i>	65
<i>დანართი 3: გლოსარიუმი.....</i>	74
<i>დანართი 4: მიმოხილვაში გამოყენებული დოკუმენტები.....</i>	75
NCEQE-ის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები.....	75
ექსპერტთა ჯგუფის მიერ გამოყენებული სხვა წყაროები.....	75

შეჯამება

წინამდებარე ანგარიში წარმოადგენს უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ქსელის (ENQA) ექსპერტთა ჯგუფის მიერ საქართველოს უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ეროვნული სააგენტოს - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (NCEQE) - მიმოხილვის შედეგებს. ექსპერტთა ჯგუფმა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი (NCEQE) შეისწავლა ევროპის უმაღლესი განათლების სივრცეში ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებისა და სახელმძღვანელო პრინციპების (ESG) კუთხით, რომლის მიზანი იყო, დახმარებოდა ENQA-ს საბჭოს NCEQE-ის სრული წევრობის მიზანშეწონილობის თაობაზე მსჯელობისას და მხარი დაეჭირა უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპულ რეესტრში (EQAR) NCEQE-ის განაცხადის დარეგისტრირებისთვის.

ENQA-ს საბჭოსა და EQAR-ის სარეგისტრაციო კომიტეტის მიერ შესაბამისი გადაწყვეტილებების მისაღებად წარმოებს ექსპერტთა ჯგუფის მიერ ESG-ის თითოეული სტანდარტის მიხედვით შეფასება.

2006 წელს დაარსებულმა NCEQE-მ განიცადა რიგი რეფორმები, რათა მიეღწია ამჟამინდელ გარე მიმოხილვის სისტემამდე, რომელიც გამოიცადა 2017 წელს და 2018 წლიდან ოფიციალურად შევიდა ძალაში. აქ მოქმედებს გარე ხარისხის უზრუნველყოფის ორი ძირითადი მიმართულება: სავალდებულო ინსტიტუციური ავტორიზაცია და ნებაყოფლობითი პროგრამული აკრედიტაცია. პროგრამული აკრედიტაცია სავალდებულოა მხოლოდ სადოქტორო და რეგულირებადი პროგრამებისათვის. ფაქტობრივად, საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებში არსებული თითქმის ყველა პროგრამა ითხოვს აკრედიტაციას, ვინაიდან სტუდენტთა დაფინანსება შესაძლებელია მხოლოდ აკრედიტებული პროგრამების შემთხვევაში.

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი ნაწილობრივ ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ხოლო ნაწილობრივ გამოიმუშავებს საკუთარ შემოსავლებს ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცედურების მოსაკრებლიდან. უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის გარდა, NCEQE-ის სხვა სამსახურები ასრულებენ ESG-ს ფარგლებს გარეთ არსებულ ფუნქციებს, როგორებიცაა - სკოლებისა და პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფა და ეროვნული ENIC-NARIC-ის ფუნქცია.

ENQA-ს ექსპერტთა ჯგუფმა წინასწარ შეისწავლა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის თვითშეფასების ანგარიში და დამატებითი დოკუმენტაცია, ისევე, როგორც ადგილზე სამდღიანი ვიზიტისას. ვიზიტის განმავლობაში მიმდინარეობდა დისკუსიები დაინტერესებულ მხარეთა ფართო წარმომადგენლობასთან.

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს ჰქონდა შესაძლებლობა, წარმოედგინა უკუკავშირი ამ ანგარიშში დაშვებულ შესაძლო ფაქტობრივ შეცდომებზე.

ექსპერტთა ჯგუფმა შეაფასა ცენტრი, რომელიც კარგად იყო დამკვიდრებული ეროვნულ დონეზე და მჭიდროდ თანამშრომლობდა ძირითად დაინტერესებულ მხარეებთან. დაინტერესებული მხარეების ჩართულობის მაღალმა დონემ, ასევე, შეიტანა წვლილი სტანდარტების ახალი ვერსიის შემუშავებაში. ეს წარმოადგენს მნიშვნელოვან წინგადადგმულ ნაბიჯს გარე ხარისხის შეფასებაში შენატანზე ორიენტირებული მიდგომიდან შედეგზე ორიენტირებულ სისტემაზე გადასვლაში, რაც უფრო მეტ აქცენტს აკეთებს ინსტიტუციურ თვითმყოფადობასა და პასუხისმგებლობაზე - ეს არის ცვლილება, რომელიც მაღალ დონეზე შეფასდა დისკუსიაში მონაწილე ყველა მხარის, ისევე, როგორც ექსპერტთა ჯგუფის მიერ. ამავდროულად, ოპერირების ზოგიერთი მიმართულება შესაძლოა გადაიხედოს ახალი ფუნქციების ჭრილში. მაგ.: გზა, რომლითაც აკრედიტაციისა და ავტორიზაციის საბჭოები იღებენ თავიანთ გადაწყვეტილებებს და უზრუნველყოფენ

ექსპერტებს რეკომენდაციებით სტანდარტების ინტერპრეტაციის თაობაზე. გარდა ამისა, ცენტრის მართვის სისტემის შესახებ ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნა, რომ იგი ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესშია, როგორც შესაბამის ორგანოებში დაინტერესებული მხარის ოფიციალური წარმომადგენლობის, ისე სამინისტროსაგან დამოუკიდებლობის კუთხით.

ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი შეესაბამება ESG სტანდარტებს:

- სრულ შესაბამისობაშია ESG-ს სტანდარტებთან: 3.2, 3.5, 3.6, 3.7, 2.1, 2.6
- მეტწილად შესაბამისობაშია ESG-ს სტანდარტებთან: 3.1, 3.4, 2.2, 2.3, 2.4, 2.5, 2.7
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია ESG-ს სტანდარტთან: 3.3

შესავალი

ანგარიში ასახავს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის შესაბამისობას ევროპის უმაღლესი განათლების სივრცეში ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებსა და სახელმძღვანელო პრინციპებთან (ESG) მიმართებაში. იგი ეფუძნება 2019 წლის სექტემბერ - თებერვალში განხორციელებულ გარე მიმოხილვას.

კონტექსტი და შეფასების პროცესის სქემა

ზოგადი ინფორმაცია შეფასების შესახებ

ბოლონის პროცესის ერევნის მინისტრთა კონფერენციაზე 2015 წელს მიღებული გადაწყვეტილებისა და ENQA-ს რეგულაციების თანახმად, ყველა წევრმა, ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ მაინც უნდა გაიაროს პერიოდული გარე მიმოხილვა, იმის დასადასტურებლად, რომ ისინი მეტწილად შესაბამისობაში არიან ESG-თან.

ვინაიდან, ეს არის NCEQE-ს პირველი გარე შეფასება, ექსპერტთა ჯგუფი კონკრეტულ ყურადღებას დაუთმობს პოლიტიკის, პროცედურებისა და კრიტერიუმების არსებობას, იმის გაცნობიერებით, რომ ამ ეტაპზე ყველა საკითხში კონკრეტული შედეგების სრულყოფილი მტკიცებულებები შესაძლოა არ იყოს ხელმისაწვდომი.

ცენტრი, ასევე, დასარეგისტრირებლად მიმართავს უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპულ რეესტრს (EQAR).

მიმოხილვის პროცესი

2018 წლის განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის გარე მიმოხილვა განხორციელდა ENQA-ს ცენტრის მიმოხილვის სახელმძღვანელო პრინციპებში აღწერილი პროცესის მიხედვით და უფლება-მოვალეობებში გაწერილი ვადების დაცვით. გარე მიმოხილვის ექსპერტთა ჯგუფი დაინიშნა ENQA-ს მიერ შემდეგი წევრების შემადგენლობით:

- **მარკ ფრედერიკსი** (თავმჯდომარე), ნიდერლანდებისა და ფლანდრიის აკრედიტაციის ორგანიზაციის საერთაშორისო პოლიტიკის კოორდინატორი, ნიდერლანდები (ხარისხის უზრუნველყოფის პროფესიონალი, ENQA-ს კანდიდატურა);
- **იანა მოჰრენი** (მდივანი), დასავლეთ კენტის კოლეჯების ჯგუფის უმაღლესი განათლებისა და პროფესიული სწავლის ხელმძღვანელი, გაერთიანებული სამეფო, ASIIN-ის საერთაშორისო ოფისის ყოფილი ხელმძღვანელი, გერმანია (ხარისხის უზრუნველყოფის პროფესიონალი, ENQA-ს კანდიდატურა);
- **მელიცა კოვაჩევიჩი**, სრული პროფესორი, ფსიქო-ლინგვისტიკური კვლევის ლაბორატორიის ხელმძღვანელი, ზაგრების უნივერსიტეტი, ხორვატია (აკადემიკოსი, ევროპის უნივერსიტეტების ასოციაციის კანდიდატურა);
- **გოჰარ ოვანისიანი**, სომხეთის ეკონომიკის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრანტი (ევროპის სტუდენტთა გაერთიანების კანდიდატურა).

ENQA-ს სამდივნოდან ექსპერტთა ჯგუფის მუშაობას კოორდინაციას უწევდა აგნე გრაჯუსკაინე და ადგილზე ვიზიტს ჯგუფის დასახმარებლად დაესწრო, როგორც ENQA-ს დამკვირვებელი. ჯგუფს სურს მადლობა გადაუხადოს ქ-ნ გრაჯუსკაინეს მისი ფასდაუდებელი მხარდაჭერისათვის პროცესის ორგანიზებასა და ENQA-ს მიმოხილვის პრინციპების დაცვაში.

ექსპერტთა ჯგუფი შეიქმნა ENQA-ს მიერ, 2018 წლის ივლისში. სექტემბერში თვითშეფასების ანგარიშის (SAR) მიღების შემდეგ ჯგუფის წევრები გაეცნენ წარმოდგენილ დოკუმენტაციას. 2018 წლის ოქტომბრის დასაწყისში გამართულ ბრიფინგზე განხილულ იქნა წინასწარი მიგნებები და დამატებითი დოკუმენტაციის გამოთხოვაზე მოხდა შეთანხმება. ეს პროცესი დასრულდა ადგილზე ვიზიტით და ექსპერტთა ჯგუფის მიერ გარე მიმოხილვის ანგარიშის მომზადებით, რომელიც ცენტრს ფაქტობრივი შეცდომების გასასწორებლად გაეგზავნა.

ამის შემდეგ ანგარიში წარედგინა ENQA-ს საბჭოს. იგი ემყარება მიმოხილვის პროცესს, უფრო კონკრეტულად კი - თვითშეფასების ანგარიშს, ცენტრის ვებ-გვერდსა და ადგილზე ვიზიტს.

თვითშეფასების ანგარიში

თვითშეფასების ანგარიში 2018 წლის მარტიდან მზადდებოდა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის სხვადასხვა დეპარტამენტების თანამშრომლებისგან შემდგარი გუნდის მიერ. თვითშეფასების სამუშაო ჯგუფი შედგებოდა მეტწილად ცენტრის სხვადასხვა სფეროს დეპარტამენტების ხელმძღვანელებისაგან. თვითშეფასება განხორციელდა EFQM Excellence Model-ის გამოყენებით და თანამშრომელთა ფართო მონაწილეობით. თვითშეფასების მომზადების პროცესში ყოველდღიურად ჩართული იყო ხელმძღვანელობა, ხოლო შენატანი რიგი გარე დაინტერესებული მხარეებისაგან, როგორებიცაა უსდ-ები, ექსპერტთა ჯგუფის წევრები, ავტორიზაციისა და აკრედიტაციის საბჭოების წევრები, განხორციელდა გამოკითხვებისა და ფოკუს ჯგუფებთან დისკუსიების შედეგად.

თვითშეფასების ანგარიში შესრულდა ENQA-ს მიერ შეთავაზებული ფორმით და პირველ ნაწილში წარმოადგინა ინფორმაცია ცენტრის ისტორიისა და ამჟამინდელი საქმიანობის, მისი შიდა ხარისხის უზრუნველყოფისა და საერთაშორისო აქტივობების შესახებ. ცენტრის საქმიანობიდან ორი: სავალდებულო ინსტიტუციური ავტორიზაცია და ნებაყოფლობითი პროგრამული აკრედიტაცია, მოქცეულია ESG ფარგლებში და ამგვარად, შეადგენს ამ მიმოხილვის საგანს. მეორე ნაწილი მოიცავს ESG-ის II და III ნაწილების ორი შესაბამისი აქტივობის ანალიზს, ხოლო მესამე ნაწილი მოიცავს SWOT ანალიზსა და მიმდინარე და მომავალი გამოწვევების განხილვას. საერთო ჯამში, ექსპერტთა ჯგუფმა მიიჩნია, რომ თვითშეფასების ანგარიში შესაფერისი იყო განხილვისათვის, თუმცა დამატებითი ინფორმაცია იქნა გამოთხოვილი ვიზიტამდე და ვიზიტის დროსაც. ჯგუფმა, ასევე, გამოიყენა ცენტრის მხრიდან საკონტაქტო პირის დახმარება, რათა დაეხმარებინა ცენტრის შესაბამისი აქტივობების შესახებ პროცედურული და ტექნიკური საკითხები.

ადგილზე ვიზიტი

ადგილზე ვიზიტი განხორციელდა თბილისში, 2018 წლის 29 ოქტომბრიდან 1 ნოემბრამდე. დეტალური პროგრამა შეიძლება ინახოს დანართში 1.

ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტი დაიწყო დახურული შეხვედრით, რათა დაესრულებინა ინტერვიუების სამზადისი და განსახილველი საკითხები. ინტერვიუების დაწყებამდე ჯგუფი ასევე შეხვდა ცენტრის მხრიდან საკონტაქტო პირს.

ინტერვიუები ჩატარდა ფართო სპექტრის დაინტერესებულ მხარეებთან, მათ შორის:

- ცენტრის თვითშეფასების ანგარიშის მომზადებაზე პასუხისმგებელ გუნდთან,
- ცენტრის ახალ დირექტორთან და დირექტორის მოადგილესთან,
- დეპარტამენტების ხელმძღვანელებთან,
- ცენტრის პერსონალთან,
- მინისტრის მოადგილესა და ყოფილ მინისტრთან,
- უსდ-ების ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტების წარმომადგენლებთან,
- სტუდენტებთან,
- შრომის ბაზრის წარმომადგენლებთან და პარტნიორ ორგანიზაციებთან,
- ექსპერტთა ჯგუფის წევრებთან,
- ექსპერტთა ჯგუფების საერთაშორისო თავმჯდომარეებთან.

ინტერვიუების უმეტესობა წარიმართა ინგლისურად, მცირედი თარგმანით დისკუსიაში ცალკეულ მონაწილეთათვის. ინტერვიუები ექსპერტთა ჯგუფების საერთაშორისო თავმჯდომარეებთან განხორციელდა სკაიპის მეშვეობით. მონაწილეთა ძალიან მცირე რაოდენობამ, ინტერვიუების სხვადასხვა ეტაპზე, ბოლო მომენტში განაცხადა უარი მონაწილეობაზე, თუმცა ამას არ შეუფერხებია დისკუსიების საფუძვლიანობა. ადგილზე ვიზიტის დღის წესრიგი და დისკუსიებში მონაწილე პირების სია მოცემულია დანართში 1.

ვიზიტი დასრულდა ფინალური ბრიფინგით. მდივანმა წინამდებარე ანგარიში მოამზადა თვითშეფასების ანგარიშისა და ადგილზე ვიზიტისას მოპოვებული ფაქტების საფუძველზე. შემდეგ ანგარიში დაეგზავნა ჯგუფის სხვა წევრებს უკუკავშირისა და დამატებებისათვის. მოცემულ საბოლოო ვერსიაში გათვალისწინებულია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის კომენტარები ფაქტობრივი შეცდომების თაობაზე.

უმაღლესი განათლება და ცენტრის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა

უმაღლესი განათლების სისტემა

საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემა ემყარება კანონს "უმაღლესი განათლების შესახებ", რომელიც მიღებულია 2004 წელს. 2005 წელს საქართველო შეუერთდა ბოლონიის პროცესს და დაიწყო ფართო მასშტაბიანი ცვლილებები უმაღლეს

განათლებაში, მათ შორის დაინერგა სამციკლიანი პროგრამების სისტემა, ECTS და ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა.

კანონი განსაზღვრავს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების (უსდ) სამ სახეს:


- უნივერსიტეტი - სამივე დონე (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) და კვლევა
- სასწავლო უნივერსიტეტი - ორი დონე (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა)
- კოლეჯი - მხოლოდ ერთ დონე (ბაკალავრიატი)

საქართველოში არის 63 ავტორიზებული, 19 საჯარო და 44 კერძო (მათ შორის 8 მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უსდ) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, სადაც უკანასკნელი აკადემიური წლის ბოლოს (2017/18) დაახლოებით 187,000 სტუდენტი ჩაირიცხა, მათ შორის 65% - საჯარო დაწესებულებებში. დაწესებულებები სთავაზობენ 1,790 აკადემიურ პროგრამას, რომელთაგან 91% აკრედიტებულია.

უმაღლესი განათლების საკვალიფიკაციო ჩარჩო დამტკიცდა 2010 წელს და განსაზღვრავს სამ საგანმანათლებლო ქვე-სისტემას: ზოგადს, პროფესიულს და უმაღლესს - თითოეულს საკუთარი ჩარჩოთი. უმაღლესი განათლების ჩარჩოში განსაზღვრულია 7 სახის აკადემიური პროგრამა:

- საბაკალავრო (240 კრედიტი);
- სამაგისტრო (120 კრედიტი);
- სამედიცინო განათლების პროგრამა (360 კრედიტი) - ერთციკლიანი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა, დიპლომირებული მედიკოსი. 360 კრედიტიანი საგანმანათლებლო კომპონენტის დასრულების შემდეგ მინიჭებული აკადემიური ხარისხი გათანაბრებულია მაგისტრის აკადემიურ ხარისხთან;
- სტომატოლოგის განათლების პროგრამა (300 კრედიტი) - ერთციკლიანი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა, დიპლომირებული სტომატოლოგი. 300 კრედიტიანი საგანმანათლებლო კომპონენტის დასრულების შემდეგ მინიჭებული აკადემიური ხარისხი გათანაბრებულია მაგისტრის აკადემიურ ხარისხთან.
- მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული პროგრამა (300 კრედიტი) - ინტეგრირებული საგანმანათლებლო პროგრამა, განათლების მაგისტრი;
- ვეტერინარიის განათლების ინტეგრირებული პროგრამა (300 კრედიტი) - ინტეგრირებული საგანმანათლებლო პროგრამა, ვეტერინარიის მაგისტრი;
- სადოქტორო პროგრამა (180 კრედიტი).

ქვემოთ სურათი მიმოიხილავს საგანმანათლებლო სიტემას:



დიაგრამა 1 (იხ. თვითშეფასების ანგარიში გვ. 7)

ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს გადახედვა 2014 წლიდან მიმდინარეობს და კანონში „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ შესატანი შესაბამისი ცვლილებები პარლამენტს წარედგინა დასამტკიცებლად. ახალი ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო მოიცავს მოკლევადიან საბაკალავრო (180 კრედიტი) და სამაგისტრო (90 კრედიტი) პროგრამებს, რისი მიზანიც სტუდენტთა საერთაშორისო მობილობის ხელშეწყობაა.

კანონის თანახმად, საქართველოში არსებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები ავტონომიურია აკადემიურ, ეკონომიკურ და ადმინისტრაციულ აქტივობებში. ეს, ასევე, მოიცავს სტუდენტებისა და პერსონალის თავისუფლებას აკადემიური და სამეცნიერო საქმიანობის განხორციელებაში. საჯარო უსდ-ები იმართება აკადემიური საბჭოებითა და სენატებით. კერძო უსდ-ები თავისუფლები არიან საკუთარი მართვის სტრუქტურის განსაზღვრაში. აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების ჩართულობა გადაწყვეტილების მიღებასა და ხარისხის უზრუნველყოფაში გათვალისწინებულია კანონით, ისევე, როგორც სტუდენტის უფლება ხარისხიანი განათლების მიღებასა და სტუდენტურ თვითმმართველობაზე.

ხარისხის უზრუნველყოფა

უმაღლესი განათლების გარე ხარისხის უზრუნველყოფა დაინერგა 2006 წელს განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის (NCEA) შექმნით. მიმოხილვების პირველი ეტაპი, რაოდენობრივი მაჩვენებლების საფუძველზე, მიზნად ისახავდა დაწესებულებებისთვის მინიმალური სტანდარტების განსაზღვრას საჯარო დაფინანსების მისაღებად და კვალიფიკაციების მისანიჭებლად. ინსტიტუციური აკრედიტაციის ამ პირველი ციკლის ბოლოს უსდ-ების რაოდენობა შემცირდა 300-დან 67-მდე.

გარე ხარისხის უზრუნველყოფის რეფორმისა და 2010 წელს კანონის „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ მიღების შემდეგ, შემოღებულ იქნა სავალდებულო ინსტიტუციური ავტორიზაცია და ზოგადად ნებაყოფლობითი პროგრამული აკრედიტაცია. თუმცა, რეგულირებადი პროფესიებისათვის და სადოქტორო პროგრამებისათვის აკრედიტაცია გახდა სავალდებულო. გარდა ამისა, სახელმწიფო ფინანსირება შეიძლება გამოეყოს მხოლოდ აკრედიტებულ პროგრამებს, რასაც შედეგად მოჰყვა უმეტესი პროგრამების აკრედიტება. ეს მიდგომა დღემდე ძალაშია და მოქმედებს. ამავდროულად, გარე ხარისხის უზრუნველყოფა რაოდენობრივ სტანდარტზე დამყარებულიდან გადავიდა ხარისხობრივ სტანდარტზე დამყარებულზე, როგორც ავტორიზაციაში, ისე აკრედიტაციაში, თუმცა კიდევ დიდწილად შენატანზე დაფუძნებულია.

სტანდარტებისა და პროცედურების შემდგომი ღრმა გადახედვა განხორციელდა 2015-2017 წლებში, რომელმაც მხედველობაში მიიღო ESG-ის 2015 წლის ვერსია და შედეგად მიღებულ იქნა სისტემა, რომელიც ამჟამად მოქმედებს. ახალი მეთოდოლოგია გამოიცადა 2017 წელს და მხარდაჭერილ იყო სამთავრობო პროექტით “Study in Georgia”.


2011 წლიდან განხორციელებული გარე ხარისხის უზრუნველყოფის პროცესები მნიშვნელოვნად ვარირებდა გასული წლების განმავლობაში. 2018 წელს მოსალოდნელია, რომ განხორციელდება 27 ინსტიტუციური ავტორიზაციისა და 216 პროგრამული აკრედიტაციის პროცედურა.

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

2006 წელს, მინისტრის ბრძანების საფუძველზე, ინსტიტუციური აკრედიტაციის განხორციელების მიზნით, შეიქმნა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, როგორც საგანმანათლებლო აკრედიტაციის ეროვნული ცენტრი (NCEA). გარე ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის პირველი ეტაპის გადახედვის შემდეგ, ახალი კანონის საფუძველზე, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაქვემდებარებაში შეიქმნა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი (NCEQE), როგორც მისი სამართალმემკვიდრე. ახალმა კანონმა "განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" დააფუძნა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, როგორც დამოუკიდებელი თავის საქმიანობასა და ოპერირებაში, მის 2010 წელს მიღებულ დებულებაში განსაზღვრული ფუნქციებითა და პასუხისმგებლობით, სადაც ბოლო ცვლილებები შეტანილ იქნა 2018 წელს. ცენტრის საქმიანობა მოიცავს უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფას, რაც ამ მიმოხილვის რელევანტურია, პროფესიული და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციას, კვალიფიკაციების აღიარებას, ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მმართველობასა და მართვას, სექტორული მიზნობრივი ნიშნულებისა და პროფესიული განათლების სტანდარტების შემუშავებას, უსდ-ების რეესტრის წარმოებას.

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ორგანიზაცია/სტრუქტურა

ცენტრის სტრუქტურა განსაზღვრულია მის დებულებაში. იგი გამოსახულია ქვემოთ მოცემულ ორგანიზაციულ დიაგრამაში



დიაგრამა 2 (იხ. თვითშეფასების ანგარიში, გვ. 11)

დიაგრამა განსაზღვრავს დირექტორს და 2018 წლის მაისში შეტანილი ცვლილებების შემდეგ - ახალ საკოორდინაციო საბჭოს, როგორც ცენტრის მმართველ ორ სუბიექტს. ვიზიტის დროს საკოორდინაციო საბჭო ჯერ კიდევ არ იყო შექმნილი. მიუხედავად ამისა, ექსპერტთა ჯგუფს წარედგინა სავარაუდო წევრების სია, რომელიც დასამტკიცებლად გაეგზავნა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს. საკოორდინაციო საბჭოს უნდა ჰყავდეს 5-დან 13-მდე წევრი, ყველა დონის საგანმანათლებლო დაწესებულების, სამინისტროს, დამსაქმებლების, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენელი. მისი მიზანია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის სტრატეგიისა და ხარისხის უზრუნველყოფის აქტივობების შემდგომ განვითარებაზე მსჯელობა.

გადაწყვეტილებები უმაღლესი განათლების დაწესებულებების ავტორიზაციისა და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე, როგორც ეს აღწერილია შემდეგ ნაწილში, მიიღება ავტორიზაციის საბჭოსა და აკრედიტაციის საბჭოს

მიერ. ორივე საბჭოს წესები, ფუნქციები და წევრობა განსაზღვრულია შესაბამის დებულებებში და კანდიდატების შერჩევის წესში. ამჟამად, ორივე საბჭო შედგება 17 წევრისაგან - უსდ-ების, სტუდენტების, დამსაქმებლებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისაგან. საბჭოს წევრები არჩეულნი არიან ერთი წლის ვადით პრემიერ მინისტრის მიერ, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარდგინების საფუძველზე. გარდა ამისა, ავტორიზაციის საბჭოს ჰყავს 16 მოწვეული წევრი, რომლებიც მონაწილეობას იღებენ დისკუსიებში და გადაწყვეტილების მიღებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც განიხილება უსდ, რომელიც ახორციელებს სამედიცინო პროგრამებს. საქართველოს კანონის "განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საფუძველზე საბჭოებს გარანტირებული აქვთ დამოუკიდებლობა უსდ-ებისა და სახელმწიფო ორგანოებისგან.

სააპელაციო საბჭო შეიქმნა 2016 წელს. იგი შედგება თერთმეტი წევრისგან, რომლებსაც განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის წარდგინების საფუძველზე, ერთი წლის ვადით, ნიშნავს პრემიერ მინისტრი.

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისა ფუნქციები, საქმიანობა, პროცედურები

გარე ხარისხის უზრუნველყოფის ორი ძირითადი აქტივობა - უსდ-ების ავტორიზაცია და უმათლესი განათლების პროგრამების აკრედიტაცია - ხორციელდება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ და წარმოადგენს ამ მიმოხილვის საგანს. ორივე მათგანი განსაზღვრულია შესაბამის დებულებებში, რომლებიც მიღებულია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ. ორივე პროცესი შეიცავს შემდეგ საფეხურებს:

- თვითშეფასების ანგარიშის (განაცხადი) წარდგენა
- დაწესებულების მადიებლად ცნობა
- ექსპერტთა ჯგუფის შექმნა
- განაცხადის წინასწარი შესწავლა
- ადგილზე ვიზიტის განხორციელება
- დასკვნის პროექტის შედგენა
- დაწესებულების მიერ დასკვნის პროექტში ასახულ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით გამოხმაურების წარდგენა
- ექსპერტთა ჯგუფის მიერ დასკვნის საბოლოო სახით ჩამოყალიბება და ცენტრისთვის წარდგენა
- უსდ-ს განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე მადიებლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის ავტორიზაციის / აკრედიტაციის საბჭოსთვის წარდგენა
- საბჭოს სხდომა მადიებელი დაწესებულების ზეპირი მოსმენით და გადაწყვეტილების მიღება
- გადაწყვეტილებისა და დასკვნის განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნება

დებულებების თანახმად ორივე პროცედურის ხანგრძლივობა არის 180 დღე.

სრული ავტორიზაცია მიენიჭება 6 წლის ვადით, ავტორიზაცია ერთი წლის შემდეგ პროგრესზე ანგარიშის წარმოდგენით; ავტორიზაცია ორი წლის შემდეგ სავალდებულო მონიტორინგის ვიზიტით; ავტორიზაცია სტუდენტთა მიღების შეზღუდვით რეკომენდაციების შესრულებამდე და ავტორიზაციაზე უარი - არის საბჭოს გადაწყვეტილების პარამეტრები. ყველა შემთხვევაში, დაწესებულება ვალდებულია წარადგინოს შუალედური თვითშეფასების ანგარიში სამი წლის შემდეგ.

ავტორიზაციის გადაწყვეტილების მიღების პროცესში ავტორიზაციის საბჭო დაწესებულებას ასევე განუსაზღვრავს ავტორიზაციის პერიოდში სტუდენტთა მიღების კვოტას. დაწესებულებას შეუძლია ავტორიზაციის პერიოდში ცენტრს მიმართოს კვოტის გაზრდის თხოვნით. ეს პროცესი გათვალისწინებულია შესაბამის დებულებაში.

პროგრამული აკრედიტაცია მიენიჭება ახალ პროგრამებს 4 წლის ვადით, ხოლო განმეორებითი აკრედიტაციის შემთხვევაში - 7 წლის ვადით. თუმცა, მხოლოდ ოთხი სახის დასკვნაა შესაძლებელი: აკრედიტაციის მინიჭება, მისი მინიჭება პირობით ორი წლის ვადითა და მონიტორინგის ვიზიტით, აკრედიტაციაზე უარის თქმა და აკრედიტაციის გაუქმება არსებული პროგრამის შემთხვევაში. ყველა დაწესებულება, ასევე, ვალდებულია შუალედური თვითშეფასების ანგარიში წარადგინოს სამი წლის შემდეგ. სრული აკრედიტაციის შემთხვევაში შესაძლებელია ორი სახის გადაწყვეტილება: სრული აკრედიტაცია, ან პირობითი აკრედიტაცია, რა დროსაც დაწესებულებას მოეთხოვება ანგარიშის წარმოდგენა მიცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე.

2018 წლის აგვისტოსთვის, როგორც ძველი, ისე ახალი სისტემის მიხედვით, განხორციელებულია პროცედურების ქვემოთ მოცემული რაოდენობა. ადგილზე ვიზიტისას ექსპერტთა ჯგუფი დარწმუნდა, რომ ყველა მიმდინარე პროცედურა, გეგმის შესაბამისად, დასრულდება წლის ბოლომდე. 2019 წლისათვის ცენტრი მოელის ავტორიზაციის 20 და აკრედიტაციის 200 პროცედურის განხორციელებას.

2010-2018 წწ. განხორციელებული მიმოხილვები	ინსტიტუციური ავტორიზაციის მიმოხილვა	პროგრამული აკრედიტაციის მიმოხილვა
2011-2016	143	1767
2017	0	65
2018 დასრულებული	3	92
2018 მსვლელობაში	24	124

დიაგრამა 3 (იხ. თვითშეფასების ანგარიში გვ. 14)

ცენტრის სხვა საქმიანობა, კერძოდ ზოგადი, საშუალო და პროფესიული განათლება, არ არის აღწერილი თვითშეფასების ანგარიშში, ვინაიდან ეს არ წარმოადგენს მოცემული მიმოხილვის საგანს.

ცენტრი ახორციელებს პროცესებს ექსკლუზიურად, მხოლოდ საქართველოს მასშტაბით. საერთაშორისო აქტივობებთან დაკავშირებით, უსდ-ების ინტეგრაცია ევროპის უმაღლესი განათლების სივრცეში არის ცენტრის მიზანი, რაც ასახულია მის დებულებაში. ცენტრი, ასევე, წარმოადგენს საქართველოს ბოლონიის სამეთვალყურეო ჯგუფში.


ევროკომიის დახმარებით დაგეგმილი “თვინინგის პროექტი” იწყება 2019 წლის იანვარში და მიზნად ისახავს ხარისხის უზრუნველყოფისა და ახალი ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს განვითარებას.

ცენტრის გააჩნია თანამშრომლობის ხელშეკრულებები ლიტვის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ცენტრთან და 2018 წელს მიღებული აქვს სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის (WFME) აღიარება.

სხვა საერთაშორისო აქტივობები მოიცავს მონაწილეობას ტემპუსის პროექტებში და თანამშრომლობას ევროპის განათლების ფონდთან (ETF) განახლებული ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დანერგვის მიზნით.

განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის დაფინანსება

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ბიუჯეტი შედგება სახელმწიფო დაფინანსებისა და საკუთარი შემოსავლებისაგან. მათ შორის შეფარდება გარკვეულად ცვალებადი იყო გასულ წლებში, მაგრამ 2017-18 წლებში ცენტრის ყველა მომსახურების საფასური გადაიხედა შეფასების ყველა აქტივობის დაფარვისადმი შესაფერისობის კუთხით. შესაბამისად, ბიუჯეტის ნაწილი, რომელიც ეყრდნობა საკუთარ შემოსავლებს, მოსალოდნელია რომ შემდგომშიც გაიზრდება. დამატებითი შემოსავლები გენერირდება სახელმწიფო სამი პროგრამიდან, რომელთაგან ერთი მიზნობრივია უმაღლესი განათლებისათვის (უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაცია და ხარისხის გაუმჯობესება). სახელმწიფო ბიუჯეტი უმთავრესად გამოიყენება ზოგადი ადმინისტრაციული ხარჯებისა და განვითარების აქტივობების დასაფარად.



დიაგრამა 4 (იხ. თვითშეფასების ანგარიში გვ. 29)

ცენტრის ყველა სტრუქტურული ერთეული მონაწილეობს ბიუჯეტის დაგეგმვაში და დაგეგმვის ფაზაში წარადგენს თავის მოთხოვნებს.

ტექნიკური პერსონალის გარდა, ცენტრში დასაქმებულია დაახლოებით 150 თანამშრომელი, მათგან 136 მუდმივ კონტრაქტზე. უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი, რომელიც პასუხისმგებელია ავტორიზაციისა და აკრედიტაციის განხორციელებაზე, შედგება 13 თანამშრომლისაგან, რომელთაგან ყველას აქვს მაგისტრის ხარისხი.

მიგნებები: განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის შესაბამისობა ევროპის უმაღლესის განათლების სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებთან და ინსტრუქციებთან

ESG ნაწილი 3: ხარისხის უზრუნველყოფის ცენტრი

ESG სტანდარტი 3.1 ხარისხის უზრუნველყოფის საქმიანობა, პოლიტიკა და პროცესები

სტანდარტი:

დაწესებულებებმა რეგულარულად უნდა განახორციელონ გარე ხარისხის უზრუნველყოფის საქმიანობები, როგორც ეს განსაზღვრულია "ევროპული სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები"-ს მეორე ნაწილში. მათ უნდა ჰქონდეთ ნათელი და კონკრეტული მიზნები და ამოცანები, რომლებიც მათი საჯაროდ ხელმისაწვდომი მისიის ნაწილია. ეს უნდა იქცეს დაწესებულების ყოველდღიურ საქმიანობად. დაწესებულებებმა უნდა უზრუნველყონ დაინტერესებული მხარეების ჩართვა მათ მართვასა და სამუშაო პროცესში.

მტკიცებულება

უმაღლესი განათლების გარე ხარისხის უზრუნველყოფა წარმოადგენს ცენტრის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას და შეადგენს შესაბამისი უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის ძირითად საქმიანობას. იგი ამ ფუნქციის მქონე ერთადერთი ცენტრია საქართველოში. მისი ძირითადი მიზნები, ფუნქციები და მართვა გათვალისწინებულია შესაბამისი დებულებებით. გარდა ამისა, ცენტრის მისია, ხედვა, ღირებულებები და მიზნები გამოქვეყნებულია მის ვებ საიტზე ისევე, როგორც 2016-2020 წლების სტრატეგია და მისი განხორციელების ყოველწლიური სამუშაო გეგმები როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენაზე. ამგვარად, ცენტრის მიზნებია:

- განათლების ხარისხის შიდა მექანიზმების ჩამოყალიბების ხელშეწყობა, გარე მექანიზმების განხორციელება და მათი შემდგომი განვითარება საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობის გზით;
- მოსწავლეების, პროფესიული სტუდენტების, სტუდენტების, კურსდამთავრებულების და აკადემიური პერსონალის ხელშეწყობა სწავლის, სწავლების, კვლევისა და დასაქმების უზრუნველყოფის მიზნით როგორც საქართველოში, ასევე უცხოეთში;
- საგანმანათლებლო დაწესებულებებში განათლების ხარისხის კულტურის გავითარების ხელშეწყობა;
- საქართველოს საგანმანათლებლო დაწესებულებების ინტეგრაციის ხელშეწყობა საერთაშორისო სივრცეში და მათ მიმართ ნდობის ამაღლება.

ცენტრის გარე ხარისხის უზრუნველყოფის ორი აქტივობა, ინსტიტუციური ავტორიზაცია და პროგრამული აკრედიტაცია, ხორციელდება შესაბამისი დებულებებით გათვალისწინებული სტანდარტებისა და პროცედურების თანახმად, ხოლო ცენტრის ორგანიზაციული მიზნები, სტრუქტურა და აქტივობები დადგენილია ცენტრის დამფუძნებელი დებულებით.

ორივე გარე ხარისხის უზრუნველყოფის პროცედურაში წარმოდგენილია თვითშეფასების, გარე ექსპერტთა ჯგუფის, ადგილზე ვიზიტის, ანგარიშგებისა და შემდგომი მეთვალყურეობის ელემენტები. ამჟამად მოქმედი სისტემა, დაინტერესებული მხარეების ფართო ჩართულობით (თვითშეფასების ანგარიში, გვ. 24), გამოიცადა ძირითადად 2017 წელს. მომხმარებელთა კმაყოფილების კვლევა, უმეტესად სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების, კერძოდ უსდ-ებისა და სტუდენტების გამოკითხვების მეშვეობით, წარმოადგენს ცენტრის რეგულარულ საქმიანობას.

ამჟამად, ცენტრი არის ახალი საკოორდინაციო საბჭოს დაფუძნების პროცესში, რომელიც გათვალისწინებულია ცენტრის დებულებით. აღნიშნული საბჭო მიზნად ისახავს ცენტრის მმართველობის პროცესებში დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის ინსტიტუციონალიზაციას. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარდგინებით განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მიერ საბჭოს წევრების შერჩევის პროცესის დანიშვნა, ასევე განსაზღვრულია დებულებით. საკოორდინაციო საბჭოს წევრობა გულისხმობს 5-13 წევრს, რომლებიც წარმოადგენენ საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელმძღვანელებს (ყველა დონის, მაგ.: ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიული და უმაღლესი), დამსაქმებლებისა და სექტორის, საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებსა და საერთაშორისო სპეციალისტებს, ისევე, როგორც სამინისტროს წარმომადგენლებს. ყველა მათგანი დაინიშნება ორი წლის ვადით. საკოორდინაციო საბჭოს ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია იქნება ცენტრის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხილვა და მათში შესწორებების შეტანა, სტანდარტებისა და პროცედურების განხილვა და სრულყოფა, ისევე, როგორც ცენტრის საქმიანობისა და ბიუჯეტის განხილვა. დისკუსიების პროცესში, ზოგიერთმა დაინტერესებულმა მხარემ გამოთქვა მოსაზრება იმის თაობაზე, რომ მართალია ახალ საკოორდინაციო საბჭოს თავდაპირველად ექნება საკონსულტაციო და მრჩევლის როლი, თუმცა მომავალში იგი შეიძენს მმართველობით ფუნქციებაც.

საკონსულტაციო საბჭოს საბოლოო შექმნამდე, ავტორიზაციის საბჭო, აკრედიტაციის საბჭო და სააპელაციო საბჭო წარმოადგენენ ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებლობის მქონე ოფიციალურ ორგანოებს. როგორც ახალი პროცესი, "ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციისა და სააპელაციო საბჭოების წევრობის კანდიდატთა შერჩევის წესი", 2019 წლიდან განსაზღვრავს ამ ორგანოების წევრობას, შესაბამისად ახლა ეს პირველად ხორციელდება. ამ წესის თანახმად, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ შექმნილი კომისია შეარჩევს კანდიდატებს, რომლებიც შემდეგში მინისტრის მიერ დასამტკიცებლად წარედგინება პრემიერ მინისტრს.

ანალიზი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და პროგრამების გარე ხარისხის უზრუნველყოფა წარმოადგენს ცენტრის ძირითად საქმიანობას უმაღლესი განათლების კუთხით. ეს ხორციელდება რეგულარულად, კარგად არის აღიარებული და მიღებული დაინტერესებულ მხარეთა მიერ. უსდ-ები განიხილავენ ორივე პროცედურას, როგორც მნიშვნელოვანს და ცენტრისა და საერთო ჯამში უმაღლესი განათლების მიზნების განხორციელების ხელშემწყობს. ექსპერტთა ჯგუფმა ამის დასტური მიიღო ყველა დაინტერესებული მხარის კომენტარებიდან, რომელთაც შეხვდა ადგილზე ვიზიტისას და რომლებმაც გამოავლინეს დეტალური ცოდნის მაღალი დონე, ისევე, როგორც კმაყოფილება პროცედურების, კერძოდ, მიმდინარე წლიდან ახალი სისტემის ძალაში შესვლის მიმართ. უფრო მეტიც, ეს მიზნები გაცხადებულია ოფიციალურ დოკუმენტაციაში და ვებგვერდზე. ყველა დაინტერესებული მხარე საერთო ჯამში შეთანხმებულია საქმიანობის, პოლიტიკისა და პროცესების შესახებ.

ცენტრის, კერძოდ უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის, ყოველდღიური საქმიანობა ვითარდება მხოლოდ ავტორიზაციისა და აკრედიტაციის განხორციელების გარშემო. 2017 წლიდან ორივე პროცედურის გადახედვა და ცვლილებების განხორციელება კარგად მოერგო უმაღლესი განათლებისა და ინსტიტუციური სიმწიფის განვითარებას. ჯგუფმა დაადგინა, რომ შენატანზე ორიენტირებული პროცესიდან აქცენტის (რომელიც განიხილებოდა როგორც ძირითადად ბიურიკრატიული) შედეგებსა და გაუმჯობესებაზე ორიენტირებულ პროცესზე გადატანა, ღირებულად შეფასდა დაინტერესებული მხარეების მიერ. ცენტრი ახლა ყოველდღიურ საქმიანობაში ყურადღებას ამახვილებს მოდიფიცირებული სისტემის განხორციელებასა და შემდგომ დახვეწაზე. თუმცა, ამ ანალიზის სიფრთხილის მიზეზი არის ის, რომ ახალი პროცედურები მიმდინარე წელს იმყოფება განხორციელების ადრეულ, პირველი პროცესების განხორციელებისა და გადაწყვეტილებების მიღების ეტაპზე. შესაბამისად, სრული ციკლი, მათ შორის მეთვალყურეობის აქტივობები, ჯერ არ დასრულებულა. ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ მეთვალყურეობისა და მონიტორინგის პროცედურები დეტალურად შემუშავებული ჯერ კიდევ არ არის (იხ. ESG სტანდარტი 2.3).

ვინაიდან ექსპერტთა ჯგუფმა გამოავლინა, რომ სხვადასხვა დაინტერესებული მხარეები, კერძოდ უსდ-ები და სტუდენტები, უაღრესად ჩართულნი არიან ცენტრის პროცესებსა და განვითარებაში, ხოლო ნაკლები ხარისხით - სამოქალაქო ორგანიზაციები და დამსაქმებლები, ჯგუფი აღნიშნავს, რომ კომიტეტებში ოფიციალური წარმომადგენლობის დონე ჯერ კიდევ არასაკმარისია. როგორც ირკვევა, აკრედიტაციის საბჭოში სტუდენტი წევრის ვაკანსიის შევსებას დიდი დრო დასჭირდა, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ სტუდენტთა წევრობა განსაკუთრებულადაა გათვალისწინებული დებულებაში; ამგვარად, აღნიშნული განხილულ იქნა არა როგორც სტრუქტურული, არამედ როგორც უფრო ოპერაციული პრობლემა. მიუხედავად ამისა, საკოორდინაციო საბჭოს დებულება ამჟამად არ ითვალისწინებს სტუდენტის წევრობას. ასე, რომ დაინტერესებულ მხარეთა წარმომადგენლობა ამ კუთხით ნაკლოვანია. ექსპერტთა ჯგუფი მიაჩნებს, რომ ეს ნაკლოვანები კიდევ უფრო გამძაფრდება სამომავლოდ, როდესაც საბჭოს როლი გაფართოვდება. წარმომადგენლობაში სტუდენტის არ შეყვანის მიზეზი იყო

არადამაკმაყოფილებელი, თითქოს ვერ გამოიძებნა პროცესი, თუ როგორ უნდა განსაზღვრულიყო სტუდენტის კანდიდატურის წარდგენა. გაურკვეველია, თუ რატომ არ შეიძლებოდა სხვა წევრებისათვის გამოყენებული პროცესით სარგებლობა, ან აკრედიტაციისა და ავტორიზაციისათვის გამოყენებული წარდგენის მექანიზმები არ შეიძლებოდა გამოყენებულიყო აქაც.

საერთო ჯამში, ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ დაინტერესებულ მხარეთა ნდობა სისტემისა და ცენტრის, მისი საქმიანობისა და გადაწყვეტილებების მიმართ იყო მაღალი. ეს მოიცავს მექანიზმებს, რომლებიც ჯგუფმა მიიჩნია უზვეულოდ, მაგალითად, ავტორიზაციისა და აკრედიტაციის საბჭოებში წევრობა მხოლოდ ერთი წლის ვადით და ამგვარად, როტაციის მაღალი ხარისხი. თუმცა, ამის უკან არსებული არგუმენტები, კერძოდ, სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლების წარმომადგენლობის მაღალი დონე და შესაბამისად, მიღებულ გადაწყვეტილებებთან დათანხმების მაღალი დონე, ისევე, როგორც დაწესებულებებში ხარისხის უზრუნველყოფის ხელშეწყობა, ექსპერტთა ჯგუფისათვის აღმოჩნდა მისაღები ეროვნული კონტექსტის, უსდ-ების განვითარების დონისა და ავტონომიურობის გათვალისწინებით. მიუხედავად ამისა, ეს არ გამოიციხავს აღნიშნული პრაქტიკის განხილვას და შესაძლო გადახედვას დროთა განმავლობაში.

და ბოლოს, ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნავს, რომ არც ერთ საბჭოს არ ჰყავს საერთაშორისო წევრები. მართალია ისინი ამას არ თვლიან სისტემის ფუნქციონირების შემაფერხებლად - თუნდაც იმიტომ, რომ საერთაშორისო ექსპერტები მუდმივად არიან ექსპერტთა ჯგუფების წევრები - მაგრამ ეს სფერო მომავალში შეიძლება კვლავ გახდეს მსჯელობის საგანი.

ძლიერი მხარეები

ცენტრის მიერ გასულ წლებში ახალი სისტემაზე გადაწყობასა და მის განხორციელებაში მიღწეული პროგრესი, ისევე, როგორც დაინტერესებული მხარეების მაღალი დონის ჩართულობა ამ პროცესებში, ახდენს ცენტრის მხრიდან ხარისხის გაუმჯობესებისადმი უდიდესი ვალდებულების დემონსტრირებას.

ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები:

საჭიროა გაუმჯობესდეს ყველა დაინტერესებული მხარის ჩართვა მმართველობაში, განსაკუთრებით იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ საკოორდინაციო საბჭო ჯერ არ არის ჩამოყალიბებული და არ არის გადაწყვეტილების მიმღები ორგანო. სტუდენტი აუცილებლად უნდა იყოს შეყვანილი საკოორდინაციო საბჭოს შემადგენლობაში და, ასევე, გადაიდგას ნაბიჯები არსებული ვაკანსიების შესავსებად.

ექსპერტთა ჯგუფის რჩევები შემდგომი სრულყოფისათვის

მიუხედავად იმისა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა გაიაზრა, თუ რა საფუძველი აქვს ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პარალელური სისტემების არსებობას (იხ. ESG სტანდარტი 2.2), ამ ორი პროცესის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით შესაძლოა გამართლებული იყოს მომავალში ძალისხმევასა და წვლილს შორის ბალანსზე

დაფიქრება, იმის გათვალისწინებით, რომ ამ დროისთვის უსდ-ებს მეტი გამოცდილება ექნებათ ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებში.

ექსპერტთა ჯგუფი, ასევე, მოუწოდებს ცენტრის, განიხილოს ავტორიზაციისა და აკრედიტაციის საბჭოებში საერთაშორისო ექსპერტების ჩართვა, მით უმეტეს, რომ ეს წვლილს შეიტანს მათი გადაწყვეტილებების მიმღებლობასა და პროცესებისადმი ნდობაში.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა: მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ESG სტანდარტი 3.2 ოფიციალური სტატუსი

სტანდარტი:

დაწესებულებას უნდა ქონდეს სამართლებრივი საფუძველი და ოფიციალურად უნდა იყოს აღიარებული კომპეტენტური საჯარო უწყების მიერ ხარისხის უზრუნველყოფის ცენტრად.

მტკიცებულება

ცენტრის სტატუსი, როგორც უმაღლესი განათლების გარე ხარისხის უზრუნველყოფის განხორციელებაზე უფლებამოსილების მქონე ერთადერთი ორგანიზაციისა, "განათლების ხარისხის გაუმჯობესების შესახებ" კანონით არის გათვალისწინებული და, ასევე, დებულებით, ცენტრის, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირის დაფუძნების შესახებ. გარდა ამისა, ეს დებულება, ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ცალკე დებულებებთან ერთად მიუთითებს ცენტრის როლზე, ისევე როგორც გარე ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების პროცედურებსა და შედეგებზე. ცენტრი ოპერირებს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ზედამხედველობით, მაშინ როდესაც ავტორიზაციისა და აკრედიტაციის თაობაზე გადაწყვეტილებები მიიღება შესაბამისი ავტორიზაციისა და აკრედიტაციის საბჭოების მიერ, რომლებიც თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, მტკიცდება პრემიერ მინისტრის ბრძანებით.

ანალიზი

ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ ცენტრის სამართლებრივი საფუძველი კანონსა და დებულებებში, ისევე, როგორც მისი პროცედურები, მკაფიოდაა მითითებული და გამჭვირვალეა დაინტერესებული მხარეებისათვის. უსდ-ები გაგებით ეკიდებიან ცენტრის ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შედეგებს. ცენტრი და მისი გადაწყვეტილებები სრულად არის აღიარებული სახელმწიფო სტრუქტურებისა და ინსტიტუციების მიერ.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა: სრულ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ESG სტანდარტი 3.3 დამოუკიდებლობა

სტანდარტი:

დაწესებულებები უნდა იყვნენ დამოუკიდებელი და საქმიანობდნენ ავტონომიურად. მათ მესამე მხარის გავლენის გარეშე უნდა ჰქონდეთ სრული პასუხისმგებლობა საკუთარ საქმიანობასა და ამ საქმიანობის შედეგებზე.

მტკიცებულება:

ორგანიზაციული დამოუკიდებლობა რეგულირდება საქართველოს კანონით საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ - რომელიც ადგენს, რომ საჯარო სამართლის იურიდიული პირი არის საკანონმდებლო ან სახელმწიფო მმართველობითი ორგანოებიდან გამოყოფილი ორგანიზაცია და რომელიც დამოუკიდებლად, მთავრობის კონტროლის ქვეშ ახორციელებს პოლიტიკურ, სახელმწიფო, სოციალურ, საგანმანათლებლო, კულტურულ და სხვა საზოგადოებრივ აქტივობებს. ამგვარად, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი დაწესებულია ასეთ იურიდიულ პირად. გარდა ამისა, ავტორიზაციისა და აკრედიტაციის დებულებები შესაბამისად განსაზღვრავენ პროცედურებს, სტანდარტებსა და ამ პროცესების შედეგებს, ისევე, როგორც გადაწყვეტილების მიღებასა და მოსაკრებლებს. დირექტორი ხელს აწერს ყველა დოკუმენტს. მისი როლი და უფლებამოსილების ფარგლები განსაზღვრულია ზემოხსენებული კანონით. დირექტორის განთავისუფლების საფუძვლები ასევე დაწესებულია ამ კანონით და დაკავშირებულია ისეთ საკითხებთან, როგორებიცაა სისხლის სამართლის მსჯავრდება ან კანონით განსაზღვრული უფლებამოსილებების სათანადო ფორმით განუხორციელებლობა ოთხ თვეზე მეტი დროის განმავლობაში.

დებულებები წარმოადგენს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ბრძანებებს, თუმცა ოპერაციულ თავისუფლებას აძლევს ცენტრს. დამატებითი წესები და რეგულაციები მტკიცდება ცენტრის დირექტორის მიერ, მაგალითად, შიდაგანაწესის, ან შეფასების ექსპერტების შერჩევა და მათი როლის განსაზღვრა. საბჭოების წევრები ინიშნება პრემიერ მინისტრის მიერ, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის წარდგინებით, საბჭოების წევრების შერჩევის ახალი წესით, რომელიც ძალაში შედის ამ წლის ბოლოდან. ექსპერტების კონკრეტული ავტორიზაციის ან აკრედიტაციის პროცედურებისათვის შერჩევა განსაზღვრულია ექსპერტთა საქმიანობის შესაბამისი წესით და წარმოადგენს ცენტრის პასუხისმგებლობას. გარდა ამისა, ექსპერტთა გადაწყვეტილებების დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა, შედეგების დამოუკიდებლობის გათვალისწინებით, მხარდაჭერილია ეთიკის კოდექსით, რომელსაც ისინი ხელს აწერენ. ეს მოიცავს ინტერესთა კონფლიქტის დეკლარაციას. აღნიშნული ასპექტები, ასევე, წარმოადგენენ ექსპერტთა ტრენინგის შემადგენელ ნაწილს (იხ. ESG სტანდარტი 2.4).

რაც შეეხება შედეგების დამოუკიდებლობას, აკრედიტაციისა და ავტორიზაციის გადაწყვეტილებების მიღება ეხება მხოლოდ შესაბამის საბჭოებს. ორივე საბჭო იღებს გადაწყვეტილებებს კენჭისყრით, რომლის შედეგები ქვეყნდება, შესაბამისად

კონკრეტული წევრების ხმის მიცემა გამჭვირვალეა.

ანალიზი

ექსპერტთა ჯგუფმა ყურადღება გაამახვილა ცენტრის ორგანიზაციულ მოწყობასა და სამინისტროს, დირექტორისა და საბჭოების უფლებამოსილებათა განაწილებაზე. ექსპერტთა ჯგუფი შეშფოთებული იყო იმით, რომ მინისტრს შეუძლია დირექტორის თანამდებობიდან გათავისუფლება შედარებით ბუნდოვანი საფუძველით, მაგალითად, რა შეიძლება იყოს განხილული დირექტორის როლის არასათანადო შესრულებად. ცენტრის დირექტორი ხშირად იცვლება ბოლო წლების განმავლობაში. ახალი დირექტორი დანიშნულია ადგილზე ვიზიტამდე სულ რამოდენიმე კვირით ადრე. ექსპერტთა ჯგუფი, მიიჩნევს, რომ მინისტრის უფლება საბჭოების წევრების დანიშვნასა და გათავისუფლებაზე არ უწყობს ხელს ორგანიზაციულ დამოუკიდებლობას. ამავდროულად, საბჭოების წევრების შერჩევის ახალი წესი არ ამცირებს ამ პრობლემას, რადგან შერჩევის კომიტეტს თავად ქმნის სამინისტრო ყოველგვარი მკაფიო განსაზღვრის გარეშე და ბუნდოვანია, თუ როგორ ინიშნებიან შერჩევის კომიტეტის წევრები. ამით არ გამოირიცხება ამ კომიტეტის მიკერძოებულობა და ზრდის ობიექტური დასაბუთების გარეშე გადაწყვეტილების მიღების რისკს. ექსპერტთა ჯგუფი ხვდება, რომ ცენტრის მხრიდან იყო გარკვეული სურვილი მეტი კონტროლის მოპოვებისა დირექტორის დანიშვნის საკითხში საკოორდინაციო საბჭოს მეშვეობით ან დამოუკიდებლობის გაზრდაში თავად შემუშავებული კანონქვემდებარე აქტით. იმის გათვალისწინებით, რომ ექსპერტთა ჯგუფის ეჭვები ნაწილობრივ მაინც უკავშირდება ახალ პროცესს, ანუ შერჩევის წესს, დირექტორის ბევრი ცვლილების ისტორია ხშირად თან ახლდა ახალი მინისტრის დანიშვნას, ხოლო ოპერაციული დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის ზომები ექსპერტთა ჯგუფს სრულად ვერ არწმუნებს ორგანიზაციულ დამოუკიდებლობაში. გარდა ამისა, ექსპერტთა ჯგუფი ინტენსიურად იხილვდა დაინტერესებულ მხარეებთან დისკუსიებში მინისტრის, როგორც საკოორდინაციო საბჭოს წევრის როლს იმ კუთხით, რომ ამან შესაძლოა ხელი შეუშალოს დამოუკიდებლობას. დაინტერესებულმა მხარეებმა ცენტრიდან, დაწესებულებებიდან, ისევე როგორც სამინისტროდან, დაადასტურეს თავისი შეხედულება და მოლოდინი, რომ მინისტრი იქნება მხოლოდ ერთ-ერთი წევრი ბევრთაგან და არც ერთ შემთხვევაში საბჭოს თავმჯდომარე. ამ გზით, მათი აზრით, მინისტრის წევრობა გაზრდის საბჭოს ანგარიშვალდებულებას, რადგან მინისტრი იქნება ერთი დაინტერესებული - განათლების საკითხებში პოლიტიკის შემუშავების როლის მქონე ორგანიზაციის წარმომადგენელი. ექსპერტთა ჯგუფს ესმის მოყვანილი არგუმენტების მნიშვნელობა, თუმცა ფრთხილობს იმის თაობაზე, თუ როგორ შეიძლება ამან იმოქმედოს დამოუკიდებლობაზე საბჭოს ამოქმედების შემდეგ, კერძოდ კი მომავალში ცენტრში უფრო ძლიერი როლის შესრულების შემთხვევაში.

ოპერაციული დამოუკიდებლობის საკითხებთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფს აქვს ნაკლები პრეტენზიები. ექსპერტთა შერჩევა და დანიშვნა ავტორიზაციისა და აკრედიტაციისათვის რჩება სრულად ცენტრის განკარგულებაში და სახელმწიფოსა და უსდ-ებისაგან არავითარ ჩარევას არა აქვს ადგილი. ამავდროულად, ვინაიდან სტანდარტები და პროცედურები დაწესებულია სამინისტროს მიერ დამტკიცებულ

დებულებაში და დაინტერესებული მხარეები არიან ინტენსიურად კონსულტირებულნი, მათი შემუშავება მთლიანად რჩება ცენტრის განკარგულებაში.

ანალოგიურად, ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ შედეგების დამოუკიდებლობა ეყრდნობოდა საბჭოებში ღია კენჭისყრის პრაქტიკას. მაშინაც კი, როდესაც კენჭისყრის პროცესი ხორციელდება დახურული კარების მიღმა, საბჭოს თითოეული წევრის გადაწყვეტილება ქვეყნდება ოქმში. ექსპერტთა ჯგუფი აცნობიერებს, რომ ეს გაკეთდა გადაწყვეტილების მიღების სრული გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად. დაინტერესებული მხარეების აზრით, ეს აუცილებელი იყო მცირე უმაღლესი განათლების სექტორის გამო, სადაც მოთამაშეების უმეტესობა კარგად იცნობენ ერთმანეთს. ამავდროულად, ამან შესაძლოა გამოიწვიოს რისკები დაბალი ქვორუმის - წევრთა მხოლოდ ნახევარის და არანაკლებ 3 წევრის დასწრების შემთხვევაში. გარდა ამისა, ჯგუფმა გამოთქვა შემოთქვა იმასთან დაკავშირებით, რომ ვინაიდან კენჭისყრა საჯაროა, გადაწყვეტილების მიღება სულ ცოტა შეიცავს რისკს, რომ ხმის მიცემა მოხდება მაძიებელი დაწესებულების, თუმცა ასევე დამნიშვნელი ორგანოს - სამინისტროს, გულის მოსაგებად. მიუხედავად ამისა, ექსპერტთა ჯგუფმა გაითვალისწინა, რომ ყველა პარტნიორი საბჭოებიდან, ვისთანაც აწარმოეს დისკუსიები, მიიჩნევს, რომ მათ მიერ ხმის მიცემაზე არ აქვთ გავლენა არც სამინისტროს და არც მაძიებელ უსდ-ს. ეს უკანასკნელი ინტენსიურად იქნა განხილული, რადგან უსდ-ები სარგებლობენ წარმომადგენლობით, ზეპირი მოსმენით იმ საბჭოს სხდომის დროს, რომელზეც მიიღება გადაწყვეტილება. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ ეს პრაქტიკა უჩვეულოა და იმსახურებს შემდგომ განხილვას (იხ.ESG სტანდარტი 2.2).

საბოლოოდ, ექსპერტთა ჯგუფმა დაინახა წევრების მხრიდან სულ ცოტა მიკერძოებული ხმის მიცემის რისკი სამინისტროს მოლოდინების შესაბამისად, გადაწყვეტილების მიმღები ორგანოებში მოკლე, მხოლოდ ერთი წლის ვადით, დანიშვნის გამო.

ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები:

უზრუნველყოფილ უნდა იქნას აბსოლუტური დამოუკიდებლობა სახელმწიფოსგან, რათა მინისტრს არ ჰქონდეს უფლებამოსილება გაათავისუფლოს დირექტორი ან საბჭოს წევრი სერიოზული მიზეზების გარეშე, რომელთა გარემოებანიც უფრო გამჭვირვალედ უნდა განისაზღვროს, ვიდრე უბრალოდ „შეუსაბამო ქმედება“.

ექსპერტთა ჯგუფს, ასევე, მიაჩნია, რომ ცენტრმა უფრო მეტი პასუხისმგებლობა უნდა აიღოს საბჭოს, როგორც გადაწყვეტილების მიმღები ორგანოს შემადგენლობის დასახელებაზე, რისი უფლებაც, ახალი რეგულაციების თანახმად, მინიჭებული აქვს სამინისტროს.

ექსპერტთა ჯგუფის რჩევები შემდგომი სრულყოფისათვის

ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, ცენტრის საქმიანობის რიგი თანამედროვე მექანიზმები, გამომდინარე ცენტრისა და მისი ორგანოების სამართლებრივი სტატუსიდან, მოქმედებს ეროვნული ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად. თუმცა, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ სააგენტოსათვის სასარგებლო იქნებოდა, შესწავლილიყო

ადმინისტრაციული კოდექსის ფარგლებს გარეთ მუშაობის შესაძლებლობა, რაც მის დამოუკიდებლობის ხარისხს გაზრდიდა.

**ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა: ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
ESG სტანდარტი 3.4 თემატური ანალიზი**

სტანდარტი:
ცენტრი რეგულარულად უნდა აქვეყნებდნენ ანგარიშებს, რომლებიც აღწერენ და ანალიზებენ მათი გარე ხარისხის უზრუნველყოფის აქტივობების ზოგად მიგნებებს.

მტკიცებულება:

ცენტრის თვითშეფასების თანახმად თემატური ანალიზი განვითარების სტადიაშია. მიუხედავად ამისა, ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების ანალიზი და წინა სისტემების შედეგები ჩატარებული და გამოქვეყნებულია წლიური ანგარიშების ფორმით, რომლების შესახებაც მსჯელობა წარიმართა დაინტერესებულ მხარეებთან. ანალოგიურად, გასულ წელს განხორციელებული ახალი სისტემის საცდელი პროექტების ანალიზი ამჟამად სრულდება და მოსალოდნელია, რომ დაინტერესებულ მხარეებთან იქნება გაზიარებული და განხილული წლის ბოლოს გასამართ კონფერენციაზე.

უფრო მეტიც, ახალი ტვინინგის პროექტი ფიში (Fiche) ითვალისწინებს, რომ თემატური ანალიზის შემუშავების მეთოდოლოგია და უმაღლესი განათლების სექტორში სულ მცირე ერთი თემატური ანალიზის დასრულება არის მიღწევის ერთი ინდიკატორი (კომპონენტი 1).

ანალიზი

ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ წინა წლიურ ანგარიშებში გაკეთებული ანალიზი გარკვეულწილად იყო თემატური ანალიზისაკენ გადადგმული ნაბიჯი. ყოველწლიურმა კონფერენციამ ასევე მხარი დაუჭირა მოვლენების, ტენდენციებისა და კარგი პრაქტიკის სფეროების წარმოჩენის მიზანს. მიუხედავად იმისა, რომ თავდაპირველად არ იყო თემატური ანალიზის მიზნით, ESG-ის მიხედვით, წარმოებული, ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ წინა წლიური ანგარიშები შეიცავდა პროცედურების შედეგების ანალიტიკურ სეგმენტებს. წინა წლებში ეს პრაქტიკა ხორციელდებოდა ძველი სისტემით და შეფასების პერიოდში მოქმედებდა ახალი სისტემით. ექსპერტთა ჯგუფმა დადებითად შეაფასა ის, რომ ანალიზის ანგარიშები ყოველთვის განიხილებოდა დაინტერესებულ მხარეებთან, რითაც წვლილი შეჰქონდა სექტორის მასშტაბით ანალიზსა და ასახვაში.

თუმცა, ყურადღება მიექცა იმას, რომ მუშაობის განმავლობაში ცენტრის პერსონალი განიცდის გამოყენებითი ანალიტიკური უნარების უქონლობას. ამ კუთხით, ექსპერტთა ჯგუფმა ასევე აღნიშნა, რომ შეკრებილი მონაცემები ჯერ კიდევ არ არის სისტემატიზებული, რის გამოც ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესებიდან მიღებული დიდი მოცულობის მონაცემები და ინფორმაცია ვერ იქნა ნათლად გამოყენებული, რათა გაემდიდრებინა ხარისხის უზრუნველყოფის შედეგების

თანმიმდევრული ანალიზი.

საერთო ჯამში, ექსპერტთა ჯგუფი მხარს უჭერს თემატური ანალიზის მეთოდოლოგიის შემუშავების გეგმას მომავალი თვინინგის პროექტის ფარგლებში, რომელიც როგორც მოსალოდნელია დაიწყება 2019 წელს და გასტანს ორ წელს. გარდა ამისა, ექსპერტთა ჯგუფისათვის ცნობილი გახდა საცდელი პროექტების ანალიზის დასრულების შესახებ, რომლის პრეზენტაციაც განხორციელდება წლის ბოლოს დაგეგმილ კონფერენციაზე, და მოიწონა, რომ როგორც თავად საცდელი პროექტები, ისე ანალიზი მოითხოვდა დიდ ძალისხმევასა და რესურსებს.

ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები:

ცენტრმა უნდა გამოიყენოს „თვინინგის პროექტი“ სისტემური ანალიზის განხორციელების მდგრადი მეთოდოლოგიის დანერგვის მიზნით, რაც პროექტის დასრულების შემდეგაც გაგრძელდება.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა: მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ESG სტანდარტი 3.5 რესურსები

სტანდარტი:

საქმიანობის განსახორციელებლად ცენტრს უნდა გააჩნდეს ადეკვატური და შესაფერისი ადამიანური და ფინანსური რესურსები.

მტკიცებულება

ცენტრის ფინანსური რესურსები წარმოიქმნება შემოსავლის ორი ძირითადი წყაროდან, სახელმწიფო ბიუჯეტიდან და მოსაკრებლებით გენერირებული საკუთარი შემოსავლებიდან. გასული სამი წლის განმავლობაში თითოეული მათგანი შეადგენდა დაახლოებით შემოსავლის ნახევარს. საბიუჯეტო, ანუ სახელმწიფო დაფინანსება, ძირითადად, გამოიყენება ადმინისტრაციული ხარჯებისა და აქტივობებისათვის. დამატებითი სახელმწიფო დაფინანსება სამთავრობო პროგრამიდან "უმალღესი განათლების ხარისხის განვითარება და ინტერნაციონალიზაცია", ასევე გამოიყენება კადრების მომზადების, ყოველწლიური კონფერენციის, ისევე როგორც საერთაშორისო ექსპერტების ხარჯების დასაფარად.

ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცედურების მოსაკრებელი წარმოადგენს საკუთარი შემოსავლების ძირითად წყაროს. მოსაკრებლის ოდენობა უსდ-ებთან კონსულტაციების შედეგად გადაიხედა 2017/18 წლებში, რათა დადგენილიყო გონივრული ოდენობა როგორც დაწესებულებებისათვის, ისე ცენტრის საკუთარი შემოსავლების გაზრდისათვის. დისკუსიების მსვლელობაში ყველა დაინტერესებულმა მხარემ გამოთქვა კმაყოფილება მოსაკრებლის სტრუქტურასთან დაკავშირებით.

ადამიანური რესურსების კუთხით, ცენტრში ტექნიკური პერსონალის გარდა დასაქმებულია 149 თანამშრომელი, რომელთაგან 136 მუდმივ კონტრაქტზეა. ყველა თანამშრომელი ხარისხის მფლობელია, მათ შორის 70% მაგისტრის ხარისხის. თანამშრომელთა უმეტესობა დასაქმებულია 5 წელზე მეტი ხნის განმავლობაში.

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტში, რომელიც პასუხისმგებელია ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცედურების მართვაზე, ამჟამად დასაქმებულია 13 სრულ განაკვეთზე მომუშავე თანამშრომელი. აქვე ასევე აქვთ 2019 წლის დასაწყისისათვის უფრო მეტი თანამშრომლის მოზიდვის უშუალო გეგმები, რისთვისაც ბიუჯეტი უკვე დაგეგმილია. იმის გათვალისწინებით, რომ მომავალი წლისათვის მოსალოდნელია პროცედურების რაოდენობის ზრდა, მხოლოდ აკრედიტაციის დეპარტამენტში გათვალისწინებულია ბიუჯეტი 12 თანამშრომლისათვის. სხვა დეპარტამენტებია - სტრატეგიული განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი, შიდა აუდიტის დეპარტამენტი, ისევე როგორც ადამიანური რესურსებისა და ფინანსური სამმართველოები.

პერსონალის განვითარება ხორციელდება სხვადასხვა დეპარტამენტების მიერ იდენტიფიცირებული საჭიროებების საფუძველზე. მიმდინარე წელს აკრედიტაციისა და ავტორიზაციის პერსონალისთვის ჩატარდა ტრენინგი კონფლიქტების მართვაში. ბიუჯეტში გამოყოფილია პერსონალის განვითარების ხარჯები.

მატერიალური რესურსები მოიცავს ცენტრის ოფისს, საოფისე ოთახებითა და შეხვედრების დარბაზებით, რომელიც მისი საკუთრებაა, ისევე როგორც, ინფრასტრუქტურა კომპიუტერებითა და სხვა აღჭურვილობით.

ანალიზი

ექსპერტთა ჯგუფი თვლის, რომ ცენტრის რესურსები სათანადოა ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების ეფექტური და ეფექტიანი განხორციელებისათვის. ცენტრის შემოსავლები აგებულია სამინისტროსა და საკუთარი შემოსავლების სათანადო მედელობაზე, ბალანსის საკუთარი შემოსავლების ზრდის მხარეს გადახრით. ეს ხელს უწყობს სამინისტროსაგან დამოუკიდებლობის მიღწევას. ექსპერტთა ჯგუფს შეექმნა შთაბეჭდილება, რომ პროცედურების მოსაკრებლებს ყველა დაინტერესებული მხარე მიიჩნევს სათანადო საშუალებად, ცენტრის შემოსავლების უზრუნველსაყოფისათვის. კერძოდ, მოსაკრებლების ახალი სისტემა, რომელიც ეყრდნობა პროგრამების რაოდენობას, მოცულობას და ექსპერტთა რაოდენობას მიმოხილვის ჯგუფებში, წარმოადგენს ძველი, ერთიან თანხაზე დაფუძნებული სისტემის გაუმჯობესებას, რომელიც ვერ ფარავდა პროცედურების მთელ ღირებულებას. გარდა ამისა, ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნა, რომ გასული და მიმდინარე წლის განმავლობაში აუთვისებელი თანხების არსებობა, მეტყველებს რესურსების მდგრად გამოყენებაზე. ცენტრმა წარმოადგინა ჭარბი თანხების გამოყენების გეგმები, კერძოდ, იმ უფასო მომსახურებების დასაფინანსებლად, როგორცაა: სტუდენტთა მობილობის აღიარება და განვითარებაზე ორიენტირებული ტრენინგები. მომავალი წლისათვის ასევე დაგეგმილია ექვსი ტრენინგი ავტორიზაციისა და აკრედიტაციისათვის, რომლებიც გენერირებული შემოსავლების ხარჯზე უფასო იქნება მონაწილეთათვის. ასეთი მიდგომა ექსპერტთა ჯგუფმა ჩათვალა შექების ღირსად.

მიუხედავად იმისა, რომ ცენტრი განსაზღვრავს საკუთარ ბიუჯეტს და საჭიროებისამებრ გამოიყენებს შემოსავლებს, ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნავს, რომ სამინისტროს მიერ ბიუჯეტის დამტკიცების პროცესები საკმაოდ გრძელვადიანია. ეს ნიშნავს, რომ ცენტრმა უნდა წარადგინოს თავისი ბიუჯეტი, მათ შორის ხარჯვითი ნაწილი მაისში, ხოლო იგი მტკიცდება მხოლოდ დეკემბერში. თუმცა ეს არ აფერხებს ცენტრის ფუნქციონირებას, ამასთან, ცენტრს შეუძლია სამინისტროს დამატებითი ნებართვის გარეშე 10 პროცენტამდე თანხის გადატანა ბიუჯეტის ერთი მუხლიდან მეორეში.

ადამიანური რესურსების კუთხით, უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტში პერსონალის რაოდენობა იყო დაბალი ცენტრის პერსონალის საერთო რაოდენობასა და დატვირთვასთან მიმართებაში. კერძოდ, ექსპერტთა ჯგუფმა შენიშნა, რომ დეპარტამენტის აქტივობა აღწევდა პიკს, როდესაც ბევრი პროცედურა ხორციელდებოდა ერთდროულად. თუმცა, ასეთ შემთხვევებში მდგომარეობის გამოსწორების აქტივობები შეფასდა, როგორც სათანადო. უფრო კონკრეტულად, ერთი სტრუქტურული ერთეულის პერსონალის მიმაგრება ხდება დასახმარებლად იმ დეპარტამენტში, რომელშიც მაღალია დატვირთვა. ამისათვის დამატებითი სახსრები გამოყოფილია მომავალი წლის ბიუჯეტში, თუმცა რესურსების გადანაწილება არ არის მარტივი, ვინაიდან სამინისტროს ნებართვას საჭიროებს. ექსპერტთა ჯგუფი, ასევე, აღნიშნავს, რომ დეპარტამენტის გასაძლიერებლად ახლო მომავალში აყვანილი იქნება დამატებითი პერსონალი.

ექსპერტთა ჯგუფის რჩევები შემდგომი სრულყოფისათვის

სასარგებლო იქნებოდა, სამინისტროს მიერ ბიუჯეტის დამტკიცების მიერ შესაძლებელი იყოს მუხლებს შორის სახსრების 10 პროცენტზე ოდნავ მეტი მოქნილობით გადანაწილება.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ESG სტანდარტი 3.6 შიდა ხარისხის უზრუნველყოფა და პროფესიული ქცევა

სტანდარტი:

დაწესებულებებს სახეზე უნდა ჰქონდეთ შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პროცესები, დაკავშირებული მათი საქმიანობის განსაზღვრასთან, ხარისხისა და კეთილსინდისიერების უზრუნველყოფასა და განვითარებასთან.

მტკიცებულება:

2015 წლიდან ცენტრის შიდა ხარისხის უზრუნველყოფა მისდევს ხარისხის მართვის ევროპული ფონდის (EFQM) მოდელს, როგორც ეს მითითებულია "NCEQE-ს საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებში", დირექტორის მიერ დამტკიცებულ NCEQE-ს შიდაგანაწესის დანართში. EFQM Excellence Model-ის ინსტრუმენტები გამოიყენება ცენტრის საქმიანობის დაგეგმვაში, განხორციელებაში, შეფასებასა და გაუმჯობესებაში. ამ

მოდელის თანახმად, ინსტიტუციური თვითშეფასება ხორციელდება ყოველ ორ წელიწადში ერთხელ. უკანასკნელი გარე რევიზიის შედეგებმა სააგენტოს მიანიჭა "Committed to Excellence" სტატუსი, ხოლო 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმა მოწოდებულია EFQM-ის ინსტრუმენტების შემდგომი დანერგვისათვის.

სტრუქტურული ერთეულების მიერ სტრატეგიისა და სამუშაო გეგმების განხორციელებას ზედამხედველობს სტრატეგიული განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი. წლიური ანგარიშები აჯამებს სტრუქტურული ერთეულების ძირითად აქტივობებს და შესრულებას და ქვეყნდება ქართულად, ცენტრის ვებ-საიტზე.

ცენტრის ხელმძღვანელობის ყოველკვირეული თათბირები ყველა ერთეულის უფროსებთან წარმოადგენს ყოველდღიური საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფას. ამ თათბირებიდან კომუნიკაცია გადაეცემა პერსონალს ერთეულების შიგნით, ყოველკვირეული შეხვედრების მეშვეობით.

დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა და მათი უკუკავშირის შეკრება წარმოადგენს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მნიშვნელოვან ნაწილს და ძირითადად ხორციელდება გამოკითხვების მეშვეობით. პერსონალის კმაყოფილების შესწავლა ხორციელდება შიდა კვლევებით, ხოლო მომხმარებელთა კმაყოფილების შესწავლა - გარე კვლევებით. შემდეგ შედეგები ანალიზდება, განიხილება და თუ საჭიროა - აისახება ქმედებაში.

რაც შეეხება ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცედურების ხარისხის უზრუნველყოფის სპეციფიკას, თითოეული ადგილზე ვიზიტის შემდეგ დაწესებულებებს სთხოვენ წარმოადგინონ უკუკავშირი ექსპერტთა ჯგუფის მუშაობის შესახებ. გარდა ამისა, ჯგუფის წევრებსაც ასევე სთხოვენ შეფასებას, ხოლო თავმჯდომარე წარმოადგენს მოსაზრებას ექსპერტთა ჯგუფის წევრების შესახებ. შემდეგი გამოხმაურებები იკრიბება NCEQE-ს მიერ ორგანიზებული ღონისძიებებიდან, საჩივრებიდან ან განცხადებებიდან.

შიდა აუდიტის დეპარტამენტი ატარებს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის განხორციელების მონიტორინგს. 2015 წლიდან ხორციელდება ფინანსური, ოპერაციული და შესაბამისობის აუდიტი იმის უზრუნველსაყოფად, რომ ცენტრი და ყველა მისი სტრუქტურული ერთეული შესაბამისობაშია საკუთარ რეგულაციებთან და დებულებებთან, ისევე, როგორც სხვა საკანონმდებლო მოთხოვნებთან. დეპარტამენტი, ასევე, მონიტორინგს უტარებს აუდიტის რეკომენდაციების განხორციელებას. ამდენად, დეპარტამენტი ასრულებს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციას ავტორიზაციისა და აკრედიტაციის დეპარტამენტებსათვისაც, რომლებიც თავის მხრივ დაინტერესებული მხარეების უკუკავშირს აანალიზებს, რათა მიღებული შედეგები გამოიყენოს პროცედურებისა და კრიტერიუმების განახლების გასამდიდრებლად. საკუთარ დაინტერესებულ მხარეებთან, კერძოდ: მთავრობასთან, უსდ-ებთან და ექსპერტებთან ანგარიშვალდებულება ვლინდება მათი ინფორმირებულობისა და ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაციების მეშვეობით. გარდა ამისა, ფორმალური და არაფორმალური დისკუსიები და კომუნიკაცია ცენტრსა და ადგილობრივ დაინტერესებულ მხარეებს, კერძოდ სამინისტროსა და დაწესებულებების წარმომადგენლებს შორის, ხდება მუდმივად.

NCEQE-ს პერსონალი ექვემდებარება შესრულების მონიტორინგს, წელიწადში ორჯერ.

პერსონალის განვითარების დადგენილი საჭიროებები შესაძლოა იყოს ამ შეფასებების შედეგი, რამაც თავის მხრივ, შესაძლოა მიგვიყვანოს ინდივიდუალური განვითარებისა და ტრენინგის გეგმებთან. თანამშრომლებისთვის ასევე მოქმედებს ქცევის კოდექსი.

ექსპერტთა კომპეტენცია და ქცევა უზრუნველყოფილია ერთის მხრივ ტრენინგით და მეორეს მხრივ ექსპერტთა ეთიკის კოდექსით. ეს მოიცავს ნებისმიერი ეთიკური კონფლიქტის პრევენციას. გარდა ამისა, სამოქალაქო ადმინისტრაციული აქტი ეხება მთელ პერსონალს, საბჭოს წევრებს, ექსპერტებს და ზოგადად არეგულირებს ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილებას.

თანასწორობის პრინციპი განიხილება, როგორც ხარისხისადმი ვალდებულების ნაწილი და თან სდევს ყველა პოლიტიკას და სამუშაო პრაქტიკას, მაგალითად, აპლიკანტი დაწესებულების მიმართ მოპყრობას.

ანალიზი

დადგინდა, რომ შიდა ხარისხის უზრუნველყოფა მხარდაჭერილია EFQM მოდელის ინსტრუმენტებით. ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნავს, რომ შეფასებები და კვლევები, სხვა აქტივობებთან ერთად, როგორებიცაა მრგვალი მაგიდა და თათბირები, წარმოადგენენ შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ძირითად შემადგენელ ნაწილს. საერთო ჯამში, შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა აღმოჩნდა მეტად ყოვლისმომცველი. მიუხედავად იმისა, რომ დაინტერესებულ მხარეთა გამოხმაურებების საფუძველზე გაუმჯობესების მრავალი ღონისძიება ხორციელდება თავად უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის მიერ, შიდა აუდიტის დეპარტამენტი ეხმარება სისტემატური პროცესების განხორციელებაში. უფრო კონკრეტულად, ავტორიზაციასა და აკრედიტაციასთან მიმართებაში, უკუკავშირის ფორმა და კომუნიკაცია დაინტერესებულ მხარეებთან აღმოჩნდა მტკიცე. ამგვარად, NCEQE კარგად არის პოზიციონირებული, რომ გამოიყენოს დიდი რაოდენობით მონაცემები, რომელსაც იგი იღებს კვლევების და შეხვედრების შედეგად. ყველა ინტერვიუს შემდეგ, კერძოდ კი ინტერვიუები უსდ-ების წარმომადგენლებთან და პერსონალთან, ექსპერტთა ჯგუფს დარჩა შთაბეჭდილება, რომ ცენტრის დამოკიდებულება მისი გარე ხარისხის უზრუნველყოფის პროცედურების მუდმივი განვითარებისა და სრულყოფის მიმართ ძალიან სერიოზულია. ეს ასევე ჩანს იმ ფაქტიდან, რომ სტანდარტებისა და პროცედურების მოქმედი ვერსია შემუშავებულ იქნა გამოცდილებასა და ადრინდელი ვერსიის გასაუმჯობესებელი სფეროების იდენტიფიცირების საფუძველზე, ასევე, დაინტერესებულ მხარეთა ფართო ჩართულობით, რათა გარანტირებული ყოფილიყო მათი მხრიდან ამ ვერსიის აღიარება. გარე მიმოხილვის მომზადების გარშემო არსებული კონსულტაციები მხარდაჭერილი იყო დებულების დანართით, რომელმაც პირველად მოახდინა შიდა ხარისხის უზრუნველყოფის ელემენტების სისტემატიზაცია.

გარდა ამისა, ექსპერტთა ჯგუფი მიესალმება, რომ მომავალი წლიდან ამოქმედდება ე.წ. "ხარისხის სკოლა" და მოემსახურება როგორც პერსონალის ხარისხის უზრუნველყოფის კომპეტენციის გაუმჯობესებას, ისე უსდ-ების ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტების გარე ექსპერტებში. ეს ხელს შეუწყობს ექსპერტიზის შემდგომ

განვითარებას და ამით სარგებელს მიიღებს როგორც გარე, ისე შიდა ხარისხის მენეჯმენტი.

ნებისმიერი სახის დისკრიმინაციის წინააღმდეგ პერსონალისა და დაცვის წევრების პროფესიული ქცევის თვალსაზრისით, ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ ცენტრი და მისი პერსონალი ექვემდებარება და იცავს საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსს. გარდა ამისა, შიდაგანაწესი მიუთითებს, თუ როგორ უნდა მოახდინოს რეაგირება ცენტრმა გასაჩივრების, აპელაციისა და გადაცდომის ნებისმიერი გამოვლენის შემთხვევაში. ეს გამოქვეყნებულია ცენტრის ვებსაიტზე ქართულ ენაზე. შიდა აუდიტის დეპარტამენტის როლი ამგვარ შემთხვევებში, ასევე, მიუთითებულია ცენტრის დებულებაში. სასიამოვნო იყო იმის აღმოჩენა, რომ ამგვარ შემთხვევებს ჯერ ადგილი არ ჰქონია. ექსპერტთა ჯგუფს არ მიუღია მინიშნება იმის თაობაზე, რომ დისკრიმინაცია თუ შეუწყნარებლობა წარმოადგენდა რაიმე რისკს. თუმცა, ისინი მიიჩნევენ, რომ ცენტრის თანამშრომელთა პროფესიული ქცევა უნდა სცდებოდეს იმ დისციპლინური პროცედურების ფარგლებს, რომელსაც ამ კონტექსტში მიუთითებს ცენტრი. მიუხედავად იმისა, რომ დისკრიმინაციისა და შეუწყნარებლობის რისკისაგან დაცვა ზოგადი ეროვნული კოდექსის ნაწილია, ექსპერტთა ჯგუფი ვერ დარწმუნდა, რომ ცენტრსა და თანამშრომლებს კარგად ესმოდათ მათი მნიშვნელობა, რადგან ზოგიერთ თანამშრომელს გაუჭირდა ამ საკითხებზე დისკუსია. ამ მიმართულების შემდგომი გაგება შესაძლოა სასარგებლო იყოს, კერძოდ როდესაც გარე ხარისხის უზრუნველყოფის სპეციფიკის გადახრა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსისაგან საგრძნობია.

ექსპერტთა ჯგუფმა, ასევე დაადგინა, რომ ამ დროისთვის განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი ESG-ის ფარგლებში საქმიანობის განხორციელებისათვის არ მუშაობს რომელიმე ქვე-კონტრაქტორთან.

ძლიერი მხარეები

ექსპერტთა ჯგუფი იწონებს NCEQE-ს მიერ EFQM Excellence Model-ის გამოყენებას, ისევე, როგორც შეფასების საფუძვლიანი სისტემის არსებობას.

ექსპერტთა ჯგუფის რჩევები შემდგომი სრულყოფისათვის

სასურველია, რომ NCEQE-მ გააფართოვოს და გადახედოს ქცევის კოდექსს, რათა დარწმუნდეს, რომ შეუმწყნარებლობისა და დისკრიმინაციის წინააღმდეგ დაცვის მექანიზმები სათანადოა.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ESG სტანდარტი 3.7 ცენტრის პერიოდული გარე მიმოხილვა

სტანდარტი:

ევროპულ სტანდარტებსა და სახელმძღვანელო პრინციპებთან შესაბამისობის დემონსტრირების მიზნით ცენტრებმა გარე შეფასება უნდა გაიარონ ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ მაინც.

მტკიცებულება:

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის პირველ ოფიციალურ მიმოხილვას ESG 2015-ის შესაბამისობასთან დაკავშირებით. ESG-ს შესაბამისობის დასადგენად, წინა გარე მიმოხილვები განვითარების მიზნით განხორციელდა ევროსაბჭოს მიერ დაფინანსებული პროექტების ფარგლებში და წვლილი შეიტანა ავტორიზაციისა და აკრედიტაციის არსებული სტანდარტების დანერგვაში.

ანალიზი

მიუხედავად იმისა, რომ ეს იყო ESG სტანდარტების შესაბამისობის პირველი ოფიციალური მიმოხილვა ENQA-ს წევრობისა და EQAR-ში დარეგისტრირების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფმა დადებითად შეაფასა წინასწარ ჩატარებული არაფორმალური მიმოხილვები, რომლებიც გამოყენებულ იქნა განათლების ხარისხის განვითარების შემდგომი განვითარების დასასაბუთებლად. ექსპერტთა ჯგუფი მიესალმება სააგენტოს გეგმას, გაიაროს ESG რეგულარული ციკლური მიმოხილვა, როგორც ამას მოითხოვს ENQA-ს წევრობა და EQAR-ში დარეგისტრირება.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ESG ნაწილი 2: გარე ხარისხის უზრუნველყოფა

ESG სტანდარტი 2.1 შიდა ხარისხის უზრუნველყოფის გათვალისწინება

სტანდარტი:

გარე ხარისხის უზრუნველყოფამ უნდა შეამოწმოს ESG-ს პირველ ნაწილში აღწერილი შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების ეფექტურობა.

მტკიცებულება

ESG-ს პირველი ნაწილის სტანდარტები შეტანილია ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სტანდარტებში, როგორც ეს მითითებულია შესაბამის დებულებებში. ცენტრმა წარმოადგინა ESG-ს პირველი ნაწილის შემდეგი შესაბამისობა ორივე პროცედურასთან.

ESG სტანდარტები	სტანდარტები ინსტიტუციური ავტორიზაციისათვის	სტანდარტები პროგრამული აკრედიტაციისათვის
1.1 ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა	2. უსდ ორგანიზაციული სტრუქტურა და მენეჯმენტი 2.2 შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები 2.3 ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპებზე დაკვირვება	1.1 პროგრამის მიზნები 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები 2.2 პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი 5. სწავლების ხარისხის გაუმჯობესების შესაძლებლობები
1.2 პროგრამების დაგეგმვა და დამტკიცება	2.2 შიდა ხარისხის უზრუნველყოფა 3. საგანმანათლებლო პროგრამები 3.1 საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვა და შემუშავება 3.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი 3.3 სწავლის შედეგების შეფასება	1.1 პროგრამის მიზნები 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი 4. პრაქტიკული/სამეცნიერო/კვლევითი/ შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარები
		5.3 პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული მიმოხილვა
1.3 სტუდენტზე ორიენტირებული სწავლა, სწავლება და შეფასება	ავტორიზაციის სტანდარტების დანერგვა 3.1 საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვა და შემუშავება 3.2 საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი	2.5 სწავლა-სწავლების რესურსები 2.6 სტუდენტის შეფასება

	<p>3.3 სწავლის შედეგების შეფასება</p> <p>5.2 სტუდენტთა მხარდაჭერის სერვისები</p>	
<p>1.4 სტუდენტების დაშვება, პროგრესი, აღიარება და სერტიფიცირება</p>	<p>2.2 შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები</p> <p>3.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა</p> <p>5.1 სტუდენტის სტატუსის მოპოვების და შეცვლის, განათლების აღიარების წესი და სტუდენტის უფლებები</p> <p>დიპლომის დანართი</p>	<p>2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები</p> <p>5.1 შიდა ხარისხი</p> <p>დიპლომის დანართი</p>
<p>1..5 პედაგოგები</p>	<p>4. უსდ-ს პერსონალი</p> <p>4.1 პერსონალის მართვა</p> <p>4.2 აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა</p>	<p>4.1 ადამიანური რესურსები</p> <p>4.2 აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება</p>
<p>1.6 სასწავლო რესურსები და სტუდენტთა დახმარება</p>	<p>5.2 სტუდენტთა მხარდაჭერის სერვისები</p> <p>7.1 მატერიალური რესურსები</p> <p>7.2 საბიბლიოთეკო რესურსები</p> <p>7.3 საინფორმაციო რესურსები</p> <p>7.4 ფინანსური რესურსები</p>	<p>3. სტუთა მოსწრება და მათთან ინდივიდუალური მუშაობა</p> <p>4.1 ადამიანური რესურსები</p> <p>4.3 მატერიალური რესურსები</p> <p>4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა</p>
<p>1.7 საინფორმაციო მენეჯმენტი</p>	<p>1.2 სტრატეგიული დაგეგმვა</p> <p>2. ორგანიზაციული სტრუქტურა და უსდ-ს მენეჯმენტი</p> <p>2.2 შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები</p> <p>თვითშეფასების ანგარიშის ფორმა</p>	<p>1.2 პროგრამის სწავლის შედეგები</p> <p>5. სწავლების ხარისხის გაუმჯობესების შესაძლებლობები თვითშეფასების ანგარიშის ფორმა</p>
<p>1.8 საჯარო ინფორმაცია</p>	<p>7.3 საინფორმაციო რესურსები</p>	<p>1.1 პროგრამის მიზნები</p> <p>1.2 პროგრამის სწავლის შედეგები</p>

		2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები 2.2 პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი
1.9 მიმდინარე მონიტორინგი და პროგრამების პერიოდული მიმოხილვა	2.2 შიდა ხარისხის უზრუნველყოფა 3. საგანმანათლებლო პროგრამები 3.1 საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვა და შემუშავება 3.2 საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი	1.1 დასაქმების ბაზრის კვლევა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები 5.3 პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული მიმოხილვა
1.10 გარე ხარისხის პერიოდული უზრუნველყოფა	ავტორიზაციის დებულება (99/5), მუხლი 25 (4) თვითშეფასების ანგარიშის ფორმა	5.2 გარე ხარისხის პროგრამა აკრედიტაციის დებულება (65/5), მუხლი 276 (3) თვითშეფასების ანგარიშის ფორმა

დიაგრამა 5 (იხ. თვითშეფასების ანგარიში გვ. 36/37)

თითოეული სტანდარტი დეტალურადაა წარმოდგენილი შეფასების კრიტერიუმით, მტკიცებულებით, ინდიკატორით თითოეული კომპონენტისათვის და თვითშეფასებისა და ექსპერტთა ანგარიშის სათანადო შაბლონებით. სტანდარტების ახალი კომპლექტისათვის იდენტიფიცირებული ძირითადი ცვლილებაა დაწესებულებების წახალისება, რომ ჩართონ პროცესში ყველა დაინტერესებული მხარე და ისწრაფოდნენ არა უბრალოდ სტანდარტებთან ფორმალური შესაბამისობის მისაღწევად, არამედ ხარისხის განსავითარებლად.

მიუხედავად იმისა, რომ ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სტანდარტებში გარკვეულწილად არსებობს გადაფარვა, ეს განზრახული იყო და დასაბუთებულია ორივე პროცედურის სხვადასხვა ფოკუსით, კერძოდ, დაწესებულება, როგორც მთელი და მისი პროცესები ავტორიზაციაში და ინდივიდუალური პროგრამები აკრედიტაციაში.

ანალიზი

ექსპერტთა ჯგუფმა მიმოიხილა ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სტანდარტების შესაბამისობა ESG-ს პირველ ნაწილთან, ასევე, თუ როგორ აისახება ეს ფაქტობრივ ანგარიშებზე. ESG-ს პირველი ნაწილის ყველა სტანდარტი წარმოდგენილია NCEQE-ს ორივე პროცედურაში, თუმცა ადაპტირებულია პროცესის ბუნებაზე. ავტორიზაციაზე, როგორც სავალდებულო გარე ხარისხის უზრუნველყოფაზე ხაზგასმა განსხვავებულია

პროგრამის აკრედიტაციისაგან, რომელიც სავალდებულოა მხოლოდ რეგულირებადი და სადოქტორო პროგრამებისათვის. მიუხედავად ამისა, ექსპერტთა ჯგუფმა გამოავლინა, რომ ამჟამად ორივე მათგანში სრულადაა შეტანილი ESG-ს პირველი ნაწილი.

ჯგუფი აღნიშნავს, რომ პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტები, რომელიც სავალდებულოა სადოქტორო პროგრამებისთვის, არ შეიცავს რაიმე სპეციფიკურ სტანდარტს კვლევაზე. მიუხედავად იმისა, რომ კვლევის შესაძლებლობებისა და შედეგების საკითხი უკვე წარმოადგენს სავალდებულო ინსტიტუციური ავტორიზაციის ნაწილს, რაც ხორციელდება ნებისმიერი პროგრამის აკრედიტაციამდე, შესაძლოა ღირდეს იმის გადახედვა, თუ როგორ არის ეს მნიშვნელოვანი ასპექტი მოგვარებული სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციაში. ექსპერტთა ჯგუფი მიესალმება იმას, რომ დაინტერესებულ მხარეებთან დაიწყო განხილვები სადოქტორო პროგრამებისათვის ცალკე სტანდარტების შემუშავების საკითხზე.

ექსპერტთა ჯგუფმა დაადასტურა, თუ როგორ მუშაობს ESG ნაწილი 1 პრაქტიკაში ცენტრის ვებ-გვერდიდან მოპოვებული ანგარიშების ნიმუშის ანალიზის შედეგად. ცენტრის შესაბამისი სტანდარტების ანალიზით დადგინდა, რომ ისინი დამაკმაყოფილებლად შეესაბამება ESG ნაწილი 1-ის სტანდარტებს.

ექსპერტთა ჯგუფის რჩევები შემდგომი სრულყოფისათვის

ექსპერტთა ჯგუფს სურს მოუწოდოს ცენტრს, რომ გააგრძელოს შესაძლებლობების გამოვლენა თუ როგორ შეიტანონ კვლევის ელემენტები პროგრამულ აკრედიტაციაში, კერძოდ, სადოქტორო პროგრამების აკრედიტაციაში.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ESG სტანდარტი 2.2 დაგეგმვის მეთოდოლოგიის მიზანთან შესაბამისობა

სტანდარტი:

გარე ხარისხის უზრუნველყოფა უნდა განისაზღვროს და დაიგეგმოს ისე, რომ უზრუნველყოფილ იქნეს მისი შესატყვისობა დაგეგმილი მიზნების მიღწევასა და ამოცანების გადაჭრასთან და, ამავდროულად, ითვალისწინებდეს შესაბამის რეგულაციებს. დაინტერესებული მხარეები ჩართულები უნდა იყვნენ მის შემუშავებასა და მუდმივ გაუმჯობესებაში.

მტკიცებულება:

როგორც ზემოთ აღინიშნა, NCEQE ახორციელებს გარე ხარისხის უზრუნველყოფის ორ ფორმას: სავალდებულო ინსტიტუციურ ავტორიზაციას და ნებაყოფლობით პროგრამულ

აკრედიტაციას (სავალდებულოს სადოქტორო პროგრამებისა და რეგულირებადი პროფესიებისათვის). მიუხედავად იმისა, რომ ცენტრის დაფუძნებამდე ორივე პროცედურა უკვე არსებობდა, ისინი დროთა განმავლობაში გადამუშავდა და გაუმჯობესდა. დაინტერესებული მხარეები, კერძოდ სამინისტრო და უსდ-ები, ყოველთვის მჭიდროდ არიან ჩართული ამ რეფორმებში. უკანასკნელი რეფორმა ოთხ ძირითად ეტაპად განხორციელდა: პირველ ეტაპზე, თანამშრომლების, სამინისტროს, საჯარო ორგანიზაციებისა და უსდ-ების წარმომადგენლებისაგან შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა შეიმუშავა პირველი ვერსია. მეორე ეტაპზე, პროექტზე გამოხმაურებები გამოთხოვილ იქნა ყველა დაინტერესებული მხარისაგან, მათ შორის ეროვნული და საერთაშორისო ექსპერტებისგან. მესამე ეტაპზე, დოკუმენტების პროექტი და გამოხმაურებები განხილულ იქნა ეროვნულ კონფერენციაზე, ხოლო საერთაშორისო ექსპერტებისგან შემდგომი გამოხმაურებები შეტანილ იქნა საბოლოო პროექტში. შემდეგ, მეოთხე ეტაპზე, მათ საცდელ პროცედურებში გაიარეს ტესტირება.

მეთოდოლოგიები ასევე აღწერილია ავტორიზაციის გზამკვლევაში, მაშინ, როდესაც აკრედიტაციის მეთოდოლოგია ჯერ კიდევ შემუშავების პროცესშია. ორივე პროცესის შემთხვევაში ახალ მეთოდოლოგიებში ძირითადი აქცენტი გაკეთებულია დაწესებულებების ხელშეწყობაზე ხარისხის კულტურის განვითარებასა და თვითმეფასებისა და ანალიზის უნარის გაძლიერებაში. ასევე, აღსანიშნავია ფოკუსირება შენატანზე ორიენტირებულის ნაცვლად შედეგზე ორიენტირებულ მიდგომაზე.

ანალიზი

დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა გარე ხარისხის უზრუნველყოფის მეთოდოლოგიების გადახედვასა და გადაკეთებაში NCEQE-ს მთავარ ძლიერ მხარედ იქნა აღიარებული. დისკუსიების მსვლელობაში, რესპონდენტებმა გამოხატეს მაღალი დონის კმაყოფილება ზოგადად NCEQE-ის მუშაობით და კერძოდ, მოდიფიცირებულ პროცედურებთან დაკავშირებით., ეს მიჩნეულ იქნა გარე ხარისხის ეფექტური უზრუნველყოფისკენ მნიშვნელოვან წინგადადგმულ ნაბიჯად. ექსპერტთა ჯგუფმა გამოავლინა ყველა დაინტერესებული მხარის პოზიციათა არსებითი თანხვედრა მეთოდოლოგიების მიზანთან შესაბამისობის თაობაზე. ასევე ხაზგასმულ იქნა, რომ მათ აქვთ დადებითი ზეგავლენა საგანმანათლებლო დაწესებულებებში უმაღლესი განათლების არსებულ ხარისხზე. გარდა ამისა, გაძლიერდა შრომის ბაზრისა და დამსაქმებლების ჩართულობა გარე ხარისხის უზრუნველყოფაში, ვინაიდან NCEQE-მ, მიუხედავად იმისა, რომ დამსაქმებლები და დამსაქმებელთა ორგანიზაციებს შორის არ არის სათანადო კოორდინაცია და, შესაბამისად, არ არიან აქტიურები, გამონახა განხილვის პროცესებში მათი ჩართვის გზები. .

ექსპერტთა ჯგუფმა, ასევე, დეტალურად განიხილა და იმსჯელა დაინტერესებულ მხარეებთან არსებული ორდონიანი სისტემის ეფექტსა და დაწესებულებებისათვის შესაძლო თანმდევ ტვირთსა და სარგებელს შორის შეფარდებაზე. ეს იმიტომ, რომ პროგრამული აკრედიტაცია, რომელიც ოფიციალურად სავალდებულოა მხოლოდ პროგრამების შეზღუდული რაოდენობისათვის, ფაქტიურად ხორციელდება ყველა პროგრამისათვის. ამის მიზეზია ის, რომ სტუდენტთა დაფინანსების მოპოვება მხოლოდ

აკრედიტებული პროგრამებისათვის არის შესაძლებელი. მიუხედავად ამისა, ჯგუფმა დაადგინა, რომ ორივე სისტემის არსებობას გააჩნია ფართე მხარდაჭერა. ვინაიდან მათ განსხვავებული მიზნები აქვთ, მიიჩნევა, რომ ერთად შეუძლიათ დაწესებულებებს დაეხმარონ საიმედო შიდა ხარისხის მართვის სისტემების განვითარებაში. მას შემდეგ, რაც ეს საკითხი მოგვარდება, მიზანშეწონილი გახდება მიმდინარე მიდგომების გადახედვა.

ექსპერტთა ჯგუფის შემფოთების ერთ-ერთ საკითხს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ავტორიზაციის გადაწყვეტილების ნაწილი ეხება სტუდენტთა კვოტის დადგენას, ანუ რამდენი სტუდენტის მიღება იქნება ნებადართული უსდ-ის პროგრამებზე. ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ ბოლო რეფორმის შედეგად ამ მიმართულებითაც ამოქმედებულია მოდიფიცირებული სისტემა. დაწესებულებებს ახლა თავად მოეთხოვება გონივრული გათვლების გაკეთება და წინადადებების წარდგენა ექსპერტთა ჯგუფის წინაშე, რომელიც განსაზღვრავს, არის თუ არა დაწესებულების შემოთავაზება გონივრული. საბოლოო გადაწყვეტილება მიიღება ავტორიზაციის საბჭოს მიერ, სხვა სტანდარტების თაობაზე გადაწყვეტილებებთან ერთად. მართალია, ექსპერტთა ჯგუფს ეს წინადადებულ ნაბიჯად მიაჩნია, მაგრამ მის შემფოთებას იწვევს ის დიდი ტვირთი, რაც აღნიშული ანალიზითა და გადაწყვეტილებით ეკისრება ექსპერტთა ჯგუფებს შესაბამისი გასაკეთებელი გამოთვლებისა და შეფასებების სირთულის გამო. როგორც წესი, ასეთი საკითხი, ESG-ის ნაწილი 1-ის თანახმად, უნდა იყოს ინსტიტუციური ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების მიღმა. მართალია, უსდ-ებისათვის გზამკვლევაში იყო გარკვეული მინიშნებები თუ როგორ უნდა გამოითვალოს სტუდენტთა კვოტა, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ შესაბამისი სტანდარტი და გზამკვლევი ექსპერტთათვის არ არის საკმარისი მათ მიერ ასეთი გადაწყვეტილების მისაღებად.

ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ ამჟამად NCEQE-ს საკუთარი სტანდარტების მიხედვით 7 ერთობლივი პროგრამა აქვს განხილული. ექსპერტთა ჯგუფმა, ასევე დაადგინა, რომ ერთობლივი პროგრამების შემუშავება იყო ახალი ჩარჩოს ნაწილი, რომელიც ერთობლივი პროგრამების შემდგომი განახორციელების საშუალებას მისცემს დაწესებულებებს. ჯგუფი, ასევე, აღნიშნავს, რომ ამ პროცესებში ერთობლივი პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფისადმი ევროპული მიდგომით (European Approach for Quality Assurance of Joint Programmes) სარგებლობა არ იყო გათვალისწინებული. მართალია ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ ერთობლივი პროგრამების განსახორციელებისას ხელმძღვანელობდნენ დირექტორის ბრძანებით (N74 of 02.03.2017), ისინი ვერ დარწმუნდნენ ევროპული მიდგომის გამოყენების ფაქტში. ანალოგიურად, ცენტრებს შორის საერთაშორისო თანამშრომლობის თაობაზე NCEQE მიუთითებს, რომ იგი ავტომატურად აღიარებს EQAR-ში დარეგისტრირებული სხვა ცენტრების გადაწყვეტილებებს; და, რომ სხვა შემთხვევებში ისინი შეადარებენ გამოყენებულ სტანდარტებსა და პროცედურებს. თუმცა, ეს პროცესი ბუნდოვნად იქნა განსაზღვრული ევროკავშირის ENQA-ს წევრებისა და აშშ-ის ცენტრებთან მიმართებაში, რომელთა გადაწყვეტილებები ასევე იქნება აღიარებული. სხვა ცენტრებისათვის, პროცესები უნდა იყოს შეთავსებადი, თუმცა არ არის განსაზღვრული თუ როგორ უნდა დადგინდეს ასეთი თავსებადობა. უფრო მეტიც, არ არის დაკონკრეტებული, თუ როგორ მოხდება ამგვარ შემთხვევებში, მაგალითად, უცხოური ცენტრის თუ NCEQE-ს მიერ მიღებული

გადაწყვეტილებების საჭირო მეთვალყურეობის განხორციელება.

ძლიერი მხარეები

ექსპერტთა ჯგუფი მიესალმება დაინტერესებულ მხარეთა მჭიდრო ჩართულობას ცენტრის პროცედურების გადასინჯვასა და გადამუშავებაში.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა: მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ESG სტანდარტი 2.3 პროცესების განხორციელება

სტანდარტი:

გარე ხარისხის უზრუნველყოფის პროცესი უნდა იყოს სანდო, სასარგებლო, წინასწარ-განსაზღვრული, ხორციელდებოდეს თანმიმდევრულად და იყოს გამოქვეყნებული.

იგი მოიცავს:

- თვითშეფასების ანგარიშს ან მის ეკვივალენტს
- გარე შეფასებას, რომელიც ჩვეულებრივ მოიცავს ადგილზე ვიზიტს;
- გარე შეფასების საფუძველზე მომზადებულ ანგარიშს
- თანმიმდევრულ მეთვალყურეობას

მტკიცებულება:

ინსტიტუციური ავტორიზაცია, ისევე როგორც პროგრამული აკრედიტაცია, მოიცავს შემდეგ საფეხურებს, რომლებიც განსაზღვრულია შესაბამის დებულებებში და გამოქვეყნებულია ცენტრის ვებსაიტზე.

თვითშეფასება წარმოადგენს პირველ საფეხურს და ხორციელდება უსდ-ს მიერ სათანადო ფორმის საფუძველზე, რომელსაც ამტკიცებს NCEQE-ს დირექტორი. ფორაში მითითებულია შესაძლო მტკიცებულებები და ეხმარება დაწესებულებას საკუთარი საქმიანობის შეფასებაში. შემდგომ, თვითშეფასების ანგარიშის წარდგენით ხდება ავტორიზაციის ან აკრედიტაციის ფრომალური ინიცირება.

გარე შეფასება იწყება ექსპერტთა ჯგუფის შექმნით და პროცესის ვადების განსაზღვრით, რაც დგინდება დირექტორის ბრძანებით. თავად შეფასება ხორციელდება თითოეული ექსპერტის მიერ თვითშეფასების ანგარიშისა და დანართების წინასწარი შესწავლით და ადგილზე მომდევნო ვიზიტით . ვიზიტი 3-5 დღის ხანგრძლივობისაა და

დამოკიდებულია უსდ-ს სიდიდეზე. აკრედიტაციის შემთხვევაში მისი ხანგრძლივობა 1 დღით განისაზღვრება. ადგილზე ვიზიტისას ხორციელდება ინტერვიუები დაწესებულების სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფებთან.

წინასწარი შესწავლისა და ადგილზე ვიზიტის შედეგების თაობაზე ანგარიში, რომლის ანალიზიც ხდება ავტორიზაციის ან აკრედიტაციის შესაბამის სტანდარტებთან მიმართებაში, მზადდება ვიზიტის შემდეგ. მისი სამუშაო ვერსია მიეწოდება უსდ-ს შესაძლო ფაქტობრივ ცდომილებებზე გამოხმაურების მიზნით. ხოლო, საბოლოო ვერსია წარმოადგენს შესაბამისი საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველს.

ყველა უსდ-სათვის მეთვალყურეობა (follow up) ხორციელდება გადაწყვეტილების მიღებიდან სამი წლის შემდეგ, როდესაც მათ ევალებათ შუალედური ინსტიტუციური ან პროგრამული თვითშეფასების ანგარიშის წარდგენა. შემდგომი სავალდებულო მეთვალყურეობა (follow up) დამოკიდებულია სტანდარტებთან შესაბამისობის დონეზე. მაგ.: 6 წლით ავტორიზაციისა და პირობითი აკრედიტაციის შემთხვევაში ეს შესაძლოა იყოს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში ერთი წლის შემდეგ და მონიტორინგი 2 წლის შემდეგ. ავტორიზაციის შემთხვევაში უსდ-ს შეიძლება მოეთხოვოს სტუდენტთა ჩარიცხვის შეზღუდვა 1-დან 3 წლამდე. გარდა ამისა, კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებული მონიტორინგი შესაძლოა ჩატარდეს, როდესაც ცენტრის პრობლემასთან დაკავშირებით მიმართავს დაწესებულების სტუდენტი, ან თანამშრომელი. ასეთ შემთხვევებში პრობლემის შესასწავლად ცენტრი, დირექტორის ბრძანებით, შექმნის ექსპერტთა ჯგუფს.

ანალიზი

ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესის ძირითადი საფეხურები გამჭვირვალე და თანმიმდევრულია. ახლად შემუშავებული გზამკვლევი და შაბლონები, დაინტერესებულ მხარეთა მიერ შეფასებულია, როგორც , გამოსადეგი და უფრო ეფექტურად უწყობს ხელს პროცესს . კერძოდ, ვადები ახლა უფრო გონივრულია და უმეტესწილად დაცული, რაც, ასევე, მოწმდება შიდა აუდიტის დეპარტამენტის მიერ. აგრეთვე, მაგალითად, ექსპერტთა ჯგუფი თვითშეფასების ანგარიშს და თანდართულ დოკუმენტაციას იღებს ადგილზე ვიზიტამდე გაცილებით ადრე, ვიდრე წინათ. ადგილზე ვიზიტის ხანგრძლივობაც მიჩნეულ იქნა ადეკვატურად, მნიშვნელოვანწილად საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობისა და ამასთან დაკავშირებული თარგმანის გამო, მიუხედავად იმისა, რომ დოკუმენტების თარგმნა ავტორიზაციის პროცესში წარმოადგენს გამოწვევას ცენტრისა და დაწესებულებისათვის, განსაკუთრებით დროულად მიწოდების კუთხით, ყველა თანხმდება, რომ გარე ექსპერტების მონაწილეობის სარგებლიანობამ (იხ. სტანდარტი 2.4) გადაწონა მასთან დაკავშირებული დამატებითი სამუშაო.

ვინაიდან ავტორიზაციისა და აკრედიტაციის გადაწყვეტილების გარდა ახალი პროცედურების სრული ციკლი ჯერ არ დასრულებულა , ამიტომ მეთვალყურეობის (follow up) პროცედურა ჯერ კიდევ არაა დეტალურად შემუშავებული. ექსპერტებმა ექვევემ დააყენეს სამი წლის შემდეგ შუალედური სავალდებულო თვითშეფასების საჭიროება, განსაკუთრებით გაწეული ერთწლიანი საქმიანობის შესახებ ანგარიშსა ან

ორწლიან მონიტორინგთან მიმართებაში. თუმცა, ადგილობრივმა დაინტერესებულმა მხარეებმა დაადასტურეს, რომ ადრე ანგარიშის წარდგენა ყოველწლიურად ხდებოდა, რასაც ძალიან მწირი გამოხმაურების გამო უალრესად ფორმალური ხასიათი ჰქონდა. ახალი მიდგომისგან მოელოდნენ, რომ იგი ხელს შეუწყობდა ინსტიტუციურ განვითარებას, ოფიციალური მიმოხილვების შორის პერიოდში ხარისხის უზრუნველყოფის განვითარების დინამიკის შენარჩუნებით.. მიუხედავად იმისა, რომ ამ მიზანს ექსპერტები დაეთანხმნენ, ისინი ვერ დარწმუნდნენ, რომ სამუშაო დატვირთვაზე ზემოქმედების გათვალისწინება სრულად ხდებოდა და ადამიანური რესურსის გამოყენებაც ადეკვატური იყო. გარდა ამისა, მონიტორინგის პროცესი ბუნდოვანი რჩებოდა, რადგანაც, როგორც გაირკვა, მისი ინიცირება კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე ხდებოდა. არ იყო ნათელი თუ ამ სახის მონიტორინგი რამდენად შეავსებდა ავტორიზაციისა თუ აკრედიტაციის სავალდებულო მეთვალყურეობის (follow up) ელემენტს. ვინაიდან მონიტორინგის ჩატარების შესახებ თხოვნები და მოთხოვნები შეიძლება მოსულიყო სხვადასხვაარხებით, მაგალითად, ცენტრისთვის სტუდენტთა მიმართვის გზით, ასეთ შემთხვევაზე დაფუძნებული მონიტორინგის ვადები, პირობები და ფარგლები არ იყო სრულად განსაზღვრული და, შესაბამისად, - მთლიანად გამჭვირვალე.

ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები:

ცენტრმა უნდა განსაზღვროს სხვადასხვა სამეთვალყურეო (follow up) პროცედურების დეტალები.

ექსპერტთა ჯგუფის რჩევები შემდგომი სრულყოფისათვის :

ექსპერტთა ჯგუფი მოუწოდებს ცენტრის, დროულად გადახედოს დაწესებულებების ასეთი მჭიდრო მონიტორინგის საჭიროებას რათა მეტი აქცენტი გაკეთდეს ინსტიტუციურ ავტონომიურობასა და პასუხისმგებლობაზე.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა: მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ESG სტანდარტი 2.4 შეფასების ექსპერტები

სტანდარტი:

გარე ხარისხის უზრუნველყოფა უნდა ხორციელდებოდეს გარე ექსპერტთა ჯგუფების მიერ, რომელთა შემადგენლობაშიც იქნებიან სტუდენტი წევრები.

მტკიცებულება:

გარე ექსპერტები ქმნიან მიმოხილვის ჯგუფებს როგორც ავტორიზაციის, ისე

აკრედიტაციის პროცედურებისთვის - ეს განსაზღვრულია შესაბამისი დებულებებით. ამჟამად, ექსპერტთა რეესტრში წარმოდგენილია 350 ეროვნული ექსპერტი და 200 საერთაშორისო ექსპერტი აკრედიტაციისათვის; 173 ეროვნული ექსპერტი და 42 საერთაშორისო ექსპერტი ავტორიზაციისათვის.

ექსპერტები შეირჩევიან ექსპერტთა საქმიანობის წესით განსაზღვრული პროცედურის საშუალებით, და მოიცავს განაცხადსა და შესარჩევ ინტერვიუს. წესი, ასევე, ადგენს საჭირო კვალიფიკაციებს. 2016 წელს სისტემის რეფორმირების ფარგლებში NCEQE-მ გამოაცხადა საჯარო კონკურსი და დაიწყო ექსპერტთა განაცხადების მიღება, აგრეთვე დაწესებულების მხრიდან დასახელებული კანდიდატების განხილვა.

თითოეული პროცედურისათვის, ექსპერტების შერჩევა ხდება "ექსპერტთა წესის" თანახმად, სადაც განსაზღვრულია ჯგუფის შემადგენლობა. დებულების თანახმად, გამომდინარე დაწესებულების სიდიდიდან, ავტორიზაციის პროცედურებში ექსპერტთა ჯგუფი შედგება 5-8 სპეციალისტისგან, თავმჯდომარე ყოველთვის საერთაშორისო ექსპერტია, ხოლო სხვა სავალდებულო წევრები სტუდენტები და დამსაქმებლის წარმომადგენლები არიან. ჯგუფის დანარჩენი წევრებს შეადგენენ უსდ-ების აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი. პროგრამის აკრედიტაციის პროცედურებში ჯგუფი შედგება დარგობრივი ექსპერტებისაგან, მათ შორის სტუდენტებისა და, როგორც წესი, დამსაქმებლის წარმომადგენლებისგან. სამედიცინო პროგრამების შემთხვევაში, ერთი ექსპერტი უცხოელია. გარდა ამისა, ყველა ინგლისურენოვან, სადოქტორო და რეგულირებადი დარგის პროგრამაში მონაწილეობს საერთაშორისო ექსპერტი.

კონკრეტულ შემთხვევაზე დაფუძნებული მონიტორინგის პროცედურებისათვის, იმისდა მიხედვით თუ რა საკითხს ეხება, ექსპერტთა ჯგუფი შესაძლოა შედგეს სულ მცირე ორი ექსპერტისაგან, რომელთა შორის შესაძლოა არ იყოს სტუდენტი და დამსაქმებლის წარმომადგენლები.

ყველა ექსპერტი უნდა ხელმძღვანელობდეს ეთიკის კოდექსით, რომელიც მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორცაა ინტერესთა კონფლიქტი, მაგალითად, არ ჰქონდეს საქმიანი ურთიერთობა მონიტორინგს დაქვემდებარებულ დაწესებულებასთან ბოლო ორი წლის განმავლობაში. ექსპერტები გადიან ჩვეულებრივ ტრენინგს, მათ შორის ეროვნული ერაზმუს+ ოფისის მიერ დაფინანსებული პროგრამების ფარგლებში. ტრენინგის გავლა ყველა ექსპერტისათვის სავალდებულოა, თუმცა საერთაშორისო ექსპერტებს არ ეხებათ, რადგან ტრენინგი ხორციელდება საქართველოში. მიუხედავად ამისა, მათ მიეწოდებათ წერილობითი ინფორმაცია საქართველოს განათლების სისტემის შესახებ და გარე ხარისხის უზრუნველყოფისადმი NCEQE-ს მიდგომაზე. თითოეული ვიზიტის წინ, ექსპერტთა ჯგუფის შიგნით ტარდება მოსამზადებელი შეხვედრა, რომელის დროსაც მათ კიდევ ერთხელ მიეწოდებათ ინფორმაცია და გზამკვლევი. ამ შეხვედრაზე ხდება სტანდარტებისა და პროცედურების მიმოხილვა. საბოლოოდ, "წესი" ასევე ადგენს, რომ პროცედურის შემდეგ დაწესებულებები წარმოადგენენ უკუკავშირს, ხოლო ჯგუფის თავმჯდომარე აკეთებს ექსპერტთა პანელის შეფასებას. გამოკითხვის შედეგები გამოიყენება გამოხმაურების მისაწოდებლად კონკრეტული ექსპერტისათვის და ასევე, მომავალში შესაძლებლობების გაძლიერების დასაგეგმად.

ანალიზი

ექსპერტების როლი და ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფების შემადგენლობა მკაფიოდაა გაწერილი ცენტრის რეგულაციებში. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ ექსპერტების ტრენინგი საერთო ჯამში იყო ექსტენსიური და რომ, როგორც წესი, ყველა ექსპერტი გადის ტრენინგის კურსს. მიუხედავად ამისა, როგორც აღმოჩნდა, არ არსებობს თანმიმდევრული გეგმა, რადგან დამატებით საკითხებზე ტრენინგის შეთავაზება ხდებოდა სპონტანურად, ანუ, როდესაც ხელმისაწვდომი იყო გარე ან პროექტის ფარგლებში არსებული დაფინანსება. ეს შეესატყვისება ექსპერტთა გამოხმაურებას, რომ ჩატარებული ტრენინგი იყო ძალიან კარგი დასაწყისი, თუმცა შეიძლებოდა მისი ჩატარება უფრო თანამიმდევრულად. ჯგუფმა მკაფიოდ დაუჭირა მხარი იდეას, ეროვნულ დონეზე მეტი ექსპერტიზის განვითარების უზრუნველყოფის შესახებ. მიუხედავად ამისა, საერთაშორისო ექსპერტების ჩართვა რიგი რესპონდენტების მიერ შეფასებულ იქნა როგორც განსაკუთრებულად სასარგებლო ვინაიდან მათ აქვთ გარე, მიუკერძოებელი ხედვა. ჯგუფი, ასევე, მიიჩნევს, რომ ადგილობრივ ექსპერტებს ესაჭიროებათ ინგლისური ენის ცოდნა, რათა გამარტივდეს ჯგუფის შიგნით კომუნიკაცია.

საერთაშორისო ექსპერტები არ იღებენ მონაწილეობას ტრენინგში, მაგრამ მათ მიეწოდებათ წერილობითი ინფორმაცია საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ ექსპერტებმა დაადასტურეს, რომ ეს იყო კარგი საფუძველი სისტემის ქართული მოდელისა და სპეციფიკის გაცნობისათვის, მათ აღნიშნეს, რომ ადგილზე ვიზიტის წინ საკუთრივ საინფორმაციო შეხვედრის გარდა სასარგებლო იქნებოდა მეტი ინფორმაციის წინასწარ მიღება. ჯგუფმა ასევე აღნიშნა, რომ ადგილობრივი ექსპერტებისათვის ადგილზე ვიზიტამდე სასარგებლო იქნებოდა მეტი დრო ყოფილიყო გათვალისწინებული საერთაშორისო ექსპერტებთან ურთიერთობისათვის. ამ თვალსაზრისით, NCEQE-ს მოსაზრებები ონლაინტრენინგის განვითარების თაობაზე მისასალმებელია.

დისკუსიებისას გამოჩნდა, რომ ზოგიერთი ექსპერტი ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესში, ზოგჯერ დიდი რაოდენობის პროცედურებში იღებს მონაწილეობას. მართალია ეს დროდადრო ძალიან სპეციფიკური საგნობრივი სფეროებისათვის აუცილებელი იყო, თუმცა, რიგ შემთხვევებში, ექსპერტები ასევე გამოყენებულ იქნენ აკრედიტაციის ან ავტორიზაციის უფრო ზოგად პროცედურებში, რისი მიზეზებიც არ იყო მკაფიოდ დასაბუთებული. მართალია, ჯგუფმა დაადგინა, რომ ექსპერტთა შერჩევა ასევე დამოკიდებულია მათ ხელმისაწვდომობაზე, ისინი მიიჩნევენ, რომ ცენტრისთვის მეტად მომგებიანი იქნება ექსპერტთა უფრო ფართილი შერჩევა და ამ გზით ექსპერტთა ბაზის დივერსიფიცირება. ჯგუფი აღიარებს, რომ ექსპერტთა ფართო ბაზის შექმნა არაა ყოველთვის ადვილი საქმე, თუმცა ექსპერტები აღიარებენ რომ ეს ზოგადად სისტემისთვის შესაძლოა იყოს მომგებიანი, რადგან ექსპერტთა დიდი კორპუსის არსებობა ხელს შეუწყობს ექსპერტული გამოცდილების დაგროვებას ადგილობრივ დონეზე, რითაც შესაძლებელი გახდება ინტერესთა კონფლიქტის რისკის შემცირება, იმის გათვალისწინებით რომ უმაღლესი განათლების სფეროს წარმომადგენელთა რაოდენობა ადგილობრივ დონეზე დიდი არ არის და ამავე დროს აკადემიური წრეების წარმომადგენლებს შორის არსებობს მჭიდრო თანამშრომლური ურთიერთობა.

ავტორიზაციის პროცედურებისგან განსხვავებით, აკრედიტაციის პროცედურებში ექსპერტთა ჯგუფებში ყოველთვის არ იყვნენ წარმოდგენილი საერთაშორისო ექსპერტები. ეს ხდებოდა მხოლოდ მაშინ, როდესაც პროგრამა იყო ინგლისურენოვანი. გარდა ამისა, დისკუსიების მსვლელობაში ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ დამსაქმებელთა წარმომადგენელი, ასევე, ხშირად არ იყო წარმოდგენილი ჯგუფებში, მაშინ, როდესაც სტუდენტები და უსდ-ს წარმომადგენლები - ყოველთვის. ეს ექსპერტთა ჯგუფს, გარკვეულწილად, უცნაურად მოეჩვენა და პროგრამული აკრედიტაციის მიზანთან შეუსაბამოდ, რადგან აკრედიტაცია სავალდებულოა მხოლოდ რეგულირებადი პროფესიებისათვის (სადოქტორო პროგრამების გარდა), ანუ იქ, სადაც პროფესიონალის, დამსაქმებლის შეხედულება იქნებოდა უაღრესად მნიშვნელოვანი.

ექსპერტთა ჯგუფმა ასევე დაადგინა, რომ სამეთვალყურეო და კონკრეტულ შემთხვევაზე დამყარებული მონიტორინგის პროცედურებისათვის ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობა არაა მკაფიოდ განსაზღვრული.

ჯგუფის რეკომენდაციები:

ექსპერტთა ტრენინგებთან მიდგომა საჭიროებს გადახედვას, განსაკუთრებით აუცილებელია უფრო დეტალური, საინფორმაციო ბრიფინგი საერთაშორისო ექსპერტებისთვის ეს ბრიფინგი ადგილზე ვიზიტამდე გაცილებით ადრე უნდა ჩატარდეს; ასევე საჭიროა უფრო სისტემატიური ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტის ერთობლივი ტრენინგი.

ექსპერტთა ჯგუფის რჩევები შემდგომი სრულყოფისათვის

მეტად უნდა განვითარდეს ვიზიტის წინ ექსპერტთა ტრენინგისა და ექსპერტთა შორის თანამშრომლობის ონლაინრესურსებით სარგებლობის შესაძლებლობა.

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა უნდა განსაზღვროს, რა სიხშირით მიიღებენ მონაწილეობას პროცედურებში ინდივიდუალური ექსპერტები.

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა უნდა უზრუნველყოს, რათა დამსაქმებელთა წარმომადგენლები მუდმივად იყვნენ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფების შემადგენლობაში.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა: მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ESG სტანდარტი 2.5 შედეგების კრიტერიუმები

სტანდარტი:

გარე ხარისხის უზრუნველყოფის ნებისმიერი შედეგი ან დასკვნა უნდა ეფუძნებოდეს მკაცრად განსაზღვრულ და საჯარო კრიტერიუმებს, რომლებიც გამოიყენება თანმიმდევრულად, მიუხედავად იმისა, პროცესი ფორმალური გადაწყვეტილებით დასრულდება თუ არა.

მტკიცებულება

დაწესებულების ავტორიზაციის და პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტები წარმოადგენს ექსპერტთა ჯგუფის შესაბამისი ანალიზის, დეტალური განხილვის და ავტორიზაციის თუ აკრედიტაციის საბჭოების მიერ მიღებული საბოლოო გადაწყვეტილების საფუძველს. სტანდარტები განსზღვრული და გამოქვეყნებულია შესაბამის წესდებებში, სახელმძღვანელოთი და ფორმებით, რომლებიც ხელმისაწვდომია თვითმეფასების ანგარიშისა და ექსპერტთა ანგარიშისთვის, რათა ხელი შეუწყოს დაწესებულებების საქმიანობის თანმიმდევრულ ანალიზს.

ექსპერტთა ჯგუფის ანგარიში შეიცავს შესაბამისობის შესახებ დასკვნას თითოეული სტანდარტისთვის და თითოეული ამ დონის განსაზღვრის დასაბუთება დეტალურად წარმოდგენილია ავტორიზაციისა და აკრედიტაციის დებულებებში. ექსპერტთა ჯგუფის მიერ გამოყენებული მტკიცებულებები ასევე მოტანილია მათ ანგარიშში. ექსპერტთა მიერ სტანდარტების თანმიმდევრულ გამოყენებას ხელს უწყობს მათი ტრენინგი, ასევე ის ნიმუშები და სახელმძღვანელო, რომლებიც წარმოადგენენ გზამკვლევს სწორი მტკიცებულების გასათვალისწინებლად. გარდა ამისა, ცენტრის თანამშრომელი, რომელიც თან ახლავს ექსპერტთა ჯგუფს, ეხმარება მათ სტანდარტებისა და შესატყვისი მოლოდინების ინტერპრეტაციაში.

გადაწყვეტილების მისაღებად შესაბამის საბჭოებს ექსპერტთა ანგარიშთან ერთად მიეწოდებათ თითოეული დაწესებულებისა თუ პროგრამის სრული განაცხადი. აღნიშნული პროცესის შესაძლო შედეგები ასევე განსაზღვრულია წესდებაში. საბჭოს სხდომაზე განსახილველი უსდ-სა ან პროგრამის წარმომადგენლები წარსდგებიან საბჭოს წინაშე და ჩამოაყალიბებენ საკუთარი პოზიციის არგუმენტებს. შესაბამისი ექსპერტთა ჯგუფის წევრები ასევე მიწვეული არიან სხდომაში მონაწილეობის მისაღებად, თუმცა ისინი შეიძლება ყოველთვის ვერ დაესწრონ, ხოლო საერთაშორისო ექსპერტები, როგორც წესი, სხდომას ვიდეო-კონფერენციის მეშვეობით უერთდებიან.

შემდგომ, კენჭისყრა ხდება დაწესებულების წარმომადგენლების დასწრების გარეშე. კენჭისყრის შედეგების, ასევე საბჭოს ინდივიუალური წევრების მიერ თითოეული სტანდარტის დეტალური აღწერა გამოქვეყნდება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე და საბჭოს სხდომის ოქმში.

ანალიზი

ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სტანდარტები, რომელთა შესაბამისადაც ხდება გადაწყვეტილებების მიღება, არის მკაფიო და საჯაროდ გამოქვეყნებულია ცენტრის ვებგვერდზე. მათ საფუძველზე დგება შედეგი, რაც გულისხმობს ექსპერტთა ჯგუფის ანალიზსა და შესაბამისი საბჭოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს.

სამუშაო ჯგუფის თანახმად, ექსპერტთა ანგარიშები (იხილეთ ESG 2.6) თანმიმდევრულად ასახავს სხვადასხვა დაწესებულებებსა და პროგრამებზე მათ მიერ შესრულებულ ანალიზს. ამ მხრივ, ექსპერტთა ჯგუფი სასარგებლოდ მიიჩნევს იმ ფაქტს, რომ ცენტრის თანამშრომელმა შეამოწმა ყველა ანგარიშის სისრულე, ყოველისმომცველობა და თანმიმდევრულობა, კერძოდ კი ანალიზის ხარისხი და ის, თუ რამდენად ეფუძნება ყველა

რეკომენდაცია მტკიცებულებებსა და ფაქტების თანმიმდევრულ შეფასებას.

ავტორიზაციისა და აკრედიტაციის საბჭოს წევრები ინიშნებიან ერთი წლის ვადით. პრინციპში, მათი ხელახლა დანიშნვა შესაძლებელია განუსაზღვრელი ვადით. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ ეს მოკლე „ოფიციალური“ ვადა კონტრპროდუქტიულია წლების განმავლობაში თანმიმდევრული გადაწყვეტილებების მიღების უზრუნველყოფის თვალსაზრისით, თუმცა ისიც გაითვალისწინეს, რომ საბჭოს მრავალი წევრი უკვე რამდენიმე წელია ამ პოზიციაზეა, რადგან რამდენჯერმე იქნენ დანიშნული თითო-თითო წლის ვადით. ექსპერტთა ჯგუფს უშუალოდ ამ ფაქტთან მიმართებაში არსებული პრობლემები არ აღმოუჩენია. ექსპერტთა ჯგუფი ასევე ითვალისწინებს, რომ ასეთი ფორმატი ნაწილობრივ იმის გამო დამკვიდრდა, რომ რაც შეიძლება მეტ დაწესებულებას მიეცეს შანსი, ჩაერთოს ავტორიზაციისა თუ აკრედიტაციის ამ დონეზე. თუმცა, ექსპერტთა ჯგუფმა ვერ ნახა გადაწყვეტილების მიღების პროცესში ინსტიტუციური მეხსიერების არსებობის მტკიცებულება, ანუ, ის რომ მიღწეულია სტანდარტებისა და მოთხოვნილებების ერთობლივი ინტერპრეტაცია და გაგება. ეს, თავის მხრივ შეიცავს ერთგვარ რისკს სტანდარტებისა და პროცედურების აღნიშნულ ასპექტთან დაკავშირებით. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის თანამშრომლები, რომლებიც კოორდინირებდნენ განხილვის პროცედურებს, ინარჩუნებდნენ პასიურ როლს, რამდენადაც რჩევასა და ინფორმაციას მხოლოდ მაშინ გასცემდნენ, თუკი მათ ამას სთხოვდნენ. მართალია ამას აქამდე არანაირი პრობლემა არ შეუქმნია, მაგრამ ექსპერტთა ჯგუფს სარისკოდ მიაჩნია ინდივიდების თანამდებობაზე შეუზღუდავი ვადით დანიშვნა. დისკუსიის ცალკეულმა მონაწილეებმა მხარი დაუჭირეს ხანგრძლივი ვადით დანიშვნის იდეას, როგორც არის 2 ან 3 წელი, თუმცა სხვებმა უპირატესობა არსებულ სისტემას მიანიჭეს. ნებისმიერ შემთხვევაში, ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ ეს საკითხი სადისკუსიო თემაა.

ავტორიზაციისა და აკრედიტაციის საბჭომ დაწესებულებებისგან მიიღო და განიხილა მთლიანი თვითშეფასება და დოკუმენტაცია, ექსპერტთა ანგარიშთან ერთად. ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ დეტალური განხილვის ის დონე, რომლითაც საბჭოს წევრები დოკუმენტებს ანალიზებენ, მეტწილად დამოკიდებულია უსდ-ს მიერ მათ წინაშე ფაქტების წარდგენასა და იმაზე, თუ თავად რამდენად ეთანხმებიან ექსპერტთა ჯგუფის მიგნებებს. ორივე ელემენტმა შესაძლოა გამოიწვიოს და ზოგჯერ იწვევს კიდევ იმას, რომ საბჭოს წევრები თითქმის ითავსებენ ექსპერტების როლს და აკეთებენ ახალ დასკვნებს. მართალია, დასაშვებია, რომ გადაწყვეტილების მიმღებმა ორგანოებმა ზოგჯერ შეიძლება შეცვალონ ექსპერტთა შეთავაზებები, მათ შორის, გადაწყვეტილების თანმიმდევრულობის უზრუნველყოფის მიზნით, სისტემამ, რომელსაც განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი იყენებს, შესაძლოა საპირისპირო შედეგი გამოიწვიოს. უნდა აღინიშნოს, რომ დისკუსიის მონაწილეები ნაკლებ კრიტიკულები იყვნენ ამ სისტემის მიმართ, თუმცა ზოგმა უსდ-მ ვერ გაიგო და უკმაყოფილო დარჩა საბჭოს მიერ ექსპერტთა დასკვნების შეცვალის ფაქტით.

საბჭოებში კენჭისყრა დახურულ კარს მიღმა ხდება. თუმცა, კენჭისყრის დეტალები, ანუ ხმათა გადანაწილება, რთული შემთხვევების არსებობისას, ქვეყნდება ოქმში. მართალია, ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებულ სხვადასხვა შეხვედრებზე ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ თითოეული წევრის ხმაც ასევე ქვეყნდებოდა იმისათვის, რომ ყველას

ენახა, საბჭოს რომელმა წევრმა რას და როგორ უყარა კენჭი, ცენტრმა ეს არ დაადასტურა. ექსპერტთა ჯგუფის აზრით, ეს პრაქტიკა მიზნად ისახავს მაღალი დონის გამჭვირვალობის მიღწევას. ამავე დროს, ექსპერტთა ჯგუფმა ვერ გამორიცხა, რომ ამგვარი ქმედება არ გამოიწვევდა მიკერძოებულ კენჭისყრას, თუმცა დისკუსიის არცერთმა მონაწილემ არ აღიარა ეს რისკი.

საბჭოს რეკომენდაციები:

ცენტრმა უნდა შეაფასოს, თუ რამდენად უწყობენ ხელს ავტორიზაციისა და აკრედიტაციის საბჭოების საქმიანობა, სამუშაო და ხმის მიცემის მეთოდოლოგია თანმიმდევრულობის უზრუნველყოფას.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა: მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ESG სტანდარტი 2.6 ანგარიშგება

სტანდარტი:

ექსპერტთა სრული ანგარიშები უნდა იყოს საჯარო, მკაფიოდა ხელმისაწვდომი აკადემიური საზოგადოებისათვის, გარეშე პარტნიორებისა და დაინტერესებულ პირთათვის. თუკი ცენტრი ანგარიშის საფუძველზე მიიღებს რაიმე ოფიციალურ გადაწყვეტილებას, ეს უკანასკნელი ხსენებულ ანგარიშთან ერთად უნდა გამოქვეყნდეს.

მტკიცებულება:

NCEQE აწვდის ფორმებს ექსპერტთა ჯგუფებს, როგორც ავტორიზაციის, ისე აკრედიტაციის პროცედურებისთვის. ეს ფორმები მოიცავს დაწესებულებისა თუ პროგრამის მიმოხილვასა და კონტექსტს, ინფორმაციას ადგილზე ვიზიტისა და ექსპერტთა ჯგუფის წევრების შესახებ, თვითშეფასების ანგარიშის ხარისხს და შესაბამისობას თითოეულ სტანდარტთან. ეს უკანასკნელი იყოფა მტკიცებულებებად და ინდიკატორებად, მოიცავს მათ ანალიზს ისევე როგორც რეკომენდაციებს (რომლებიც საჭიროა სტანდარტის დასაკმაყოფილებლად), არასავალდებულო მითითებებს შემდგომი გაუმჯობესებისთვის, საუკეთესო პრაქტიკებს და დასკვნას შესაბამისობის დონის შესახებ. ანგარიშები, როგორც წესი, იწერება ექსპერტთა ჯგუფის სხვადასხვა წევრის მიერ, თავმჯდომარის შეხედულებისამებრ, რომელიც განსაზღვრავს შიდა მუშაობის მეთოდს. შესაბამისად, თავმჯდომარე გადაწყვეტს ერთმა წევრმა დაწეროს ანგარიშის სამუშაო ვერსია და სხვებმა შეამოწმონ, შეასწორონ და შეავსონ, თუ თითოეულმა წევრმა დაწეროს ანგარიშის ცალკეული ნაწილები რომელიც, შემდგომ ერთ მთლიან ანგარიშად შეიკვრება. NCEQE -ს თანამშრომელი განიხილავს ანგარიშის სამუშაო ვერსიას ოფიციალურ მოთხოვნებთან შესაბამისობის დასადგენად მანამ, სანამ იგი გადაეგზავნება უნივერსიტეტს შესაძლო ფაქტობრივ ხარვეზზე უკუკავშირისთვის. ექსპერტთა

ანგარიშის საბოლოო ვერსია წარედგინება შესაბამის საბჭოს.

ექსპერტთა ჯგუფის საბოლოო ანგარიში, საბჭოს ოქმთან ერთად, რომელიც მოიცავს გადაწყვეტილების დასაბუთებას, ქვეყნდება ვებ-გვერდზე, ისევე როგორც ცალკეული ოფიციალური გადაწყვეტილება. 2018 წლიდან, ანგარიშები ინსტიტუციური ავტორიზაციისთვის ქვეყნდება ინგლისურ ენაზე, თუმცა არა გადაწყვეტილებები და ოქმები. აკრედიტაციის ანგარიშები ქვეყნდება ინგლისურ ენაზე მაშინ, როდესაც გუნდს ჰყავს უცხოელი წევრი.

ანალიზი

იმ დოკუმენტებთან ერთად, რომლებიც აყალიბებენ ანგარიშების დაწერისა და გამოქვეყნების წესს, ექსპერტთა ჯგუფმა ასევე შეისწავლა რამდენიმე ანგარიშის ნიმუში, რომლებიც შემთხვევითობის პრინციპით ამოარჩია ვებ-გვერდიდან. უნდა აღინიშნოს, რომ მართალია ვებ-გვერდის ნაწილები არის ინგლისურად, თუმცა სამივე ფუნქცია ანგარიშებისა და ანგარიშთა სიებისთვის არ არის და მათზე წვდომა ინგლისურად შესაძლებელია მხოლოდ Google Translate-ის მეშვეობით. მიუხედავად ამისა, ექსპერტთა ჯგუფი კმაყოფილი დარჩა საჯაროდ ხელმისაწვდომი ინფორმაციის დეტალიზაციის დონით, მათ შორის სრული ანგარიშებისა და შესაბამისი საბჭოების ოქმების.

თავად ანგარიშებში აშკარად დაცული იყო სტრუქტურა და, შესაბამისად, შეიცავდა თითოეული გაკეთებული დასკვნის დასაბუთებას, შესაბამის მტკიცებულებებს, ანალიზსა და რეკომენდაციებს. ფორმა ასევე იძლეოდა ანგარიშების ერთმანეთთან შედარების საშუალებას სფეროების მიხედვით, რამდენადაც იგი მოწმდებოდა NCEQE-ს თანამშრომლის მიერ. შედეგებზე ყურადღების მეტად გამახვილებითა და არა რაოდენობრივ მონაცემებზე ფოკუსირებით, ანგარიშები აშკარად წინ გადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს. ექსპერტთა ჯგუფმა ასევე მიიჩნია, რომ ანგარიშები შეესაბამება მთავარ მიზანს. თუმცა, ცენტრი ხედავს გარკვეულ საფრთხეს იმაში, რომ სრულად გამოქვეყნებული ანგარიშები შესაძლოა დაწესებულებებმა ერთმანეთთან შეჯიბრისთვის გამოიყენონ.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა: სრულად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ESG სტანდარტი 2.7 საჩივრები და აპელაცია

სტანდარტი:

პრეტენზიებისა და გასაჩივრების პროცესი მკაფიოდ უნდა განისაზღვროს როგორც გარე ხარისხის უზრუნველყოფის ნაწილი და ინფორმაცია მის შესახებ მიეწოდოს დაწესებულებებს.

მტკიცებულება:

საქართველოში უსდ-ებს აქვთ უფლება სარჩელი შეიტანონ NCEQE-ს სააპელაციო საბჭოში

ან სასამართლოში. სააპელაციო საბჭო შედგება 11 წევრისგან, რომელთაც უფლებამოსილების 1 წლიანი ვადით ნიშნავს მინისტრი. ისინი განიხილავენ შეტანილ საქმეებს და შეუძლიათ დაეთანხმონ ან არ დაეთანხმონ აკრედიტაციისა თუ ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებას. შეთანხმების შემთხვევაში საქმე იხურება და უსდ-ს შეუძლია სასამართლოს მიმართოს. თუკი სააპელაციო საბჭო დააკმაყოფილებს სარჩელს, იგი უკან უბრუნებს საქმეს შესაბამის საბჭოს, რამდენადაც მათი გადაწყვეტილების შეცვლა მას არ შეუძლია.

2016 წლიდან, ანუ მისი დაფუძნებიდან, სააპელაციო საბჭომ 10 საქმე განიხილა, მათგან ორი უკან დაუბრუნდა შესაბამის საბჭოს.

უსდ-ებს გამოვითხვის მეშვეობით შეუძლიათ აზრი გამოთქვან ადგილზე ვიზიტის შესახებ და ასევე შეაფასონ ექსპერტები.

ანალიზი

სააპელაციო პროცედურა შეიქმნა ისე, რომ მარტივად ხელმისაწვდომი და გასაგები ყოფილიყო ყველა დაინტერესებული პირისთვის. თუმცა, ისევე როგორც გადაწყვეტილების მიმღები სხვა ორგანოების შემთხვევაში, ექსპერტთა ჯგუფი ვერ დარწმუნდა, რომ მოკლევადიანი უფლებამოსილება სასარგებლოა სარჩელების განხილვის წესისთვის, რამდენადაც საბჭოს წევრებს არ ექნებათ სრული წარმოდგენა მიღებულ გადაწყვეტილებებზე. დაწესებულებებს უფლება ჰქონდათ წარედგინათ თავიანთი თავი სააპელაციო საბჭოს შეხვედრაზე. საბჭოს წევრებიც ასევე შეისწავლიდნენ ყველა დოკუმენტს. მართალია ეს პროცესი და დოკუმენტები ზოგადად გაწერილი იყო ავტორიზაციისა და აკრედიტაციის დებულებაში, გარკვეული დისკუსია მაინც შედგა იმაზე, თუ პრაქტიკაში რამდენად თანმიმდევრულად წარიმართა იგი. მიუხედავად ამისა, ექსპერტთა ჯგუფმა აღიარა, რომ სააპელაციო საბჭოს უმთავრესი ამოცანაა შეაფასოს სრულად იქნა თუ არა განხილული შესაბამისი ავტორიზაციის თუ აკრედიტაციის საბჭოს მიერ მის ხელთ არსებული ყველა მტკიცებულება გადაწყვეტილების მისაღებად.

ნაკლები სიცხადეა საჩივრებთან დაკავშირებით, ანუ ისეთი შემთხვევების დროს, როდესაც უსდ ეთანხმება პროცესის ოფიციალურ შედეგს და არ შეაქვს საჩივარი, თუმცა უკმაყოფილოა პროცესის განხორციელების რომელიმე ფორმით. დისკუსიის ზოგიერთ მონაწილეს გაუჭირდა იმის დადგენა, თუ რა განსხვავებაა საჩივარსა და სარჩელს შორის, ამ სიტყვის თარგმანის გამო. საჩივარი არ ნიშნავს დისციპლინურ პროცედურას პერსონალისთვის, როგორც ეს აღინიშნა დისკუსიის მონაწილეების მიერ ადგილზე ვიზიტის დროს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ, NCEQE-ს აზრით, არასაკმარისი იქნებოდა კმაყოფილების შესახებ გამოვითხვის ჩატარება, რასაც ეს უკანასკნელი, ექსპერტთა ჯგუფის აზრით, ყოვლისმომცველად და კვალიფიციურად ატარებს. ის, თუ როგორ რეაგირებდა ცენტრი შესაძლო საჩივრის წერილებზე, პასუხისმგებლობისა და პროცესის თვალსაზრისით ბუნდოვანი დარჩა და, შესაბამისად, საკმაოდ სუბიექტური გამოჩნდა. „ექსპერტთა საქმიანობის წესი“ დეტალურად აღწერს, თუ როგორ შეიძლება ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის პროცედურის ინიცირება და რა შემდგომი პროცესები მოყვება ამას. ექსპერტთა ჯგუფმა მიიჩნია, რომ ეს იყო ცენტრის მიერ ხსენებული საჩივრის წერილები. თუმცა, არ იყო ნათელი თუ როგორ გავრცელდებოდა ეს

თანამშრომლებზე. ასევე გაუგებარი იყო, უსდ-ები რამდენად ანიჭებდნენ უპირატესობას „ექსპერტთა საქმიანობის წესის“ თანახმად წერილის გაგზავნის ინიცირების შესაძლებლობას; თუ ამ უკანასკნელს ვებსაიტის საშუალებით ავტორიზაციისა თუ აკრედიტაციის პროცესის კონკრეტული პროცედურული ასპექტის შესახებ საჩივრის განთავსების ტრადიციულ გზას ამჯობინებდნენ. მსგავსად ამისა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის გამოყენება ან ქვეყნის კოდექსის მითითება საჩივრებთან მიმართებით არ იქნება სწორი ESG-ს კონტექსტში. ადმინისტრაციული კოდექსი უფრო შესაფერისია დირექტორის მიერ გაცემული ადმინისტრაციული აქტების წინააღმდეგ საჩივრების შემთხვევაში. მიუხედავად ამისა, ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ ექსპერტებისა და თანამშრომლების წინააღმდეგ უკვე განხორციელებულ რამდენიმე საქმეში საჩივრის პროცესების ზოგიერთი ფორმის ხელმისაწვდომობა გამჭვირვალე იყო ადგილობრივი დაინტერესებული პირებისთვის.

ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები:

ცენტრმა გასაჩივრების პროცედურა, რომელიც დაკავშირებულია, მაგალითად, ავტორიზაციისა ან აკრედიტაციის პროცესით, ან მათში ექსპერტებისა ან თანამშრომლების ჩართულობით გამოწვეულ უკმაყოფილებასთან, ყველა დაინტერესებული პირისთვის გახადოს ხელმისაწვდომი, გასაგები და გამჭვირვალე.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა: მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

დასკვნა

პლიერი მხარეების შეჯამება

ESG 3.1. ხარისხის უზრუნველყოფის საქმიანობა, პოლიტიკა და პროცესები

ცენტრის მიერ გასულ წლებში ახალ სისტემაზე გადაწყობასა და მის განხორციელებაში მიღწეული პროგრესი, ისევე, როგორც ამ პროცესებში დაინტერესებული მხარეების მაღალი დონის ჩართულობა, წარმოადგენს ცენტრის მისი მხრიდან ხარისხის გაუმჯობესების პრინციპებისადმი ერთგულების დემონსტრირებას.

(ESG) სტანდარტი 3.6- შიდა ხარისხის უზრუნველყოფა და პროფესიული ქცევა

ექსპერტთა ჯგუფმა მოიწონა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ EFQM სრულყოფის მოდელისა (EFQM Excellence model) და სიღრმისეული შეფასების სისტემის გამოყენება.

სტანდარტი 2.1. შიდა ხარისხის უზრუნველყოფის გათვალისწინება

ექსპერტთა ჯგუფმა მოიწონა დაინტერესებული პირების მჭიდრო ჩართულობა ცენტრის პროცედურების გადახედვასა და შეცვლაში.

მსჯელობისა და რეკომენდაციების მიმოხილვა

საერთო ჯამში, ექსპერტთა ჯგუფმა დაასკვნა, რომ NCEQE სრულად აკმაყოფილებს ექვს სტანდარტს, მეტწილად შესაბამისობაშია შვიდ სტანდარტთან და ნაწილობრივ შესაბამისობაშია ერთ სტანდარტთან.

ESG 3.1. მეტწილად შესაბამისობაშია

რეკომენდაცია: საჭიროა გაუმჯობესდეს ყველა დაინტერესებული მხარის ჩართვა მმართველობაში, განსაკუთრებით იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ საკოორდინაციო საბჭო ჯერ არ არის მოქმედი და მას არ ექნება და არ არის გადაწყვეტილებების მიღების ფუნქცია. სტუდენტი აუცილებლად უნდა იყოს შეყვანილი საკოორდინაციო საბჭოს შემადგენლობაში და, ასევე, გადაიდგას ნაბიჯები არსებული ვაკანსიების შესავსებად.

ESG 3.2: სრულად შესაბამისობაშია

ESG 3.3: ნაწილობრივ შესაბამისობაშია

რეკომენდაციები:

უზრუნველყოფილ უნდა იქნას აბსოლუტური დამოუკიდებლობა სახელმწიფოსგან, რათა მინისტრს არ ჰქონდეს უფლებამოსილება გაათავისუფლოს დირექტორი ან საბჭოს წევრი სერიოზული მიზეზების გარეშე, რომელთა გარემოებანიც უფრო გამჭვირვალედ უნდა განისაზღვროს, ვიდრე უბრალოდ „შეუსაბამო ქმედება“.

ექსპერტთა ჯგუფს, ასევე, მიაჩნია, რომ ცენტრმა უფრო მეტი პასუხისმგებლობა უნდა აიღოს საბჭოს, როგორც გადაწყვეტილების მიმღები ორგანოს შემადგენლობის დასახელებაზე, რისი უფლებაც, ახალი რეგულაციების თანახმად, მინიჭებული აქვს სამინისტროს.

ESG 3.4. მეტწილად შესაბამისობაშია

რეკომენდაციები:

ცენტრმა სისტემური ანალიზის განხორციელების მდგრადი მეთოდოლოგიის დანერგვის მიზნით უნდა გამოიყენოს „თვინინგის პროექტი“, რაც პროექტის დასრულების შემდეგაც გაგრძელდება.

ESG 3.5: სრულად შესაბამისობაშია

ESG 3.6: სრულად შესაბამისობაშია

ESG 3.7: სრულად შესაბამისობაშია

ESG 2.1: სრულად შესაბამისობაშია

ESG 2.2. მეტწილად შესაბამისობაშია

რეკომენდაციები:

რეკომენდირებულია, გამოყენებულ იქნეს ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული მიდგომა (European Approach for Quality Assurance of Joint Programmes) ერთობლივი პროექტების განხორციელების მიზნით.

რეკომენდირებულია, განიმარტოს და დაკონკრეტდეს, როგორ ფუნქციონირებს საერთაშორისო ინსტიტუციების გადაწყვეტილებების აღიარება ან შეფასება, მაგალითად, შესაბამისობის დანერგვასა და მომდევნო პროცედურების განხორციელებაში.

NCEQE-ს ეძლევა რეკომენდაცია უფრო მეტად ჩაერთოს ექსპერტებისა და ავტორიზაციის საბჭოს მიერ სტუდენტთა კვოტის განმსაზღვრელი სტანდარტის ანალიზის განხორციელებაში.

ESG 2.3. მეტწილად შესაბამისობაშია

რეკომენდაციები:

ცენტრმა უნდა განსაზღვროს სხვადასხვა მომდევნო (ე.წ. "Follow-up") პროცედურების დეტალები.

ESG 2.4. მეტწილად შესაბამისობაშია

რეკომენდაციები:

ექსპერტთა ტრენინგებთან მიდგომა საჭიროებს გადახედვას. განსაკუთრებით აუცილებელია უფრო დეტალური, საინფორმაციო ბრიფინგი საერთაშორისო ექსპერტებისთვის. ეს ბრიფინგი ადგილზე ვიზიტამდე გაცილებით ადრე უნდა ჩატარდეს; ასევე საჭიროა ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტის უფრო სისტემატიური ერთობლივი ტრენინგი.

ESG 2.5. მეტწილად შესაბამისობაშია

რეკომენდაციები:

ცენტრმა უნდა შეაფასოს, თუ რამდენად უწყობს ხელს ავტორიზაციისა და აკრედიტაციის საბჭოების საქმიანობა, სამუშაო და ხმის მიცემის მეთოდოლოგიის თანმიმდევრულობის უზრუნველყოფას.

ESG 2.6. სრულად შესაბამისობაშია

ESG 2.7. მეტწილად შესაბამისობაშია

რეკომენდაციები:

ცენტრმა გასაჩივრების პროცედურა, რაც უკავშირდება, მაგალითად, ავტორიზაციისა ან აკრედიტაციის პროცესს, ან მათში ექსპერტებისა ან თანამშრომლების ჩართულობით გამოწვეულ უკმაყოფილებას, ყველა დაინტერესებული პირისთვის გახადოს ხელმისაწვდომი, გასაგები და გამჭვირვალე.

საერთო ჯამში, წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ზეპირი მტკიცებულებების გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფი კმაყოფილია, რომ NCEQE თავისი ფუნქციების შესრულებისას, შესაბამისობაშია ESG-სთან.

წინადადებები შემდგომი განვითარებისთვის

ექსპერტთა ჯგუფს აქვს რამდენიმე ზოგადი და უფრო დეტალური წინადადება. ეს წინადადებები თავისი შინაარსით უფრო ფართოა და არ იფარგლება ერთი კონკრეტული, მკაცრად ინტერპრეტირებული ESG-ით, არამედ რამდენიმე ESG-ს ეხება. წინადადებები

გათვლილია NCEQE-სთვის, რომლებიც შესაძლოა გათვალისწინებულ იქნეს სამომავლო განვითარებისას. ეს გზავნილები წინა ქვეთავებში უკვე გაჟღერდა.

ESG 3.1. საქმიანობა, პოლიტიკა და პროცედურები

მიუხედავად იმისა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა გაიაზრა, თუ რა საფუძველი აქვს ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პარალელური სისტემების არსებობას (იხ. ESG სტანდარტი 2.2), ამ ორი პროცესის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით შესაძლოა გამართლებული იყოს მომავალში ძალისხმევასა და წვლილს შორის ბალანსზე დაფიქრება, იმის გათვალისწინებით, რომ ამ დროისთვის უსდ-ებს მეტი გამოცდილება ექნებათ ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებში.

ექსპერტთა ჯგუფი, ასევე, მოუწოდებს ცენტრს, განიხილოს ავტორიზაციისა და აკრედიტაციის საბჭოებში საერთაშორისო ექსპერტების ჩართვა, მით უმეტეს, რომ ეს წვლილს შეიტანს მათი გადაწყვეტილებების მიმღებლობასა და პროცესებისადმი ნდობაში.

ESG 3.3 დამოუკიდებლობა

ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ ცენტრის საქმიანობის რიგი თანამედროვე მექანიზმები, გამომდინარე ცენტრისა და მისი ორგანოების სამართლებრივი სტატუსიდან, მოქმედებს ეროვნული ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად. თუმცა, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ ცენტრისთვის სასარგებლო იქნებოდა, შესწავლილიყო ადმინისტრაციული კოდექსის ფარგლებს გარეთ მუშაობის შესაძლებლობა, რაც მის დამოუკიდებლობის ხარისხს გაზრდიდა.

ESG 3.5 რესურსები

სასარგებლო იქნებოდა სამინისტროს მიერ ბიუჯეტის დამტკიცების შემდეგ შესაძლებელი იყოს მუხლებს შორის სახსრების 10 პროცენტზე ოდნავ მეტი მოქნილობით გადანაწილება.

ESG 3.6- შიდა ხარისხის უზრუნველყოფა და პროფესიული ქცევა

სასურველია, NCEQE-მ გააფართოვოს და გადახედოს ქცევის კოდექსს რათა დარწმუნდეს, რომ შეუმწყნარებლობისა და დისკრიმინაციის წინააღმდეგ დაცვის მექანიზმები სათანადოა.

ESG 2.1. შიდა ხარისხის უზრუნველყოფის გათვალისწინება

ექსპერტთა ჯგუფი მოუწოდებს ცენტრს, განაგრძოს შესაძლებლობების მოკვლევა, თუ როგორ იქნეს გამოყენებული კვლევის ელემენტები პროგრამის აკრედიტაციის პროცესში, კერძოდ, სადოქტორო პროგრამების შემთხვევაში.

ESG 2.3 პროცესების განხორციელება

ექსპერტთა ჯგუფი მოუწოდებს ცენტრს დროულად გადახედოს დაწესებულებების ზედმიწევნითი მონიტორინგის არსებულ პრაქტიკას, რათა მეტად გაესვას ხაზი ინსტიტუციურ ავტონომიასა და პასუხისმგებლობას.

ESG 2.4 რეცენზიის ექსპერტები

მეტად უნდა განვითარდეს ვიზიტის წინ ექსპერტთა ტრენინგისა და ექსპერტთა შორის თანამშრომლობის ონლაინრესურსებით სარგებლობის შესაძლებლობა.

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა უნდა განსაზღვროს, რა სიხშირით მიიღებენ მონაწილეობას პროცედურებში ინდივიდუალური ექსპერტები.

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა უნდა უზრუნველყოს, რათა დამსაქმებელთა წარმომადგენლები მუდმივად შედიოდნენ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფების შემადგენლობაში.

დანართები

დანართი 1: ადგილზე ვიზიტის პროგრამა

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში ENQA განხილვის ვიზიტის დღის წესრიგი		
დრო	თემები	პირები ინტერვიუსთვის
დღე 1, 30 ოქტომბერი 2018 წ.		
09:00 - 12:00	ექსპერტთა ჯგუფის დახურული შეხვედრა	ქეთი ცოტნიაშვილი - ვიზიტის კოორდინატორი
12:00 - 13:00	NCEQE-ს ხელმძღვანელობასთან შეხვედრა	გიორგი ვაშაკიძე - დირექტორი თამარ მახარაშვილი - დირექტორის მოადგილე
3:10 - 14:00	თვითშეფასების ანგარიშზე პასუხისმგებელ გუნდთან შეხვედრა	ქეთი ცოტნიაშვილი - ENQAს წევრობაზე განაცხადის პროცესის კოორდინატორი ლაშა მარგიშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი მაია გელაშვილი - აკრედიტაციის სამმართველოს უფროსი მარინა ჟვანია - სტრატეგიული განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსი მაია მარგველაშვილი - საერთაშორისო ურთიერთობების სამმართველოს უფროსი სალომე ბენაშვილი - შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი ელენე ნიკოლაიშვილი - სამართალშემოქმედების სამმართველოს უფროსი ქეთევან ფანჩულიძე - კვალიფიკაციის განვითარების სამმართველოს
14:00 - 14:50	ლანჩი	

14:50 - 15:50	შეხვედრა უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან	ლაშა მარგიშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი მაია გელაშვილი - აკრედიტაციის სამმართველოს უფროსი ლალი გიორგიძე - ავტორიზაციის სამმართველოს უფროსი
16:00 - 16:10	ექსპერტთა ჯგუფის დახურული შეხვედრა	
16:10 - 17:10	პროგრამისა და ინსტიტუციური შეფასებების მაკოორდინირებელ პერსონალთან შეხვედრა	თინა დვალიშვილი - ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორი მარიამ ლამბაშიძე - ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორი ნინო ფოფხაძე - ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორი ლაშა მაჭარაშვილი - აკრედიტაციის სამმართველოს კოორდინატორი, ანი ლელაძე - აკრედიტაციის სამმართველოს კოორდინატორი ნინო გაგელიძე - აკრედიტაციის სამმართველოს კოორდინატორი
17:10 - 17:20	ექსპერტთა ჯგუფის დახურული შეხვედრა	

17:20 - 18:10	დამსაქმებლებთან და პარტნიორებთან შეხვედრა	ლიკა ღლონტი - Erasmus + საქართველოს ოფისის უფროსი ნიკა ყოჩიშვილი - საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის პროგრამის ოფიცერი ნინო ქუთათელაძე - განათლების უფროსი სპეციალისტი საქართველოს მსოფლიო ბანკში , GEDDR- განათლების გლობალური პრაქტიკა, ევროპა და ცენტრალური აზია თორნიკე გურული - „პსპ ფარმა“-ს მარკეტინგისა და გაყიდვების დირექტორი ირაკლი გაგუა - გაგუას კლინიკა ნინო ბოგვერაძე - კორძაძეს საადვოკატო ბიურო
საჭიროების მებრ	შეხვედრის დასასრული	
დღე 2, 31 ოქტომბერი 2018 წ.		
09:00 - 09:30	ექსპერტთა ჯგუფის დახურული შეხვედრა	
09:30 - 10:15	შეხვედრა სამინისტროს წარმომადგენლებთან	მიხეილ ჩხენკელი - განათლებისა და მეცნიერების ყოფილი მინისტრი, საქართველოს პრემიერ-მინისტრის მრჩეველი განათლებისა და მეცნიერების დარგში ირინა აბულაძე - მინისტრის მოადგილე
10:15 - 10:25	ექსპერტთა ჯგუფის დახურული შეხვედრა	

10:25 - 11:30	შეხვედრა განხილული უსდ-ების რექტორებთან	<p>გიორგი შარვაშიძე - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი,</p> <p>გიგა ზედანია - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი</p> <p>აბდულ კახიზე - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის პრორექტორი</p> <p>გიორგი მარგველაშვილი - შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი</p> <p>ირინა შოთაძე - თბილისის სამედიცინო აკადემიის რექტორი</p> <p>დავით კერესელიძე - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს</p>
11:30 - 11:40	ექსპერტთა ჯგუფის დახურული შეხვედრა	
11:40 - 12:40	განხილული უსდ-ების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების უფროსებთან შეხვედრა	<p>ირმა გრძელიძე - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი</p> <p>ანზორ ბერიძე - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი</p> <p>ნინო ჩუბინიძე - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი</p> <p>დიმიტრი გეგენავა - სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი</p> <p>ანანო გორგოძე - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი</p> <p>ნინო ლაღანიძე - თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია</p>
12:40 - 12:50	ექსპერტთა ჯგუფის დახურული შეხვედრა	
12:50 - 13:35	შეხვედრა საერთაშორისო ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეებთან (Skype-ით ჩართვა)	<p>სიბოლტ ნოორდა - ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე</p> <p>ენდი გიბსი - ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე</p> <p>მილან პოლი - აკრედიტაციის/ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე</p>

13:35 - 14:30	ლანჩი	
14:30 - 15:20	შეხვედრა სტუდენტებთან	<p>გიორგი ქურდიანი - თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია (არქიტექტურა), განხილვის ექსპერტი; ქეთევან კანკავა - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი (მედიცინა), განხილვის ექსპერტი; ანი მიხელიძე - კავკასიის უნივერსიტეტი (ბიზნესის ადმინისტრირება), განხილვის ექსპერტი, უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის წევრი.</p> <p>თინათინ კუჭუხიძე - დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი (მედიცინა), საქართველოს მედიკოს სტუდენტთა ასოციაციის წევრი, განხილვის ექსპერტი</p> <p>სალომე ძაგნიძე - ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი (ჰუმანიტარული მეცნიერებები), განხილვის ექსპერტი</p>
15:20 - 15:30	ექსპერტთა ჯგუფის დახურული შეხვედრა	
15:30 - 16:45	ექსპერტთა კორპუსის წევრებთან შეხვედრა	<p>ირინე დარჩია - ავტორიზაცია/აკრედიტაციის ექსპერტი, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი;</p> <p>ელენე ჯიბლაძე - ავტორიზაცია/აკრედიტაციის ექსპერტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი;</p> <p>ელენე ჩერქეზია - ავტორიზაცია/აკრედიტაციის ექსპერტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;</p> <p>დავით სიხარულიძე - აკრედიტაციის ექსპერტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;</p> <p>გიორგი გვალია - აკრედიტაციის ექსპერტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი</p> <p>თეა გერგედავა - ავტორიზაციის ექსპერტი, თბილისის სახელმწიფო</p>
16:45 - 17:00	ექსპერტთა ჯგუფის დახურული შეხვედრა	

17:00 - 17:50	შეხვედრა აკრედიტაციის საბჭოსთან	ირაკლი ბურდული - საბჭოს თავმჯდომარე, თსუ-ს დეკანი, ელიზბარ ელიზბარაშვილი - საბჭოს წევრი, სხვა უნივერსიტეტის პროფესორი, წევრი 3 წლის განმავლობაში, ყოფილი თავმჯდომარე, ამჟამინდელი მოადგილე; დომიტრი ჯაფარიძე - საბჭოს წევრი. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, წევრი 2017 წლის დეკემბრიდან; სოფიკო ლობჯანიძე - საბჭოს წევრი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი; ლევან გორდეზიანი - საბჭოს წევრი, თსუ-ს პროფესორი გიორგი კვარცხავა - საბჭოს წევრი, სტუ-ს დეკანი, საბჭოშია 2017 წლის დეკემბრიდან
17:50 - 18:00	ექსპერტთა ჯგუფის დახურული შეხვედრა	
18:00 - 18:50	შეხვედრა ავტორიზაციის საბჭოსთან	დავით აფრასიძე - საბჭოს თავმჯდომარე, თსუ-ს პროფესორი, მეოთხე წელი; მაკა გველესიანი - საბჭოს წევრი (სტუდენტი წარმომადგენელი) ნანა შარიქაძე - საბჭოს წევრი, კონსერვატორია, ადმინი და პროფესორი; რიმა ბერიაშვილი - საბჭოს წევრი, სამედიცინო უნივერსიტეტის პრორექტორი; კონსტანტინე სირბილაძე - საბჭო, პროფესორი ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, მესამე წელია საბჭოშია; დომიტრი კორძაია - მოწვეული საბჭოს წევრი (მედიცინის დარგი). თსუ, 1 წელია, პრემიერ-მინისტრის სპეციალური მოწვევით

საჭიროებისა მებრ	შეხვედრის დასასრული	
დღე 3, 1 ნოემბერი 2018 წ.		
09:00 - 09:30	ექსპერტთა ჯგუფის დახურული შეხვედრა	
09:30 - 10:20	შეხვედრა სააპელაციო საბჭოსთან	ნინო ოკრიბელაშვილი - საბჭოს თავმჯდომარე; ნინო დობორჯგინიძე - საბჭოს წევრი; გრიგოლ ტატიშვილი - საბჭოს წევრი;
10:20 - 10:30	ექსპერტთა ჯგუფის დახურული შეხვედრა	
10:30 - 11:15	შეხვედრა სტრატეგიული განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობის სამსახურთან, შიდა აუდიტის სამსახურთან, ადამიანური რესურსების სამმართველოსთან, ფინანსურ სამმართველოსთან;	მარინა ჟვანია - სტრატეგიული განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსი ელენე ვეკუა - სტრატეგიული განვითარებისა და ანალიზის სამმართველოს უფროსი; სალომე ბენაშვილი - შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი; თამუნა გოშაძე - ადამიანური რესურსების სამმართველოს კოორდინატორი ილია ჩიბიროვი - ფინანსური სამმართველოს უფროსი
11:15 - 11:45	შეხვედრა ექსპერტთა ჯგუფის წევრებს შორის საბოლოო საკითხებზე შესათანხმებლად, დამოწმების მიზნით	
11:45 - 12:30	NCEQE -ს ხელმძღვანელობასთან შეხვედრა ნებისმიერი განსახილველი საკითხის დასაზუსტებლად	
12:30 - 13:30	ლანჩი	

13:30 - 16:30	დახურული შეხვედრა ექსპერტთა ჯგუფის წევრებს შორის, მთავარ მიგნებებზე შესათანხმებლად	
16:30 - 17:00	საბოლოო დებრიფინგი პერსონალთან და ცენტრის საბჭოს წევრებთან მათთვის წინასწარი მიგნებების შესახებ ინფორმაციის მიწოდების მიზნით.	

დანართი 2: მიმოხილვის წყაროების პირობები

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (NCEQE) გარე შეფასება უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ასოციაციის (ENQA) მიერ.

დანართი I: კომპეტენციის სფერო

აპრილი, 2018 წ

1. ისტორია და კონტექსტი

2005 წელს საქართველო შეუერთდა ბოლონის პროცესს და დაიკისრა უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის (EHEA) განათლების სისტემასთან ჰარმონიზაციისა და უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის განხორციელების პასუხისმგებლობა. 2006 წელს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ დაანერგა ხარისხის უზრუნველყოფის ცენტრი - განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრი (ბრძანება N222, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო), რომელსაც მიენიჭა საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ინსტიტუციური აკრედიტაციის განხორციელების უფლებამოსილება. 2010 წელს სისტემას ჩაუტარდა რეფორმა, რომელიც მიზნად ისახავდა გარე ხარისხის უზრუნველყოფის როლის გაძლიერებას და ხარისხის უზრუნველყოფის ორგანოს მანდატის გაფართოებას. ამ მხრივ დაინერგა კანონი განათლების ხარისხის განვითარების შესახებ. ამ კანონით, ხარისხის უზრუნველყოფის დამოუკიდებელი ორგანო - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი (NCEQE) დაარსდა, როგორც განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის სამართალმემკვიდრე. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის უმთავრესი ფუნქციებია: ქვეყანაში მოქმედი ყველა საგანმანათლებლო დაწესებულების გარე ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განხორციელება (უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები (უსდ), პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები), ინსტიტუციურ და პროგრამულ დონეზე; ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს განვითარება; უცხოური განათლების აღიარება. NCEQE წარადგენს საქართველოს ENIC-NARIC-ის ქსელში.

ცენტრი, რომლის ფუნქციაა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების გარე ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის განხორციელება და განვითარება, გამუდმებით მუშაობს განათლების ხარისხის კონცეფციის შემუშავებაზე, ქმნის და ინარჩუნებს თანამედროვე ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებს და პროცედურებს და უზრუნველყოფს შესაბამის მექანიზმებს მათი განხორციელებისათვის. ამასთან დაკავშირებით, უცხოელი კოლეგების მიერ რამდენჯერმე განხორციელდა ცენტრის საქმიანობის გარე შეფასება და ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმები. განხილვის

შედეგად მიღებული რეკომენდაციები გათვალისწინებულ იქნა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის განვითარების მიზნით.

ამჟამად, მოქმედებს ორი მთავარი ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმი – საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაცია და საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაცია.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაცია სავალდებულოა ყველა უმაღლესი სასწავლებლისთვის, რათა ჰქონდეთ საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებული დიპლომის გაცემის უფლება. პროცედურა ადგენს საგანმანათლებლო დაწესებულებების თავსებადობას ავტორიზაციის სტანდარტებთან. ავტორიზაციის ვადა 6 წელია, რომლის ამოწურვის შემდეგაც დაწესებულებები ვალდებული არიან გაიარონ ხელახალი ავტორიზაციის პროცედურა.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაცია განსაზღვრავს საგანმანათლებლო პროგრამების თავსებადობას აკრედიტაციის სტანდარტებთან. პროგრამული აკრედიტაცია სავალდებულოა მხოლოდ სადოქტორო პროგრამებისა და რეგულირებადი პროფესიებისთვის (მედიცინა, სამართალი, მასწავლებელთა განათლება, ვეტერინარია, საზღვაო). თუმცა, იმ გარემოებიდან გამომდინარე, რომ სახელმწიფო დაფინანსება მხოლოდ აკრედიტებულ პროგრამებზე ვრცელდება, აკადემიური პროგრამების 98% (1950 აკრედიტებული პროგრამა) აკრედიტებულია.

განათლების ხარისხის უწყვეტი განვითარებისა და უსდ-ების მიერ გარე შეფასების შედეგების გათვალისწინების უზრუნველყოფის მიზნით, ცენტრი ახორციელებს **შემდგომი მონიტორინგის პორცედურებს როგორც საგანმანათლებლო დაწესებულებების, ასევე საგანმანათლებლო პროგრამებისთვის.**

ამასთანავე, ცენტრი მხარს უჭერს საგანმანათლებლო დაწესებულებებში შიდა ხარისხის უზრუნველყოფის განვითარებას სხვადასხვა შესაძლებლობათა განვითარებაზე ორიენტირებული აქტივობებით, ინსტრუქციების დამკვიდრებით, რეკომენდაციებით და უსდ-ების ტრენინგებით.

2015-2017 წლებში, NCEQE-მ განაახლა უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, რათა გაეძლიერებინა განვითარებაზე ორიენტირებული და შედეგზე დაფუძნებული ხარისხის უზრუნველყოფა და მისი შესაბამისობა უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის –"ევროპული სტანდარტებისა და სახელმძღვანელო პრინციპები" (ESG2015) - სტანდარტებთან. კონკრეტულად, განახლდა ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები და პროცედურები; დაინერგა საჩივრებისა და სარჩელების ოფიციალური პროცედურები; ექსპერტთა ჯგუფის განხილვებში მონაწილეობას იღებდნენ სტუდენტები, დამსაქმებელთა წარმომადგენლები და საერთაშორისო ექსპერტები; შეფასების ანგარიშები ყველასთვის ხელმისაწვდომია .

განახლებული ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის სპეციალური პროგრამის სათანადო განხორციელების მიზნით, NCEQE-მ ჩაატარა უსდ-ების საპილოტე შეფასებები, უზრუნველყო შესაძლებლობათა გაუმჯობესების აქტივობები უსდ-ებისა და ექსპერტებისთვის და შეიმუშავა განხილვის პროცესის ინსტრუქციები. პროექტი "სწავლა საქართველოში"-ს ფარგლებში შემუშავდა სპეციალური პროგრამა, ზემოთ ხსენებული

აქტივობების ხელშესაწყობად.

2018 წლიდან ცენტრმა დაიწყო ხარისხის უზრუნველყოფის განახლებული სტანდარტების და პროცედურების სისტემური დანერგვა საქართველოს უსდ-ებში.

2013 წლის ოქტომბრიდან განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი აფილირებულია ENQA-სთან და ახლა განაცხადი შეაქვს ENQA-ს წევრობაზე. NCEQE ასევე განაცხადს აკეთებს EQAR-ზე რეგისტრაციისთვის.

2. შეფასების მიზანი და გავრცელების სფერო

წინამდებარე განხილვა შეაფასებს თუ რა მხრივ და რა მასშტაბით ასრულებს NCEQE ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებსა და ინსტრუქციებს უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეში (ESG). შედეგად, წინამდებარე დოკუმენტი ინფორმაციას მიაწვდის ENQA საბჭოს, რათა დაეხმაროს მას NCEQE-ს წევრობის დადასტურებაში და ასევე EQAR-ს, რათა ხელი შეუწყოს NCEQE-ს განაცხადს რეგისტრაციისთვის.

თუმცა, ექსპერტთა ჯგუფისგან არ არის მოსალოდნელი რაიმე დასკვნის გამოტანა წევრობის მინიჭებასთან დაკავშირებით.

2.1 NCEQE-ს საქმიანობა ESG-ს ფარგლებში

იმისათვის, რომ NCEQE-მ განაცხადი გააკეთოს ENQA-ს წევრობაზე და EQAR-ზე დასარეგისტრირებლად, ქვემოთ მოცემულია NCEQE-ს ყველა იმ აქტივობის ანალიზი, რომელსაც ESG-ს ფარგლებში აქვს ადგილი, მაგ., განხილვებს, აუდიტს, შეფასებებს ან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა თუ პროგრამების აკრედიტაციებს, ანუ, ყველაფერს, რაც უკავშირდება სწავლასა და სწავლებას (და მათ შესაბამის კავშირს კვლევასთან და ინოვაციასთან). ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს, აღნიშნული აქტივობები ხორციელდება EHEA-ს შიგნით თუ გარეთ, ანდა სავალდებულო ხასიათისაა თუ არა.

გარე შეფასებისას უნდა შევეხოთ NCEQE-ს შემდგომ აქტივობებს:

- **უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაცია (და ხელახალი ავტორიზაცია).** ეს არის სავალდებულო პროცედურა იმისათვის, რომ უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ განახორციელოს საგანმანათლებლო საქმიანობა და გასცეს სახელმწიფოს მიერ აღიარებული დიპლომი. პროცედურა ადგენს საგანმანათლებლო დაწესებულებების თავსებადობას ავტორიზაციის სტანდარტებთან. უსდ-ებმა ხელახალი ავტორიზაციისთვის განაცხადი უნდა შეიტანონ ყოველ 6 წელიწადში.

- **საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაცია.** საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დასადგენი პროცედურა, რომელიც ხელს უწყობს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განვითარებას განათლების ხარისხის გაუმჯობესებისთვის. პირველადი აკრედიტაციის ვადა არის 4 წელი, ხოლო საგანმანათლებლო პროგრამის ხელახალი აკრედიტაციის დროს - 7 წელი.

ამასთან ერთად, თვითშეფასების ანგარიში (და გარე შეფასების ანგარიში) უნდა შეეხოს ხარისხის უზრუნველყოფის გარე აქტივობების აღიარების პირობებს, რომლებიც ხორციელდება სხვა ხარისხის უზრუნველყოფის ცენტრების მიერ და თუ როგორ უზრუნველყოფს NCEQE ESG-თან შესაბამისობას, როდესაც ცენტრი არ არის EQAR-რეგისტრირებული.

3. შეფასების პროცესი

პროცესი შემუშავებულია *ENQA ცენტრის განხილვის გზამკვლევის* მიხედვით და შეესაბამება *EQAR განაცხადების პროცედურების* მოთხოვნებს.

შეფასების პროცედურა მოიცავს შემდგომ ნაბიჯებს:

- მოქმედების სფეროსა და პროტოკოლის ფორმულირება განხილვისთვის;
- ექსპერტთა ჯგუფის დასახელება და დანიშვნა;
- NCEQE-ს თვითშეფასება, მათ შორის თვითშეფასების ანგარიშის მომზადება;
- ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი ადგილზე NCEQE-ში.
- ექსპერტთა ჯგუფის მიერ საბოლოო შეფასების ანგარიშის მომზადება და დასრულება.
- საბოლოო შეფასების ანგარიშის გულდასმით განხილვა ENQA განხილვის კომიტეტის მიერ;
- გულდასმით განხილვის ანალიზი ENQA-ს საბჭოს მიერ და მათი გადაწყვეტილება ENQA-ს წევრობასთან დაკავშირებით.
- ცენტრის მიერ ექსპერტთა ჯგუფის და/ან ENQA-ს რეკომენდაციების შემდგომი შემოწმება, მათ შორის ნებაყოფლობითი საკონტროლო ვიზიტი.

3.1 ექსპერტთა ჯგუფის წევრების დასახელება და დანიშვნა

ექსპერტთა ჯგუფი შედგება ოთხი წევრისგან: ერთი ან ორი ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტისგან, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ დაქირავებული აკადემიკოსისგან, სტუდენტი წევრისგან და შრომის ბაზრის წარმომადგენლისგან (თუ ამას მოითხოვენ). ერთ-ერთი წევრი ასრულებს ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ფუნქციას და ერთი წევრი არის ექსპერტთა ჯგუფის მდივანი. ENQA ცენტრის განხილვისთვის, სულ მცირე ერთი განმხილველი მაინც არის ENQA-ს მიერ ნომინირებული (ყველაზე ხშირად, ეს არის ხარისხის უზრუნველყოფის პროფესიონალი(ები)). სულ მცირე, ერთი წევრი მაინც ინიშნება ევროპის უნივერსიტეტთა ასოციაციის (EUA) ან უმაღლესი განათლების ინსტიტუტების ევროპული ასოციაციის (EURASHE) მიერ ნომინირებული პირებიდან და სტუდენტი წევრი ყოველთვის აირჩევა ESU-ს მიერ ნომინირებული პირებიდან. მოთხოვნის შემთხვევაში, შრომის ბაზრის წარმომადგენელი შესაძლოა დაინიშნოს Business Europe-ის ნომინირებული პირებიდან ან ENQA-დან. ექსპერტთა ჯგუფის დამატებითი წევრი შესაძლოა ასევე იყოს ჯგუფში განსახილველი ცენტრის მოთხოვნით. ამ შემთხვევაში ვრცელდება დამატებითი საფასური, რომელიც დაფარავს ამ

წევრის საფასურსა და ტრანსპორტირების ხარჯებს.

ოთხ წევრთან ერთად, ექსპერტთა ჯგუფს ასევე დაეხმარება ENQA-ს სამდივნოს განხილვის კოორდინატორი, რომელიც მონიტორინგს გაუწევს პროცესის კეთილსინდისიერებას და უზრუნველყოფს, რომ ENQA-ს მოლოდინები დაკმაყოფილდეს პროცესის განმავლობაში. ENQA-ს თანამშრომელი არ იქნება ექსპერტთა ჯგუფის მდივანი და არ მიიღებს მონაწილეობას დისკუსიებში, ადგილზე ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუებისას.

ENQA-ს საბჭოს ამჟამინდელი წევრები არ არიან უფლებამოსილნი, რომ იყვნენ განმხილველები.

ENQA განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს მიაწვდის სასურველ ექსპერტთა სიას, მათი რეზიუმეებით, რათა დადგინდეს, რომ არ არსებობს ინტერესთა კონფლიქტი. ექსპერტებმა ხელი უნდა მოაწერონ ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის ხელწერილს NCEQE-ს განხილვასთან მიმართებაში.

3.2 NCEQE-ს თვითშეფასება, მათ შორის თვითშეფასების ანგარიშის მომზადება

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი პასუხისმგებელია საკუთარი თვითშეფასების პროცესის შესრულებასა და ორგანიზებაზე და მხედველობაში უნდა მიიღოს შემდგომი ინსტრუქცია:

- თვითშეფასება ხორციელდება პროექტის სახით, რომელსაც აქვს მკაფიოდ განსაზღვრული განრიგი და მოიცავს ყველა შესაბამის შიდა და გარე დაინტერესებულ პირებს;
- თვითშეფასების ანგარიში იყოფა შეფასების თემების მიხედვით და სხვასთან ერთად შეიცავს: ეროვნული უმაღლესი განათლებისა და ხარისხის უზრუნველყოფის სისტემების მოკლე აღწერას; ცენტრის ამჟამინდელი მდგომარეობის აღწერას; ამჟამინდელი სიტუაციის ანალიზსა და შეფასებას; წინადადებებს გაუმჯობესებისათვის და უკვე დაგეგმილ მისაღებ ზომებს ; SWOT ანალიზს; ინდივიდუალურად განხილულ თითოეულ კრიტერიუმს (ESG ნაწილი II და III). ცენტრის ხარისხის უზრუნველყოფის ყველა აქტივობა (იქნება ეს ეროვნული იურისდიქციის ფარგლებში თუ მის გარეთ, იქნება ეს სავალდებულო თუ ნებაყოფლობითი) იქნება აღწერილი და გაანალიზებული მათი ESG-თან შესაბამისობა .
- ანგარიში არის კარგად აგებული, ლაკონური და ყოვლისმომცველად მომზადებული. იგი მკაფიოდ წარმოაჩენს იმას თუ რა დონეზე ასრულებს NCEQE გარე ხარისხის უზრუნველყოფის ამოცანებს და რამდენად აკმაყოფილებს ESG-ს სტანდარტებს და, შესაბამისად, ENQA-ს წევრობისთვის საჭირო მოთხოვნებს.
- თვითშეფასების ანგარიში წარედგინება ENQA-ს სამდივნოს, რომელსაც აქვს 4 კვირა იმისათვის, რომ, სანამ ანგარიშს გადაუგზავნის ექსპერტთა ჯგუფს, განახორციელოს წინასწარი განხილვა. ამ უკანასკნელის მიზანია დარწმუნება იმაში, რომ თვითშეფასების ანგარიში მზად არის ექსპერტთა ჯგუფისთვის გადასაგზავნად. სამდივნო არ განსჯის ინფორმაციის შინაარსს, არამედ მხოლოდ მიაქცევს ყურადღებას, არის თუ არა დოკუმენტში მოცემული ENQA-ს ცენტრის განხილვის გზამკვლევით (Guidelines for ENQA Agency Reviews) გათვალისწინებული ინფორმაცია. მეორე და შემდგომი განხილვებისთვის, ცენტრმა უნდა ჩამოთვალოს ის რეკომენდაციები, რომლებიც გაეწია წინა განხილვის დროს და გამოკვეთოს ის ქმედებები, რომლებიც განახორციელა ამ რეკომენდაციების

დასაკმაყოფილებლად. იმ შემთხვევაში თუ თვითშეფასების ანგარიში არ შეიცავს საჭირო ინფორმაციას და ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილ ფორმასა და შინაარსს, ENQA-ს სამდივნო იტოვებს ანგარიშის უარყოფის უფლებას და მოითხოვს მის განახლებულ ვერსიას 4 კვირის ვადაში. ასეთ შემთხვევებში, ცენტრს ეკისრება დამატებითი საფასური 1000 ევროს ოდენობით.

- ანგარიში ექსპერტთა ჯგუფს წარედგინება განსახილველად ადგილზე ვიზიტამდე მინიმუმ 6 კვირით ადრე.

3.3 ექსპერტთა ჯგუფის ადგილზე ვიზიტი

NCEQE შეიმუშავებს ადგილზე ვიზიტის განრიგის წინასწარ ვერსიას, რომელიც წარედგინება ექსპერტთა ჯგუფს ვიზიტისთვის დაგეგმილ თარიღებამდე სულ მცირე 2 თვით ადრე. განრიგი მოიცავს შეხვედრებისა და სხვა დავალებების ცხრილს, რომელიც უნდა ჩაატაროს ექსპერტთა ჯგუფმა ადგილზე ვიზიტის დროს. ვიზიტის ხანგრძლივობად განსაზღვრულია 2,5 დღე. დადასტურებული განრიგი უნდა გადაეცეს NCEQE-ს ვიზიტამდე სულ მცირე ერთი თვით ადრე, იმისათვის, რომ გაუწიოს სათანადოდ ორგანიზება მოთხოვნილ გასაუბრებებს.

NCEQE დახმარებას გაუწევს ექსპერტთა ჯგუფს თბილისში, საქართველოში ჩამოსვლაში.

ადგილზე ვიზიტი დასრულდება შემაჯამებელი შეხვედრით, სადაც გაჟღერდება სამუშაო ჯგუფის ზოგადი შთაბეჭდილებები და არა მისი დასკვნა ENQA-ს წევრობისთვის შესაბამისობის შესახებ.

3.4 საბოლოო შეფასების ანგარიშის მომზადება და დასრულება

ექსპერტთა ჯგუფის მიგნებების საფუძველზე, ჯგუფის მდივანი ექსპერტთა ჯგუფთან კონსულტაციით შეადგენს ანგარიშს. ანგარიში გაითვალისწინებს შეფასების მიზანსა და საგანს, როგორც ეს განსაზღვრულია მე-2 და 2.1 მუხლებით. იგი ასევე მოიცავს მკაფიო დასაბუთებას თითოეული სტანდარტისთვის. სამუშაო ვერსია პირველ რიგში წარედგინება ENQA-ს განხილვის კოორდინატორს, რომელიც შეამოწმებს ანგარიშის თანმიმდევრულობას, სიცხადესა და ენის სიზუსტეს. ანგარიში შემდგომ გადაეგზავნება NCEQE-ს ადგილზე ვიზიტიდან 11 კვირის განმავლობაში, შესაძლო ფაქტოლოგიური ხარვეზების შესახებ შენიშვნებისთვის. თუკი NCEQE გადაწყვეტს, გააკეთოს განცხადება წინასწარ ანგარიშთან დაკავშირებით, მან იგი უნდა წარუდგინოს ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს წინასწარი ანგარიშის მიღებიდან ორი კვირის ვადაში. ამის შემდეგ, ექსპერტთა ჯგუფი მხედველობაში მიიღებს NCEQE-ს განცხადებას, საბოლოო სახეს მისცემს დოკუმენტს და წარუდგენს ENQA-ს.

ანგარიში უნდა დასრულდეს ადგილზე ვიზიტიდან სამი თვის ვადაში და მისი მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 40 გვერდს.

ანგარიშის მომზადებისას ექსპერტთა ჯგუფმა უნდა გაითვალისწინოს EQAR-ის პოლიტიკა ESG-ს გამოყენებასა და ინტერპრეტაციაზე (EQAR Policy on the Use and Interpretation of the ESG), რათა ანგარიში შეიცავდეს საკმარის ინფორმაციას სარეგისტრაციო კომიტეტისთვის EQAR-თან განაცხადის შესატანად.

NCEQE-ს ასევე მოეთხოვება წარადგინოს წერილი ENQA-ს საბჭოს სახელზე, სადაც ხაზგასმული

იქნება მისი მოტივაცია, თუ რატომ აკეთებს განაცხადს წევრობაზე და თუ რა გზით გეგმავს NCEQE წევრობის დროს წვლილის შეტანას ENQA-ს საქმიანობასა და მის ამოცანებში. აღნიშნული წერილი განიხილება საბოლოო შეფასების ანგარიშთან ერთად.

4 მომდევნო პროცესი და ანგარიშის გამოქვეყნება

NCEQE განიხილავს ექსპერტთა ჯგუფის ანგარიშს და ENQA-ს საბჭო მიერ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ გამოაქვეყნებს ვებსაიტზე. ანგარიში ასევე გამოქვეყნდება ENQA-ს ვებსაიტზე განურჩევლად განხილვის შედეგისა და ENQA-ს საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებისა. NCEQE მოამზადებს საკონტროლო გეგმას, სადაც იგი გაითვალისწინებს ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციებს და ENQA-ს საბჭოს წარუდგენს საკონტროლო ანგარიშს (follow-up report). საკონტროლო ანგარიში გამოქვეყნდება ENQA-ს ვებსაიტზე განხილვის სრულ ანგარიშთან და საბჭოს გადაწყვეტილებასთან ერთად.

საკონტროლო ანგარიშს მოჰყვება მცირე მასშტაბის ვიზიტი ცენტრში, რომელსაც განახორციელებს თავდაპირველი ექსპერტთა ჯგუფის ორი წევრი (როცა კი ეს შესაძლებელი იქნება). ამ ვიზიტის დროს, ESG-ზე დაყრდნობით განიხილავენ საკითხებს, რომლებიც განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ან NCEQE-სთვის გამოწვევას წარმოადგენს. ამ ვიზიტის მიზანი მხოლოდ განვითარების ამოცანებთან არის დაკავშირებული და გავლენას არ ახდენს ცენტრის წევრობისა და/ან ESG-თან შესაბამისობის შესახებ დასკვნაზე. თუკი ცენტრს არ სურს ისარგებლოს ასეთი შესაძლებლობით, მას შეუძლია გამორიცხოს მსგავსი ვიზიტი, ამის შესახებ აცნობებს რა ENQA-ს განხილვის კოორდინატორს.

5 ანგარიშის გამოყენება

ENQA ინარჩუნებს ინსტიტუციურ საკუთრებას (ownership) ანგარიშზე. განხილვის კონტრაქტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფის მიერ შექმნილი ყველა დოკუმენტი, მათ შორის წერილობითი ანგარიშები, წარმოადგენს ENQA-ს ინტელექტუალურ საკუთრებას.

განხილვის ანგარიშის საფუძველზე ENQA-ს საბჭო ასკვნის, აკმაყოფილებს თუ არა ცენტრი ESG-ს და, შესაბამისად, შეიძლება თუ არა მისი მიღება/ხელახალი დადასტურება, როგორც ENQA-ს წევრისა. აღნიშნული ანგარიში ასევე გამოიყენება EQAR-ზე დასარეგისტრირებლად და შემუშავებულია ისე, რომ ამ ორ მიზანს ემსახურებოდეს. თუმცა, განხილვის ანგარიში მხოლოდ მას შემდეგ მიიჩნევა საბოლოოდ, როდესაც მას ENQA-ს საბჭო დაამტკიცებს. მას შემდეგ, რაც NCEQE-ს და ENQA-ს წარედგინებათ ანგარიში და ვიდრე მას საბჭო დაამოწმებს, იგი შეიძლება გამოიყენოს ან დაეყრდნოს მას NCEQE, ექსპერტთა ჯგუფი და ნებისმიერი მესამე პირი. ENQA-ს წინასწარი თანხმობის გარეშე მისი გასაჯაროვება არ შეიძლება. NCEQE-ს შეუძლია ანგარიში გამოიყენოს თავისი შეხედულებებისამებრ მხოლოდ მას შემდეგ, რაც ანგარიშს დაამოწმებს საბჭო. ანგარიშის დამოწმება ხდება წევრობის შესახებ გადაწყვეტილებისგან დამოუკიდებლად.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე მზად უნდა იყოს EQAR-ის სარეგისტრაციო კომიტეტის შეკითხვებზე დამაზუსტებელი პასუხისთვის ან დამატებითი ინფორმაციის მისაცემად, თუკი ENQA-ს სამდივნო ამგვარი მოთხოვნის საქმის კურსში იქნება.

6. ბიუჯეტი

NCEQE-მ უნდა გადაიხადოს განხილვასთან დაკავშირებული შემდგომი საფასურები:

თავმჯდომარის ჰონორარი	4,500 ევრო
მდივნის ჰონორარი	4,500 ევრო
ექსპერტთა ჯგუფის დანარჩენი ორი წევრის ჰონორარი	4,000 ევრო (2X2000 ევრო)
ექსპერტთა ჯგუფის ორი წევრის საკონტროლო ჰონორარი	1 000 ევრო (2X500 ევრო)
ადმინისტრაციული ზედნადები ENQA-ს სამდივნოსთვის	7 000 ევრო
ექსპერტთა ტრენინგის თანხა	1 400 ევრო
მგზავრობისა და კვების მიახლოებითი ხარჯები	6 000 ევრო
მგზავრობისა და კვების ხარჯები საკონტროლო ვიზიტისას	1 600 ევრო

ეს მიუთითებს 30 ათასი ევროს ოდენობის ჯამურ ხარჯზე (დღგ-ს გარეშე) 4 წევრიანი ექსპერტთა ჯგუფისთვის. თუკი მგზავრობისა და კვებისთვის გათვალისწინებული თანხა გადააჭარბებს წინასწარ გათვალისწინებულ ოდენობას, NCEQE განხილვის დასრულების შემდეგ დაფარავს ყველა დამატებით ხარჯს. თუმცა, ENQA-ს სამდივნო ეცდება ჩაჯდეს მგზავრობისა და კვების ხარჯებისთვის განსაზღვრულ ბიუჯეტში და უკან დაუბრუნებს თანხის სხვაობას NCEQE-ს თუკი მგზავრობისა და კვების ხარჯები ბიუჯეტით გათვალისწინებულზე ნაკლები იქნება.

საკონტროლო ვიზიტის (follow-up visit) ღირებულება მოცემულია განხილვის საერთო ხარჯში და იგი უნდა ანაზღაურდეს იმ შემთხვევაშიც, თუკი ცენტრი ამ ვიზიტში სარგებელს ვერ დაინახავს.

თუკი შესაბამისობის შესახებ შეფასების დასრულების მიზნით საბჭოს დასჭირდება მეორე ვიზიტი, და თუკი ცენტრიც დაეთანხმება ასეთ ვიზიტს, ცენტრი თითოეულ ექსპერტზე დამატებით გამოყოფს 500 ევროს, ასევე მგზავრობისა და კვების ხარჯებს.

7. განხილვის საორიენტაციო განრიგი

კომპეტენციის სფეროს შესახებ შეთანხმება	აპრილი, 2018 წ
ექსპერტთა ჯგუფის წევრების დანიშვნა	2018 წლის ივლისი
თვითშეფასების ანგარიშის დასრულება	2018 წლის აგვისტოს დასაწყისი
SAR-ის წინასწარი განხილვა ENQA-ს	2018 წლის აგვისტო
ადგილზე ვიზიტის განრიგისა და საორიენტაციო ცხრილის მომზადება	სექტემბერი/ოქტომბერი 2018
ექსპერტთა ჯგუფის წევრების ბრიფინგი	2018 წლის ოქტომბერი
ექსპერტთა ჯგუფის ადგილზე ვიზიტი	2018 წლის ნოემბერი
შეფასების ანგარიშის წინასწარი ვერსია და მისი წინასწარი შემოწმებისთვის ENQA-ს	2019 წლის იანვრის შუა რიცხვები
შეფასების ანგარიშის წინასწარი ვერსია NCEQE-სთვის	2019 წლის თებერვალი
NCEQE-ს განაცხადი ექსპერტთა ჯგუფის, საჭიროების შემთხვევაში	2019 წლის თებერვალი
საბოლოო ანგარიშის წარდგენა ENQA-სთვის	2019 წლის მარტის დასაწყისი

ანგარიშის განხილვა ENQA-ს საბჭოს მიერ და NCEQE-ს პასუხი	2019 წლის აპრილი (დამოკიდებულია ENQA-ს საბჭოს შეხვედრის თარიღზე)
ანგარიშის გამოქვეყნება	აპრილი/მაისი 2019

დანართი 3: გლოსარიუმი

ENQA - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ასოციაცია

ESG - ევროპის უმაღლესი განათლების სივრცეში ხარისხის უზრუნველყოფის
სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები
2015

HE - უმაღლესი განათლება

უსდ - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

NCEQE - საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

QA - ხარისხის უზრუნველყოფა

SAR - თვითშეფასების ანგარიში

დანართი 4: მიმოხილვისას გამოყენებული დოკუმენტები

NCEQE-ის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები

- NCEQE თვითშეფასების ანგარიში ENQA განხილვისთვის
- დანართი 1. საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების კანონი
- დანართი 2. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წესდება
- დანართი 3. საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულება (ავტორიზაციის სტანდარტებით)
- დანართი 4. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულება (აკრედიტაციის სტანდარტებით)
- დანართი 5. ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესი
- დანართი 6. ცენტრის საქმიანობათა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები
- დანართი 7. თვითშეფასების ანგარიშის ნიმუში აკრედიტაციისათვის
- დანართი 8. თვითშეფასების ანგარიშის ნიმუში ავტორიზაციისათვის
- დანართი 9. ექსპერტთა შეფასების ანგარიშის ნიმუში აკრედიტაციისათვის
- დანართი 10. ექსპერტთა შეფასების ანგარიშის ნიმუში ავტორიზაციისათვის

მიმოხილვის ჯგუფის მიერ გამოყენებული სხვა წყაროები

- NCEQE ვებ-გვერდი: www.eqe.ge/eng

ვებ-გვერდიდან ჩამოტვირთული დოკუმენტები:

- ექსპერტთა ეთიკის კოდექსი
- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაცია
- გზამკვლევი
- NCEQE სტრატეგია 2016-2020
- NCEQE სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმა 2018-2019
- ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ანგარიშების ნიმუში;

ადგილზე ვიზიტის დროს წარმოდგენილი იყო შემდგომი დოკუმენტები:

- ამონაწერი, მუხლი 17- შინაგანაწესიდან (თარგმნილი, ქართულ ენაზე ვებ-გვერდზე).

- ექსპერტთა კორპუსში ექსპერტთა რაოდენობის მიმოხილვა
- შემოსავალი და ხარჯები უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის აქტივობებისთვის
- საკოორდინატო საბჭოსთვის შეთავაზებული კანდიდატების სია
- ამონაწერი „თვინინგის ტექნიკური დავალებიდან“ პროექტის შესაძლებლობების გასაძლიერებლად, ხარისხის უზრუნველყოფისა და კვალიფიკაციების მართვისთვის (კონფიდენციალური).



წინამდებარე ანგარიში წარმოადგენს ENQA-ს ცენტრის განხილვის მიგნებებს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (NCEQE) შესახებ, რომლებიც შესრულდა 2018 წელს.

2018 ENQA ცენტრის მიმოხილვა